

იგორ კეკელია

დრო და მკითხველი

(სარეცენზიო წერილები)

ქუთაისი
2017

მეცნიერი, ჟურნალისტი, პედაგოგი, ისტორიის დოქტორი ივორ კეკელია პერიოდულ პრესაში (ჟურნალ-გაზეთები, სამეცნიერო კრებულები) სისტემატურად აქვეყნებს რეცენზიებს საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ისტორიული გეოგრაფიის, ეთნოლოგიის, ონომასტიკის, ფილოსოფიისა და სხვა საკითხებზე გამოცემულ წიგნებზე. მკვლევარმა გადაწყვიტა, ყველა მათვანისთვის ერთად მოეყარა თავი და, შემოქმედებითი მოღვაწეობის მეოცე წლისთავეზე, წინამდებარე წიგნის სახით, მიეწოდებინა მკითხველისთვის.

წარმოდგენილი ნაშრომი ნაწილია იმ დიდი სამუშაოსი, რასაც ავტორი დაუცხრომლად განახორციელებდა 1997-2017 წლებში. თითოეულ რეცენზიაში ვლინდება ახალგაზრდა მეცნიერის დიდი ნიჭიერება, მაღალი პროფესიონალიზმი და საანალიზო მასალის მიუკერძოებელი, ობიექტური შეფასების უნარი.

წიგნში თავმოყრილი წერილები კარგ სამსახურს გაუწევს საქართველოს ისტორიისა და კულტურის საკითხებით დაინტერესებულ სპეციალისტებსა და ფართო მკითხველ საზოგადოებას.

რედაქტორი: **იზოლდა რუსაძე**, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

რეცენზენტები: **გიგა ბასილაძე**, ისტორიის დოქტორი
ნორა ნიკოლაძე-ლომსიანიძე, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ეთერ ორმოცაძე, ფილოსოფიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

*წიგნის გამოცემის საქმეში გაწეული ფინანსური დახმარებისთვის
ავტორი მადლობას უხდის ბატონ ზურაბ ვაღდავას.*

ღირებული ნაშრომი

გალაკტიონ ტაბიძის სახელობის სააქციო საზოგადოება „სტამბის“ საგამომცემლო ცენტრმა გამოსცა ისტორიკოს **გ. ელიავას** მეტად საინტერესო ალბომი – **„მარტვილის მუზეუმში დაცული ენეოლითური და ბრინჯაოს ეპოქის მზის ხატ-სალოცავები, ქანდაკებები და იდეოგრამული მასალები“**, რომელიც უხვადაა ილუსტრირებული.

პირველ თავში – „მზის ხატ-სალოცავები“ – მკვლევარი ეხება მარტვილის მონასტრის კედელზე გამოსახულ სევასტიკას, რომელიც ტოტების ქიმებით მზის მოძრაობის მიმართულებას გვიჩვენებს. განიხილავს კურზუში აღმოჩენილ ჯვარ-ფიბულას, რომლის სურათიც პირველ ტაბულაზეა მოცემული. საინტერესოა ავტორის დაკვირვება ნახარებაოში, „ალანიაშ გაზე“ (ალანიას სერი) აღმოჩენილ კალენდარსა და მზის იდეოგრამულ გამოსახულებაზე, რომელსაც ძვ. წ. V ათასწლეულით ათარიღებს, ასევე ქეჯვარისა (სოფ. კურზუში) და ქიაჩის „ბორჯიში ბარჯვისა“ (დროის სვეტი) და მასთან დაკავშირებული მისტერიის შესახებ. უაღრესად საინტერესოა ავტორის დაკვირვება აბაშის რაიონის სოფელ ძველ აბაშაში, ო. ლაბარტყავა-კორძანიას სამზადი სახლის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს არსებულ მზის საათზე, რომელიც დღესაც არის დაცული.

მეორე თავში – „მითოლოგიური ქანდაკებები“ – ავტორი გვესაუბრება ნახარებაოში აღმოჩენილ ქანდაკებაზე, კვერცხზე, საიდანაც სიცოცხლე იბადება (ძვ. წ. V ათასწლეული), გველის თავის ქანდაკებაზე (ძვ. წ. V ათასწლეული), რიყის ქვაზე გამოსახულ ღორის თავზე (ძვ. წ. V ათასწლეული), „მესეფის“

სამსახოვან ქანდაკებაზე (ძვ. წ. V ათასწლეული) და მუხურჩაში აღმოჩენილ ბრინჯაოს ორ ნივთზე. ერთ-ერთი მათგანია ტრიბუნაზე მდგარი მამაკაცი, რომელიც მქადაგებლის შთაბეჭდილებას ტოვებს, და მეორე, – კოლხური ცული, რომლის ზედაპირზეც გვხვდება მზის სტილიზებული გამოსახულებები, გეომეტრიული ორნამენტები და ა. შ. ორივე ეს ნივთი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანას (ძვ. წ. VIII ს.) განეკუთვნება.

მესამე თავში – „იდეოგრამული ნიშნიანი ქვები“ (კირბები, ჭადა ქვები) მკვლევარი გვესაუბრება მუზეუმის ფონდებსა და ექსპოზიციაში დაცულ არქეოლოგიურ ძეგლებზე, რომლებიც კირბებს წარმოადგენენ. ელინისტური ხანის ეპიკოსი პოეტი და მეცნიერი აპოლონიოს როდოსელი მიუთითებდა, რომ კოლხებს შენახული ჰქონიათ მამათაგან ნაწერი კირბები, რომელზედაც ნაჩვენებია იყო წყლისა და ხმელეთის ყველა საზღვარი. აქედან ჩანს, რომ კოლხები ბერძნებზე ადრე იცნობდნენ კარტოგრაფიულ ხელოვნებას. ვლ. ალფენიდის თქმით, „კარტოგრაფიისა და გეოგრაფიის („კოლხური კირბები“) პირველი საწყისები უძველეს დროში სწორედ კოლხებმა შექმნეს“ და რომ „ეს ფაქტი წარმოაჩენს კოლხური ცივილიზაციის დიდ როლს მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში“. ამას წერილობით წყაროებთან ერთად ადასტურებს არქეოლოგიური მასალაც. მარტვილის მუზეუმში დაცულია ხუთასამდე კირბი, ნიშნიანი ხვინჭკები და სვეტები, მკვეთრად გამოყვანილი ხაზობრივი ნიშნებით, რომელიც აზრის გადმოსაცემად, წერილობით მოსათხრობად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ასეთი კირბები აღმოჩენილია სოფლებში: აბედათში (ადგ. „ზუგა“), ლეხანდრაოში (ადგ. „კოტორი“), ნახარებაოში („ალანიაშ გა“), ველიდკარსა (ადგ. „ნაჭკადური“) და სხვაგან. გ. ელიავას დასკვნით: „...კოლხეთში დამწერლობითი კულტურა და კარტოგრაფია ძალიან შორეულ დროში უნდა იყოს იყოს შექმნილი“ (გვ. 14), რომელიც ადგილობრივ, დასავლურ-ქართულ ანუ კოლხურ ნიადაგზეა აღმოცენებული.

საინტერესოა მუზეუმში დაცული ბრინჯაოს ბეჭედი, რომელიც სოფელ ხანათში, ფოფონას ველზეა აღმოჩენილი და შუა ბრინჯაოს ხანით თარიღდება. მასზე, მსგავსად ძვ. წ. V

ათასწლეულის შუამდინარული კერამიკისა, გამოსახულია სამყაროს მითოლოგიური ქაოტის, ცისა და მიწის განყოფის სურათი, რაც მოწმობს შუამდინარული მითოლოგიური აზრის ახლობლობას კოლხურ სამყაროსთან.

დასანანია, რომ ეს მცირე ზომის ნაშრომი სულ რაღაც 500 ცალი დაიბეჭდა. იმედია, გ. ელიავა მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულ სხვა, ასევე მეტად მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მასალის შესახებ ახალ-ახალ წიგნებში გვესაუბრება.

კუსურვოთ მას ხანგრძლივი სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ჩვენც ვისურვოთ, მომავალშიც ბევრი წაგვეკითხოს მშობლიური კუთხის სიყვარულით გამთბარი ფურცლები წიგნისა, რომლის გარეკანზეც ლამაზი ასოებით ეწერება: „გივი ელიავა“

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, აკადემიკოსი, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი, მარტვილის სარაიონთაშორისო მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი, ბატონი გივი ელიავა ცნობილია, როგორც ქართული სიძველეების, საქართველოს ბუნების მოამაგე. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ მარტვილში, დიდი კულტურული ტრადიციების მქონე ქალაქში არსებობს კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესანიშნავი კერა – მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. მის დირექტორად დაარსებიდან დღემდე ბატონი გივი ელიავა მუშაობს.

ამ რამდენიმე თვის წინ მუზეუმში ვეწვიე და წიგნიც მაჩუქა სამახსოვრო წარწერით. თავისი მაღლი და ღირსება აქვს ამ ნაჩუქარ, ავტოგრაფიან ბროშურას. ამიტომ გულმა არ მომიტოინა და გადავწყვიტე ამ მცირე ზომის რეცენზიის დაწერა.

*დაიბეჭდა ვაზეთ „ახალ ქუთაისში“
(№47-48, 12 ივნისი, 1998 წ., გვ. 4).*

არტანუჯი“ №7

უკვე ოთხი წელია, თბილისში გამოდის ახალგაზრდა ისტორიკოსთა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი „**არტანუჯი**“ (რედაქტორ-გამომცემელი ბუბა კუდავა). დღიდან პირველი ნომრის გამოსვლისა, ჟურნალმა მკითხველთა დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

გამოიცა „არტანუჯის“ მორიგი, მეშვიდე ნომერიც. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჟურნალის არსებობის მთელ მანძილზე ქართველმა მკითხველმა მიიღო პირველი სპეციალური გამოცემა, რომელიც წარმოადგენს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საისტორიო გეოგრაფიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომლის, **დევი ბერძენიშვილის** პასუხს 1992 წელს, ერევანში, სერიით – „სომხური დასახლებანი“ (მე-2 გამოცემა), სომხურ, რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოცემული ბუკლეტისას, რომელშიც საუბარია საქართველოს ძირძველ ქართულ ქალაქზე – **ჯავახეთის ახალქალაქზე**.

„სომხეთის არქიტექტურის შემსწავლელი ორგანიზაციის“ (ინგლისური აბრევიატურით – RAA) მიერ გამოცემული, ანონიმი ავტორის ბუკლეტის მიზანს წარმოადგენს მტკიცება იმისა, რომ ახალქალაქი უძველესი დროიდან სომხეთის კუთვნილებას წარმოადგენს, და რომ აქ სომხური მოსახლეობა მე-9-მე-10 საუკუნეებიდანაა.

„არტანუჯის“ მე-7 ნომერში წარმოდგენილ დევი ბერძენიშვილის ნაშრომში – „ახალქალაქი ჯავახეთისა“, ქართულ წერილობით წყაროებსა და ლიტერატურაზე დაყრდნობით, უკუგდებულია სომეხი „ისტორიკოსის“ ბუკლეტში მოცემული „მეცნიერული მოსაზრება“.

ასი წლის წინათ დიდი ილია ჭავჭავაძე წერდა: „...სომხების მწიგნობარნი... თავისას იძახიან და ბინას იკეთებენ იქ, საცა არ ჰქონიათ... სწადიანთ ქვეყანა დააჯერონ, ვითომც ისტორიული უფლება მიუძღვით ამ ადგილებში ბინის დადებისა“ („ქვათა დაღადი“). რაოდენ სამწუხაროა, რომ აღნიშნულმა სენმა მე-20 საუკუნის მიწურულსაც მთელი სიმწვავეთ იჩინა თავი. ამის დასტურია ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნული სამენოვანი ბუკლეტიც, რომელშიც, გარდა მცირე ტექსტისა, მოცემულია 12 ფოტოსურათი, ეკლესიის გეგმის ნახაზი, პატარა რუკა და მომავალში გამოსაცემი მსგავსი ბუკლეტების სია, სადაც ჩამოთვლილი დასახლებული პუნქტებიდან ერთი ნაწილი საქართველოს, ხოლო ნაწილი – აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა.

სომხების მიერ ქართული მიწების მიტაცება-დაპატრონებას საქართველოს ხელისუფლება ჯეროვანი ყურადღებით არ ეპყრობა. ჯავახეთში ნადგურდება ქართული ლაპიდარული წარწერები, ინგრევა ეკლესია-მონასტრები, ან პირიქით, შენდება ახალი, უსახური შენობები, რომლებშიც ნახევრად შიშველი, მობანავე ქალების სურათებია შეტანილი (სომხებს ანგელოზებად რომ მიუჩნევიათ).

ღვი ბერძენიშვილის თქმით: „როდესაც ადგილობრივ ახალგაზრდებს ავუხსენით, რომ არსებობს ძეგლთა დაცვის სამმართველო, სპეციალური კანონი, რომელიც ძეგლების ხელშეუხებლობას იცავს, რომ მათი ქმედება კანონის დარღვევაა, რატომღო, გაიკვირვეს, – Джавахк, это же армянская земля...!“ ასე ესმით ოჯახში, ასწავლიან სკოლაში. ჩვენ კი, ამის საპირისპიროდ მხოლოდ კანონი გვაქვს, რომელიც აქ არ მოქმედებს. ყოველ შემთხვევაში, ჯავახეთში ამისათვის არავინ დაუსჯიათ. ყველაფრიდან ჩანს, რომ მე-19 საუკუნეში შემოსახლებული არზრუმელი სომხების შთამომავალნი არა მარტო ეპატრონებიან ჯავახეთის მიწას, არამედ, აქედან ყოველივე ქართული სიძველის ამოძირკვასაც ცდილობენ“ (გვ. 33-34).

აღშფოთებას იწვევს ახალქალაქში, რუსეთის სამხედრო ნაწილის შესასვლელთან, გზის პირას გამოდგმული პლაკატი, რომელიც ასეთი მოწოდებით იწყება: „Владей этой землей без опаснее... российская армия тебя защитит...“

აქვე გვხვდება გენერალ პასკევიჩის პორტრეტიც, რომელიც ავტორია ზემოთ მოყვანილი მოწოდებისა სომხებისადმი.

ამ პლაკატიდანაც ნათლად ჩანს, თუ როგორ ცდილობენ რუსები დიდი ხნის წინათ დანადრული ქართული მიწის აფეთქებას და საქართველოს დაქუცმაცებას ცალკეულ ნაწილებად, ისევე, როგორც ეს მოხდა სამაჩაბლოსა და აფხაზეთში. მავანნი და მავანნი კი დაუფიქრებლად გაიძახიან: „ურუსეთოდ საქართველოს არსებობა არ შეუძლიაო“. კომენტარი თქვენთვის მოგვინდვია!..

„არტანუჯმა“ დევი ბერძენიშვილის ნაშრომის გამოცემით კარგი საქმე გააკეთა. ჟურნალის რედკოლეგიის წევრთა სიტყვებით რომ ვთქვათ, „წარმოდგენილ გამოცემას აკისრია საზოგადოებრივი ფუნქცია – საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური პოზიციების დაცვა სომეხ „ისტორიკოსთაგან“. თუმცა, ამ დანიშნულების აღსრულებისას პარადოქსულ და, ერთგვარად, „წამგებიან“ მდგომარეობაში აღმოვჩნდით (დასამტკიცებელი გავვიხდა, რომ საქართველოს ძირძველი კუთხე – ჯავახეთი და მისი მთავარი ქალაქი – ახალქალაქი ქართული მიწა-წყალია). გარდა ამისა, დევი ბერძენიშვილის ნაშრომს წმინდა სამეცნიერო დატვირთვაც აქვს. ქართულ და რუსულენოვან მკითხველს მშვენიერი შესაძლებლობა ეძლევა, თვალი გაადევნოს ახალქალაქის ჭეშმარიტ ისტორიას უძველესი დროიდან უკანასკნელ პერიოლამდე“.

ჟურნალს ერთვის რეზიუმეები სომხურ და რუსულ ენებზე. მასში წარმოდგენილი ფოტოების ძირითადი ნაწილი გადაღებულია ნიკოლოზ არჩვაძისა და მიხეილ კოზლოვსკის მიერ. დევი ბერძენიშვილის ნაშრომის – „ახალქალაქი ჯავახეთისა“ – რუსული თარგმანი ეკუთვნით ილამაზ და ნინო მიწიშვილებს.

*დაიბეჭდა გაზეთ „ახალ ქუთაისში“
(№53-54, 3 ივლისი, 1998 წ., გვ. 5).*

ახალგაზრდა მეცნიერის სერიოზული ნაშრომი

გამოვიდა წიგნი, რომლის ავტორია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის სამხედრო ისტორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი, ბატონი ნიკო ჯავახიშვილი.

26 წლის ახალგაზრდა მეცნიერმა უკვე ბევრი რამის გაკეთება მოასწრო: ნიკო ჯავახიშვილი 30-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი გახლავთ. სწორედ მის სახელთან არის დაკავშირებული ქართული ფალერისტიკისა (ჯილდოთმცოდნეობა) და ბონისტიკის (ქალაქის საფასომცოდნეობა) მონოგრაფიულად შესწავლის პირველი ცდები, რითაც მნიშვნელოვნად შეივსო ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ხარვეზები. მის მიერ შედგენილი პროგრამის საფუძველზე საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში იკითხება სპეცკურსი ქალაქის საფასომცოდნეობაში.

შარშან გამოვიდა ნ. ჯავახიშვილის წიგნი „შალიკაშვილები (ფესვები, ტრადიციები, დღევანდლობა)“, ხოლო წელს ქართველმა მკითხველმა მიიღო მეცნიერის კიდევ ერთი, რიგით უკვე მეოთხე, უადრესად საინტერესო წიგნი, რომელშიც შესწავლილი და გადმოცემულია პირველი ქართული ორდენის – თამარ მეფის ორდენის ისტორია.

გერმანიის ხელისუფალთა ინიციატივით, 1916 წლის დასაწყისში, ოსმალეთის ტერიტორიაზე დაბანაკებულ ქართულ ლეგიონში, რომელიც ქართულ სამხედრო ტყვეთაგან ჩამოყალიბებულ საჯარისო შენაერთს წარმოადგენდა, დაწესდა საბრძოლო წარჩინების ნიშანი – თამარ მეფის ორდენი.

ეს ორდენი უცხოელ მკვლევართა ნაშრომებში სხვადასხვა სახელწოდებით არის ცნობილი. გამოჩენილი ინგლისელი ქართველოლოგი, პროფ. დევიდ მარშალ ლენგი მას „თამარ დედოფლის ორდენს“ უწოდებს, კ. კლიტმანი – „დედოფალ თამარის ორდენს“, ო. ნოიბეკერი – „ქართველთა ორდენს“, ი. სპასკი – „თამარ დედოფლის ვარსკვლავს“ და ა. შ.

თამარის ორდენი I, II და III ხარისხისა იყო. ავტორის აღწერით, „სამივე ხარისხის ორდენზე, რვაქიმიანი ვერცხლის ვარსკვლავის ცენტრში, მოთავსებულია მედალიონი, რომლის ცისფერი ან ლურჯი მინანქრის ფონზეც გამოსახულია თამარ მეფის მოოქროვილი ვერცხლის რელიეფური პორტრეტი. მედალიონის ირგვლივ ოქროთი მოვარაყებული ზედწერილია: „ქართული ლეგიონი 1915“.

I ხარისხის ორდენის დიამეტრია 95 მმ. ცენტრის მედალიონის ზომა – 27 მმ. მედალიონს გარს აკრავს წვრილი ბრილიანტების ორი წყება.

II ხარისხის ორდენის დიამეტრია 78 მმ. მის მედალიონს, რომელიც ჰკავს I ხარისხის ორდენისას, გარს აკრავს წვრილი ბრილიანტების მხოლოდ ერთი წყება.

III ხარისხის ორდენის დიამეტრია 61-64 მმ. იგი I და II ხარისხის ორდენებზე მომცროა. მისი მედალიონიც არაფრით განსხვავდება I და II ხარისხის ორდენთა მედალიონებისაგან, თუმცა მას არ აკრავს ბრილიანტების წყება და ვარსკვლავის სხივებიც გლუვი ვერცხლით აქვს დათრთვილული“ (გვ. 20).

მკვლევრის მტკიცებით, თამარ მეფის ორდენი არსებითად გერმანულ-ქართული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის ჯილდოს წარმოადგენდა, რომლითაც სხვადასხვა დროს დაჯილდოვდნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და დაცვისათვის მებრძოლნი, მათ შორის: „სამუსულმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ მესვეური მემედ აბაშიძე, ამავე კომიტეტის წევრი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე ყადირ შერვაშიძე, ქართული ემიგრაციის ცნობილი წარმომადგენელი დავით (დათა) ვაჩნაძე, ქართული ლეგიონის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ინიციატორი და ხელმძღვანელი, გენერალი ლეო კერე-

სელიძე, საქართველოს კულტუროლოგიის ინსტიტუტის აფხაზეთის ფილიალის დირექტორი, პროფ. ალექსანდრე გრიგოლია.

ნაშრომის მეორე თავში საუბარია ინვალიდთა და ვეტერანთა ორგანიზაციის „წმინდა თამარ მეფის ორდენის“ ჩამოყალიბების (1994 წ.) ისტორიაზე. აღნიშნულმა ორდენმა 1996 წლის 14 თებერვალს, პროგრამით „მამულიშვილი“, დააწესა გენერალ ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილის სახელობის პრემია „სულის სიმტკიცისათვის“. მისი პირველი ლაურეატი გახდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 23-ე ბრიგადის ყოფილი ოფიცერი, ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენის კავალერი ჯანრი უბირია.

წიგნი ეძღვნება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის 80 წლისთავს. ნაშრომს თვალსაჩინოებისათვის დართული აქვს ფოტოსურათები.

კარგად ვიცი, ნიკო ჯავახიშვილი ამჟამად შინ უსაქმოდ არ ზის, არამედ, წინ გადაშლილი აქვს სამეცნიერო ლიტერატურა, არქივებში მოპოვებული მასალა და გატაცებით მუშაობს ახალ-ახალ ნაშრომებზე.

იმედია, ახალგაზრდა მეცნიერი მომავალშიც გვასიამოვნებს საინტერესო წიგნებით და სტატიებით. ამის საწინდარია გერმანულ-ქართული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის ისტორიასთან დაკავშირებით სულ ახლახან გამოცემული სარეცენზიო წიგნიც, რომელიც საინტერესოდ იკითხება.

*დაიბეჭდა ვაზეთ „ახალ ქუთაისში“
(№57-58, 17 ივლისი, 1998 წ., გვ. 7)*

დედა ფამარი

1997 წელს საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობამ ოსუ საქართველოს ისტორიის კათედრის ასპირანტის – **ბუბა კუდავას** რედაქტორობით გამოსცა წიგნი – „**ილუმენი თამარ მარჯანიშვილი**“ (მოგონებანი დედა ფამარზე). მასში გაერთიანებულია ორი ნარკვევი: 1. „მოგონებები ილუმენ ფამარზე“, რომელშიც გადმოცემულია დედა ფამართან (1869-1936 წწ.) დაახლოებული ქალის, მისი სულიერი შვილის პირადი შთაბეჭდილებები, და 2. არქივისკოპოს არსენი ჟადანოვსკის მოგონებები, რომელშიც საუბარია დედა ფამარის მიერ დაარსებულ სერაფიმო-ზნამენსკოეს მონასტრის გარე და შიდა სახეზე, იმ უჩვეულო წესრიგსა და ღვთისმორჩილებაზე, ამ საგანში წლების მანძილზე რომ სუფევდა.

ილუმენი ფამარის (თამარ მარჯანიშვილი დაა რეჟისორ კოტე მარჯანიშვილისა), მე-20 საუკუნის დასაწყისის რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის იერარქებს შორის ცნობილი ამ სასულიერო მოღვაწის, სახელი საქართველოში ნაკლებად არის ცნობილი. 1994 წელს ჟურნალ „არტანუჯში“ (№2-3) დაიბეჭდა აკადემიკოს ა. ბიწაძის ნარკვევი – „დედა ფამარი“, რომელშიც მოთხრობილია თამარ მარჯანიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. აგრეთვე 1995 წელს მეცნიერებათა აღორძინების ფონდმა „ინტელექტმა“ გამოსცა მონაზონ სერაფიმას „მოგონებანი დედა ფამარზე“ (თარგმანი რუსულიდან), მცირეოდენი შემოკლებით. ეს არის და ეს. თამარ მარჯანიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მეცნიერული მიმოხილვა ჯერ არავის უცდია. ამიტომაც მისი სახელის გარშემო არსებულ ვაკუუმს, ვფიქრობთ, ნაწილობრივ მაინც შეავსებს ეს ნარკვევები, რომლებიც მონაზონ სერაფიმის მოგონებასთან და დედა ფამარის წერილებთან ერთად 1995 წელს დაიბეჭდა მოსკოვში, წმ. ტიხონის მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების ინსტიტუტის მიერ გამომცემულ ბროშურაში.

ნარკვევები რუსულიდან თარგმნა ციალა კალმახელიძემ. რეცენზენტია გვანცა კობლატაძე.

*დაიბეჭდა გაზეთ „ახალ ქუთაისში“
(№75-76, 18 სექტემბერი, 1998, გვ. 7).*

ახალი გამოკვლევა

XX საუკუნის ქართული ფილოსოფიური აზრის უდიდესი წარმომადგენლის, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ სერგი დანელიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლას არაერთი ნაშრომი მიეძღვნა. მიუხედავად ამისა, დიდი მეცნიერის ფილოსოფიური შემოქმედება ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად შესწავლილი.

გასულ წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა კარლო ბლაგიძის უაღრესად საინტერესო გამოკვლევა – **„სერგი დანელიას გნოსეოლოგიური შეხედულებანი“**.

წიგნში, რომელიც შედგება ორი თავისა და რვა პარაგრაფისაგან, შესწავლილია ისეთი საკითხები, როგორცაა შემეცნების თეორიის პრობლემები ელეატურ და ჰერაკლიტეს ფილოსოფიაში, დემოკრიტეს ატომისტური მატერიალიზმი და მისი გნოსეოლოგიური შეხედულებანი, პროტაგორას სუბიექტივიზმი და სკეპტიციზმი, გორგიას სკეპტიციზმი და ნიჰილიზმი, შემეცნების პრობლემები სოკრატეს ფილოსოფიაში, სერგი დანელია შემეცნების თეორიის ზოგიერთი საკითხისა (თეორიული ასპექტით) და მსჯელობის პრობლემების შესახებ.

ნაშრომის პირველ თავში ყურადღება გამახვილებულია სერგი დანელიას მიერ შემეცნების შესაძლებლობისა და მის უარყოფელ მოძღვრებათა კრიტიკაზე ანტიკურ ფილოსოფიაში, რომელიც დღემდე შესწავლილი არ ყოფილა, ხოლო მეორეში საუბარია ს. დანელიას გნოსეოლოგიური პრობლემებისადმი მიძღვნილ გამოკვლევებზე: „ჭეშმარიტების გვარი“, „რეალური წინააღმდეგობისა და ლოგიკური წინააღმდეგობის ცნებათა ისტორიისათვის“, „მსჯელობა“ და ა. შ.

ავტორის დასკვნით, „ს. დანელია გნოსეოლოგიურ კვლევა-ძიებას წარმართავდა ორი მიმართულებით: ფილოსოფიის ისტორიის ასპექტით და ძირითადი გნოსეოლოგიური პრობლემების კვლევის გზით“. იგი გვიჩვენებს, რომ სერგი დანელიას ორიგინალური აზრები აქვს გამოთქმული ორსავე მიმართულებით. ასე, მაგალითად, ქსენოფანე კოლოფონელის, როგორც ევროპულ ფილოსოფიაში გნოსეოლოგიის დამწყების შესახებ, პარმენიდესთან ჭეშმარიტების კრიტერიუმისა და დემოკრიტეს ფილოსოფიაში წინააღმდეგობის საკითხზე და სხვ. არ დარჩენილა ანტიკური ფილოსოფიის ისტორიის რაიმე არსებითი საკითხი ს. დანელიას ყურადღების გარეშე. მან შექმნა პირველად ქართულ ენაზე ანტიკური ფილოსოფიის ისტორია, რომელიც, პროფესორ სავლე წერეთლის შეფასებით, საკაცობრიო აზროვნის დონეზე დგას.

თეორიულ ნაშრომებში ს. დანელია იკვლევს: რეალურ და ლოგიკურ წინააღმდეგობებს, ჭეშმარიტების გვარს, მსჯელობას – ლოგიკური და გნოსეოლოგიური თვალსაზრისით, იძლევა ფსიქოლოგიზმის სკეპტიციზმის კრიტიკას. ურყოფს ე. წ. ონტოლოგიური ჭეშმარიტების დაშვებას და სხვ.“ (გვ. 76).

კ. ბლაგიძის გამოკვლევა დიდ დანხარებას გაუწევს ფილოსოფიის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს. მას თვალსაჩინო წვლილი შეაქვს დიდი ქართველი მოაზროვნის – სერგი იოსების ძე დანელიას მდიდარი ფილოსოფიური მემკვიდრეობის შესწავლის მეტად საპატიო და საჭირო საქმეში.

*დაიბეჭდა ვაზეთ „ახალ ქუთაისში“
(№98-99, 4 დეკემბერი, 1998 წ., გვ. 7).*

თანავტორი პროფ. ბონდო კარტოზია

„არტანუჯის“ ახალი ნომერი

უკვე ხუთი წელია, რაც თბილისში გამოდის საისტორიო ჟურნალი „არტანუჯი“ (რედაქტორ-გამომცემელი ბუბა კუდავა). დღიდან პირველი ნომრის გამოსვლისა, ჟურნალმა მკითხველთა მოწონება დაიმსახურა.

ახლახან ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ტექნიკური მხარდაჭერითა და გამომცემლობა „ინტელექტის“ ფინანსური თანადგომით გამოვიდა „არტანუჯის“ მორიგი, მე-8-9, არატიპიური, საინფორმაციო სპეცნომერი.

ჟურნალში, გარდა საინფორმაციო მასალისა, წარმოდგენილია ტრადიციული რუბრიკებიც – ში შ, რომელიც ეხება ნოქალაქევის არქეოლოგიური მუზეუმის გასაჭირს (ინტერვიუ პროფ. პარმენ ზაქარაიასთან) და სახალისო ისტორია, რომელშიც წარმოდგენილია თორნიკე ასათიანის სტატია – „სახალისო ჰერალდიკა“, აგრეთვე კროსვორდი, იუმორი და მეგობრული შარჟები.

საინფორმაციო ნაწილში თავმოყრილია საისტორიო დარგში დაცული დისერტაციების ანოტაციები, საისტორიო ქრონიკა, ინფორმაცია სამეცნიერო ექსპედიციების (არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ხელოვნებათმცოდნეობითი), სარესტავრაციო სამუშაოებისა და ახალი წიგნების შესახებ.

სარედაქციო საქმის პარალელურად „არტანუჯელები“ გარკვეულ ღონისძიებებშიც ლებულობენ მონაწილეობას, ეხმაურებიან სხვადასხვა პრობლემას, გამოსცემენ საისტორიო კალენდარს და ა. შ. სწორედ ეს და რიგი სხვა საკითხებისა წარმოდგენილია „არტანუჯის“ ქრონიკაში, რომელშიც 1995-1998 წლებში განხორციელებულ ღონისძიებებზეა საუბარი.

ჟურნალი გამოცემულია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე. ამდენად, მკითხველის წინაშეა სარედაქციო ჯგუფის ხანგრძლივი

(4-წლიანი) და სკრუპულოზური შრომის ნაყოფი – საინფორმაციო სპეცნომერი, რომელიც ძირითადად სამეცნიერო საზოგადოებისათვის არის განკუთვნილი, თუმცა, ვფიქრობთ, მკითხველთა ფართო წრისთვისაც არ იქნება ინტერესმოკლებული.

*დაიბეჭდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“
(№28, 9-16 ივლისი, 1999 წ., გვ. 14)*

ჟურნალი „არტანუჯი“, №10

(აფხაზეთის სპეცნომერი)

გამოვიდა საისტორიო ჟურნალ „არტანუჯის“ (რედაქტორ-გამომცემელი ბუბა კუდავა) საიუბილეო, მე-10 ნომერი. მასში თავმოყრილი სტატიები აფხაზეთის ისტორიის, ეთნოლოგიისა და ენათმეცნიერების საკითხებისადმი მიძღვნილი.

ჟურნალს დართული აქვს რედაქტორის წინათქმა და 1995 წელს, მე-20 საუკუნის თვალსაჩინო ქართველი მოაზროვნისა და საზოგადო მოღვაწის – აკაკი ბაქრაძის მიერ, აფხაზეთის სპეცნომერთან დაკავშირებით, ჟურნალის რედაქციისადმი გამოგზავნილი პუნქტობრივი რეკომენდაციები. აფხაზეთის ისტორიასთან მიმართებაში მეცნიერი მრავალ საინტერესო დაკვირვებასა და მოსაზრებას გვთავაზობს, რაც, ვფიქრობთ, მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს.

ჟურნალში დაბეჭდილია შემდეგი სტატიები: „ხეთური ლურსმული ტექსტების ქასქების (ქაშქების) ტომთა ეთნიკური წარმომავლობისათვის“ (გრიგოლ გიორგაძე), „აფშილთა ეთნიკური კუთვნილების საკითხისათვის“ (დავით მუსხელიშვილი), „აფხაზეთის სამთავროს სოციალურ-პოლიტიკური განვითარების საკითხისათვის გვიან შუა საუკუნეებში“ (ბეჟან ხორავა), „წინაპართაგან დაწესებული წეს-ჩვეულების შესახებ აფხაზეთში“ (ნინო აბაკელია), „ეთნიკური პროცესებისათვის გვიანი შუა საუკუნეების აფხაზეთში (აფხაზური გვარსახელები)“ (ბეჟან ხორავა), „ქართველური ქრისტიანული ტერმინების აფხაზურ ენაში შესხების დროის საკითხისათვის“ (თეიმურაზ გვანცელაძე), „ტოპონიმიკური ვითარება სამურზაყანოში“ (პაატა ცხადაია), „ქართველური სუბსტრატული ტოპონიმები აფხაზეთში (სოხუმი, გაგრა, ტყვარჩელი)“ (თეიმურაზ გვანცელაძე).

გამოცემის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჟურნალს დართული აქვს რეზიუმეები ინგლისურ და რუსულ ენებზე, რომელიც მშვენიერ საშუალებას იძლევა იმისათვის, რომ არაქართულენოვანი მკითხველი, აფხაზი „მეცნიერ-ისტორიკოსების“ ნაშრომებისგან განსხვავებით, გაეცნოს საქართველოს ძირძველი და ულამაზესი კუთხის – აფხაზეთის ჭეშმარიტ ისტორიას.

ჟურნალში წარმოდგენილია აგრეთვე ავტორთა მოკლე ბიოგრაფიული ცნობები. მისი გამოცემით კარგი საქმე გაკეთდა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ სპეცნომრის დამფინანსებელს – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, ბატონ თამაზ ნადარეიშვილს.

*დაიბეჭდა გაზეთ „მარტვილში“
(აგვისტო-სექტემბერი, 2000, გვ. 3).
თანავტორი გრიგოლ ბოგვერაძე.*

მეგრული იდიომების კრებული

ქართულ და ქართველურ (მეგრულ-ჭანურ და სვანურ) ლექსიკაში მოიპოვება მრავალფეროვანი მასალა, რომელსაც ზოგადად ფიგურალური გამონათქვამები ანუ იდიომები ეწოდება. სამწუხაროდ, ფიგურალური გამონათქვამების ანუ იდიომების შესწავლის თვალსაზრისით ბევრი არაფერი გაკეთებულა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ თ. სახოკიას სამტომეულს – „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“, ალ. ონიანის „ქართულ იდიომებს“, თ. შავიშვილის „ფიგურალური სიტყვა-თქმების კრებულს“ და ნ. სუხიტაშვილის წიგნს – „იდიომების განმარტება მიხეილ ჯავახიშვილის რომანებში“.

აღნიშნულ ხარვეზს ნაწილობრივ ავსებს 1998 წელს მარტვილის სარაიონთაშორისო მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლის – ანა ჩიქვანაიას მიერ გამოცემული წიგნი – „მეგრული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“, რომელშიც სალექსიკონო მასალის სახით წარმოდგენილია ავტორის მრავალწლიანი შრომის ნაყოფი – ნაწილი მარტვილური თქმის ზონაში შეგროვილი ფიგურალური გამონათვაძებისა.

მკვლევარი ლექსიკონში წარმოდგენილ მასალებს ქართულთან მიმართებაში, პირობითად, სამ ძირითად ნაწილად ყოფს:

„პირველი: ესა თუ ის იდიომი, ფრაზა ან გამოთქმა არის თავისთავადი და არა აქვს სემანტიკური პარალელი ქართულში... ან ასეთი პარალელი აქვს, მაგრამ ფორმით სრულიად განსხვავებული...“

მეორე: ხდება სრული ფორმობრივი (სიტყვიერი) და სემანტიკური... ან ზოგჯერ ნაწილობრივ ფორმობრივი თანხვედრა... მეგრული ხატოვანი სიტყვა-თქმისა ქართულთან,

და მესამე: ლექსიკური ერთეულები, რომლებიც წიგნის ან ზეპირი მეტყველების გზით უნდა იყვნენ ქართულიდან შესული“ (გვ. 4-5).

წიგნში წარმოდგენილ თითოეულ სალექსიკონო მასალას თან ახლავს ხალხის ზეპირი მეტყველებიდან აღებული ილუსტრაცია, ქართული თარგმანებით. მაგ.: „**ართი კუნხით წორაფა** – ერთი ფენით გასწრება, მცირედით გასწრება. ართი კუნხით მიწორუუ, კარა გეგოჭიშუანდი; „ერთი ფენით გამასწრო, თორემ დავეწეოდი“. „**ბირგუეფიმ დოცუმა** – მუხლების დაცვენა, მუხლების მოკვეთა, მუხლებში ძალის წართმევა დაღლილობისაგან, უძლურებისაგან, შიშისაგან. **ამდლა თისხეი გიავრთი, ბირგუემქ ქიღომიცუუ** „დღეს იმდენი ვიარე, მუხლები მომეკვეთა“. **გატყურიაშ კარი** – მეტყველიას კარი, არარსებული, მოსატყუებელი ადგილი. **სო გიწიდა გატყურიაშ კარს** „სად გითხარი და მეტყველიას კარზე“. „დუდიშ არდება – თავის აგდება, უპასუხისმგებლობის, უდიერობის გამოჩენა რაიმე საქმეში ან ვინმეს მიმართ. **სი ასე მუსით აკეთენქინ, დუდიშ არდება რე** „რასაც შენ აკეთებ, თავის აგდებაა“ და ა. შ.

სასურველი იყო, რომ ილუსტრაციის ქართული თარგმანები ავტორს სიტყვასიტყვით წარმოედგინა, ხოლო შემდეგ მოეცა თავისუფალი თარგმანი იდიომისა. მაგ., იდიომი – „**დიდასქუალობაშ მარდის გეშუოთამუდას იში დუდი**“ მკვლევარს თარგმნილი აქვს ასე: „დედაშვილობის მაღლს ამოეწყვიტოს“, მაშინ, როცა მისი პირდაპირი თარგმანი ასეთია: „დედაშვილობის მაღლს ამოეგლოს მისი თავი“. „**სქანი პუხუს იში ცოდა**“ თარგმნილია ასე – „შენ დაველოს მისი ცოდო, შენ გეგოს პასუხი მისი დატანჯვისათვის“, ხოლო პირდაპირი თარგმანს შემდეგი სახე აქვს: „შენს კუხზე მისი ცოდა“.

ანა ჩიქვანაიას წიგნი – „მეგრული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“ პირველი ცდაა ამ კუთხით მეგრული ენის სალექსიკონო მასალის შესწავლისა, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევს ისტორიის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორისა და ენათმეცნიერების საკითხებით დაინტერესებულ მკითხველს.

*დაიბეჭდა გაზეთ „მარტვილში“
(აგვისტო-სექტემბერი, 2000 წ., გვ. 4).
თანავტორი ნაზი ბულაძე*

მასალები მეგრულ-ქართული ლექსიკონისათვის

თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიაში 1924 წლის აგვისტოს აჯანყებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. იგი საერთო-ეროვნული მოძრაობა იყო. მასში საზოგადოების ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელი მონაწილეობდა. სსრკ-ის – კაცობრიობის ისტორიაში უკანასკნელი იმპერიის, მძიმე უღლისგან თავდახსნისათვის გმირულმა ბრძოლამ გამოძახილი ზუგდიდის მაზრაშიც ჰპოვა. აჯანყების ჩასაქრობად საბჭოთა ხელისუფლებამ ნაცად ხერხს მიმართა, დაიწყო საშინელი ტერორი – აჯანყებულთა დაპატიმრება, დახვერტა და გადასახლება.

რეპრესიებს შეეწირა ნიჭიერი მწერალი და მეცნიერი, წალენჯიხელი დანიელ ფიფია. „სრულიად საქართველოშიც და განსაკუთრებით სამეგრელოში, პოეზიის მოყვარულნი დიდად აფასებენ დანიელ ფიფიას შემოქმედებას. თანამედროვენი მას, კეთილი ხუმრობით, სამეგრელოს ბაირონსაც უწოდებდნენ, კოჭლობისა და ლექსის ფანატიკური ტრფიალის გამო. მართალია, ინგლისელ ლორდსა და გენიალურ პოეტს ძნელად თუ ვინმე შეედაროს, მაგრამ დანიელიც უდაოდ ნიჭიერი პოეტი და დიდებული მამულიშვილი ყოფილა, რისი დასტურიც არის ავბელობას გამოღწეული მისი შემოქმედების ფრაგმენტები. მრავალგზის ჩხრეკას გადარჩენილი, მიწაში ჩამარხული, სხვენზე ატანილი თუ საკუჭნაოში დამალული მისი ლექსები, პოემები, მოთხრობები, ზღაპრები, იგავ-არაკები, წერილები, მოგონებები, პოლიტიკური მოხსენებები, თარგმანები და სალექსიკონო მასალები უმეტესად გარიდებული იყო ბოროტ თვალს, მაგრამ მოვლენათა მკვეთრი მონაცვლეობისას იცვლებოდა სიტუაციები: რუდუნებით აკინძული წიგნაკები და რვეულები იხეოდა, იცრიცებოდა, იჩრჩილებოდა,

ფურცლებად ცვიოდა და გამოუცნობ ვითარებაში იკარგებოდა. ამდენად, სრული სახით მხოლოდ მცირედილა გადარჩა“ (იხ. **თ. შოთაძე**, „ბორჯის“ ავტორის უკვდავება, ჟურნ. „აია“, 1996, №1, გვ. 8).

უკანასკნელ ხანებში დანიელ ფიფიას შემოქმედების მრავალი ნიმუში გამოქვეყნდა. გასულ წელს გამომცემლობა „ინტელექტ-მა“ ქართველ მკითხველს მიაწოდა **დანიელ ფიფიას** წიგნი – **„მეგრულ-ქართული სალექსიკონო მასალები“**. მისი გამომცემელია კახმეე კუდავა, რედაქტორები – **თამაზ ფიფია და გივი ბოჯგუას**.

დ. ფიფიას მინიატურულ უბის წიგნაკში ასობით სიტყვა ჩაუნიშნავს. მრავალი სიტყვის მნიშვნელობა მას სცოდნია და ზოგი მათგანისთვის ქართული შესატყვისი, დროის ეკონომიურობის მიზნით, არ მიუწერია. ამიტომ წიგნაკში მოცემული ბევრი სიტყვა განმატების გარეშეა დატოვებული.

აუხსნელ სიტყვათა განმარტება უცდია მწერალ **ინდიკო კვეკვესკირს**. „...დედა წალენჯიხელი მყავდა. თითქმის ყველა სიტყვა დაემორჩილა იმას, რაც „ჩაბეჭდილი“ მქონდა თავში. შევბედე, შემევისო ლექსიკონი – განმმარტა აუხსნელი სიტყვები და ამით კი იმ დიდი კაცისადმი ჩემი დამოკიდებულება გამომეხატა“- წერს იგი (გვ. 60).

ი.* კვეკვესკირი განმარტავს ისეთ სიტყვებს, როგორცაა – „აბუძოლაფა“ (ჩოჩქოლი, უწესრიგობა), „ათოშვიტაფა“ (იღლიაში ამოდება), „აკაკა“ (თითო-თითო), „ანდალებული“ (სულღმეული), „აშატახუა“ (სიმინდის შერჩევით შეტეხვა), „აბაღუზა“ (უხასიათო), „გარგატი“ (დახვევა), „გვირა“ (ლამაზი, თვალხატულა), „ღვენღვერია“ (უწყინარი კაცი), „ერიანი“ (სახიერი, ლამაზი) და ა. შ.

გარდა ამისა, ლექსიკონს დართული აქვს ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის – **გივი ბოჯგუას** „დამატებითი განმარტებანი“.

დ. ფიფიას მიერ „ამნახანტის“ „ფერადად“ განმარტება გ. ბოჯგუას არასწორად მიაჩნია და გვთავაზობს განსხვავებულ შესატყვისს – „ალიკვალი, პირწავარდნილი, ზედმიწევნით მსგავსი, ზელგამოჭრილი“ (გვ. 66). არც ერთი განმარტება სწორი არ

არის – „ამნახანტი“ კომპოზიტია და „კალმით ნახატს, ლამაზს, მშვენიერს, მზეთუნახავს“ ნიშნავს.

„გესერაფა“ დ. ფიფიას მიერ ახსნილია, როგორც „დაღამება“ (გვ. 12), გ. ბოჯგუას განმარტებით კი – „ღამის გასათევად დარჩენა საღამე, გადაღამება“ (გვ. 67). ორივე განმარტება ჩვენთვის მიუღებელია. „გადაღამების“ მეგრული შესატყვისია „გინოსერაფა“, „გესერაფა“ კი ითარგმნება, როგორც „გზაზე დაღამება, შემოღამება“. მაგ.: „ათე ოსურიში თის ართი ახალგაზრდა ბოშკოს ქივასერუ“ (ამ ქალის ოჯახში ერთ ახალგაზრდას შემოღამდა) (მ. ზუბუა, მეგრული ტექსტები, თბ., 1957, გვ. 11). არასწორია აგრეთვე მ. ბოჯგუასეული განმარტება სიტყვისა – „ლოჩანგაღაფა“ (ფეხარევით სიარული). წაფორხილების, ფეხის არევით სიარულის მეგრული შესატყვისია „ჩაკალი“, „ლოჩაკალუა“; „ლოჩანგალაფა“ კი „აკონვას, შეკონვას“ ნიშნავს. „თირინი“ არ არის „გადაღვრა“. იგი განიმარტება როგორც „თქრიალი“. ასევე „იმპუ“ უარყოფითი ნიშანი კი არა, თხის შესატყვისია.

ღანიელ ფიფიას წიგნის გამოცემით კარგი საქმე გაკეთდა. იგი დიდ ღაზმარებას გაუწევს ქართველ მეცნიერებს, მომავალში უფრო სრულყოფილი ლექსიკონის გამოცემის საქმეში.

*დაიბეჭდა გაზეთ „მარტვილში“
(აგვისტო-სექტემბერი, 2000 წ., გვ. 4).*

„საქართველოს ისტორია“

სულ ახლახან გამომცემლობა „არტანუჯმა“ გამოსცა საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის (XIX-XX სს.) სახელმძღვანელო IX კლასისთვის. წიგნის ავტორები არიან ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები – **მერაბ ვაჩნაძე და ვახტანგ გურული.**

XIX-XX საუკუნეების საქართველოს ისტორიის მრავალი საკითხი, განსხვავებით ოფიციალური (!), საბჭოური ისტორიოგრაფიისაგან, დღეს ახლებურად აღიქმება. ათიოდე წლის წინ, საბჭოთა ხელისუფლების წლებში, ზედმეტი იყო ლაპარაკი იმაზე, რომ სკოლებში, რუსეთ-საქართველოს ან საქართველოს სხვა ქვეყნებთან (მაგ., სომხეთთან, თურქეთთან და ა. შ.), ურთიერთობის ისტორიის ისეთი საკითხები ესწავლებინათ, როგორცაა – რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის დაპყრობა, ანტირუსული ძალების დასუსტებისა და განადგურების მიზნით რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ წარმოებული კოლონიური პოლიტიკა, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება, ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ რუსეთის მიერ გატარებული დემოგრაფიული, სოციალური და ეკონომიკური ექსპანსია, 1832 წლის შეთქმულების მნიშვნელობა ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში და მისი იდეური მემკვიდრენი „თერგდალეულთა“ სახით, პოლიტიკური რეაქცია და კოლონიური ჩაგვრის გაძლიერება XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა პირველი მსოფლიო ომის წლებში და ეროვნული საკითხი, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა (1917-1918 წწ.), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) ისტორია, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა (1921

წ., თებერვალი) და 70-წლიანი კომუნისტური ტოტალიტარიზმი, ეროვნული მოძრაობა XX საუკუნის 20-იან წლებში (1924 წლის აგვისტოს აჯანყების პოლიტიკური რეპრესიები), 1956 წლის მარტისა და 1978 წლის აპრილის მოვლენები და ა. შ.

ამ და მრავალ სხვა საკითხს საბჭოური ისტორიოგრაფია ან აყალბებდა და წერდა ისე, როგორც სახელმწიფოს „აწყობდა“, ან კიდევ შეგნებულად გვერდს უვლიდა და შეძლებისდაგვარად ცდილობდა მის მიჩქმალვას.

საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, საქართველოში ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პერიოდში, რასაც შედეგად საბჭოთა სისტემის ნგრევა და მასში შემაგალი რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღდგენა მოჰყვა, შესაძლებელი გახდა საქართველოს უკანასკნელი ორასწლიანი ისტორიის ობიექტური შესწავლა და გაანალიზება.

სარეცენზიო წიგნიც სწორედ ამ მიზანს ემსახურება. ახალი და უახლესი ისტორიის სკოლებში სრულყოფილად სწავლების თვალსაზრისით აღნიშნული სახელმძღვანელო წარმატებულ ცდას წარმოადგენს, რისთვისაც ავტორებს და გამომცემელს (ბუბა კუდავა) გვსურს უღრმესი მადლობა მოვახსენოთ. მასში შესწავლილი და გადმოცემულია საქართველოს ისტორია 1801 წლიდან 2000 წლამდე, აპრილში გამართული საპრეზიდენტო არჩევნების ჩათვლით.

წიგნი გამოცემულია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე და დასურათებულია საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი ფოტოებით. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ საქართველოს თვალსაჩინო ისტორიულ პირთა გვერდით, სკოლის მოსწავლეს შესაძლებლობა ეძლევა, წიგნში იხილოს იმ ადამიანთა ფოტოებიც, რომლებიც რუსეთის იმპერიის სამსახურში ყოფნით ძირს უთხრიდნენ საქართველოს სახელმწიფოებრიობას, ხელს უშლიდნენ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენასა თუ შენარჩუნებას. ესენი არიან – იოსებ სტალინი (ჯუღაშვილი), სერგო ორჯონიკიძე, ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი, შალვა ელიავა, ალექსანდრე გეგეჭკორი და სხვ. ჩვენი ფიქრით, ამ ადამიანთა ფოტოებით წიგნის დასურათება

ხელს შეუწყობს მოსწავლეს, რათა ობიექტურად შეაფასოს სა-
ქართველოსა და ქართველი ერის ისტორიული წარსული.

მერაბ ვაჩნაძისა და ვახტანგ გურულის ავტორობით გამოცე-
მული სახელმძღვანელო ძვირფას შენაძენს წარმოადგენს საშუალო
სკოლის IX კლასის მოსწავლეეთათვის.

*დაიბეჭდა გაზეთ „მარტილში“
(აგვისტო-სექტემბერი, 2000 წ., გვ. 4).*

სანიტარასო მონობრაფია იმერეთის დროუბითი მმართველოზის ისტორიაზა

1999 წელს გამოვიდა აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის თანამშრომლის – **გოდერბი ვაჭრიძის** წიგნი, რომელიც მიზნად ისახავს დასავლეთ საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხის – იმერეთის დროებითი მმართველობის 30-წლიანი (1810-1840 წწ.) ისტორიის მონობრაფიულ შესწავლას.

იმერეთში რუსული მმართველობის დამყარება მიმართული იყო ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ტრადიციებისა და ინტერესების წინააღმდეგ. ქართველი ერი, მიუხედავად უკიდურესად დასუსტებისა და ქვეყნის ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დანაწევრებისა, ადვილად არ ურიგდებოდა რუსეთის იმპერიის მიერ 1801 წელს დამოუკიდებლობის გაუქმებას და იბრძოდა დაკარგული თავისუფლების კვლავ მოსაპოვებლად. ამის გამოხატულება იყო კახეთის 1802 და 1812, ქართლის 1804, იმერეთისა და გურიის 1819-1820 წლების აჯანყება და 1832 წლის შეთქმულება, მოწყობილი საქართველოში რუსული დამპყრობლური პოლიტიკის დამხობის მიზნით. ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში გამორჩეული ადგილი უჭირავს იმერეთის მეფე სოლომონ II-ს. თუმცა მისი მცდელობა, დაებრუნებინა რუსეთის მიერ წართმეული სამეფო ტახტი, მარცხით დასრულდა. მკაცრი საოკუპაციო რეჟიმის პირობებში უზარმაზარ ძალას დაპირისპირებული სოლომონ მეფე უძლური აღმოჩნდა. ამიტომ იძულებული გახდა, რომ დაეტოვებინა მისი ქვეყნის ტერიტორია.

1810 წელს რუსეთმა საბოლოოდ დაიპყრო იმერეთი და დროებითი მმართველობა შემოიღო. ავტორის დასკვნით: „დროებითი

მმართველობის არსებობა იმერეთში, საქართველო-რუსეთის ურთიერთობის, და საერთოდ, რუსეთის კავკასიური პოლიტიკის ერთი, ჩვენი აზრით, საგულისხმო ფურცელია. პატარა იმერეთისადმი რუსეთის დამოკიდებულებაში, როგორც სარკეში, აისახა ე. წ. განაპირა მხარეებში ცარიზმის დიდმპყრობელური პოლიტიკის ნამდვილი არსი, რომელიც ხასიათდებოდა ცინიზმით, ორპირობით, ცბიერებითა და ძალადობით. ნათელი გახდა, რომ უზარმაზარს სამხედრო სახელმწიფოს დაპყრობილი ხალხების „ყრობის“ უაღრესად დაბალი კულტურა ჰქონდა. დროებითი მმართველობის დამყარებამ და მისი საქმიანობის პირველმა წლებმა იმერეთის მოსახლეობაში დიდი იმედგაცრუება გამოიწვია“. რუსული მმართველობა გაუქმებულ იქნა 1840 წლის 10 აპრილს შედგენილი დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც ამიერკავკასიაში რეფორმის გატარებას ითვალისწინებდა. დროებითი მმართველობა შეცვალეს სამაზრო მმართველობით.

წერილობით წყაროებსა და საქართველოს სიძველეთსაცავებში დაცულ მასალებზე დაყრდნობით, მკვლევარი, იმერეთის დროებით მმართველობას განიხილავს როგორც კავკასიაში რუსეთის ცარიზმის ადგილობრივი ხელისუფლების ერთ-ერთ ადმინისტრაციულ ფორმას. ამასთანავე, იგი მიზნად ისახავს, „შეისწავლოს და შეაფასოს დროებითი მმართველობის მიერ გატარებული ღონისძიებები იმერეთის პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ, საეკლესიო და კულტურულ ცხოვრებაში, მისი ურთიერთობა დასავლეთ საქართველოს სამთავროებთან, ახლებურად გაიაზროს რუსული მმართველობის წინააღმდეგ იმერეთის მოსახლეობის ბრძოლის ხასიათი, სოლომონ მეორის როლი XX საუკუნის პირველი ოცწლეულის პოლიტიკურ მოვლენებში, ობიექტურად დაახასიათოს იმერეთის პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებიც ქართველი ხალხისათვის ამ უაღრესად კრიტიკულ ვითარებაში საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დამცველთა, თუ მტრის ბანაკში იმყოფებოდნენ. მათგან გამოჰყოს ის პატრიოტი-მამულიშვილები, რომლებიც იძულებული გახდნენ უხეშ ძალას დამორჩილებოდნენ, რუსეთის მთავრობას შერიგებოდნენ, მაგრამ სამშობლოს სიყვარული არ განუღებიათ და მზად იყვნენ, საჭირო შემთხვევაში, მისთვის

თავი გაეწირათ“. წიგნში მოცემულია იმერეთის მმართველთა და მოვალეობის შემსრულებელთა ნუსხა, ბიოგრაფიებითურთ.

წიგნი შედგება წინასიტყვაობის, შესავლის (წყაროები და ისტორიოგრაფია), ოთხი თავისა და დასკვნისაგან. დართული აქვს რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე, აგრეთვე სახელთა საძიებელი და გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია.

იმერეთის დროებითი მმართველობის ისტორია მონოგრაფიულად შესწავლილი არ იყო. არსებობდა ლიტერატურა დროებითი მართვის ორგანოებისა და მოხელეთა უფლება-მოვალეობების შესახებ; პრაქტიკული საქმიანობა კი პირველად, ვრცლად სწორედ გოდერძი ვაჭრიძემ გამოიკვლია.

აღნიშნული მონოგრაფია მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს იმერეთის სამეფოსა და, საერთოდ, დასავლეთ საქართველოს, ისტორიის შესწავლის საქმეში.

**დაიბეჭდა გაზეთ „ჭყონდიდის ზარში“
(№1, 26 მაისი, 2001 წ., გვ. 2).**

დაჯილდოების ტრადიცია ძველ საქართველოში

ძველ საქართველოში მიღებული იყო მეომრის საბრძოლო იარაღით ან აღჭურვილობით დასაჩუქრების წესი. იგი მხედრული მამაცობისა და საბრძოლო დამსახურებისათვის გაიცემოდა ხოლმე. იარაღითა და აღჭურვილობით დაჯილდოების ძველისძველი ტრადიცია ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი დარგის – ფალერისტიკის შესწავლის საგანს წარმოადგენს.

აღნიშნული საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა, **ნიკო ჯავახიშვილმა** შეისწავლა. 1995 წელს მან აურნალ „არტანუჯის“ ბიბლიოთეკის სერიით გამოსცა სადისერტაციო ნაშრომი „ქართული ფალერისტიკა (ჯილდოთმცოდნეობა)“, ხოლო 1998 წელს გამოვიდა მისივე ბროშურა – **„დაჯილდოება ძველ საქართველოში“**.

აღნიშნულ ნაშრომში მკვლევარი ასაბუთებს, რომ ძველ საქართველოში ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების წესი არ არსებობდა. მაგრამ მამაცობისათვის მეომარს ყმა-მამულს, ფულს, ძვირფას ნივთებს, ჯიშთან ბედაურს ან საბრძოლო იარაღსა და აღჭურვილობას უბოძებდნენ ხოლმე. „მოგვეპოვება არაერთი კონკრეტული მაგალითი იმისა, რომ ამა თუ იმ ქართველ მეფეს, ბრძოლაში გამოჩენილი სიჩაუქისათვის, თავისი ხელით, „სიათა თოფით“, „მურასა ხმლით“, ანდა სხვა საომარი იარაღით თუ აღჭურვილობით დაუჯილდოებია მებრძოლი... ჯილდოთაგან ერთადერთი, რასაც მეომრები სიამოვნებით იღებდნენ, საბრძოლო იარაღი იყო. იგი მხედრული ღირსების დამადასტურებელ სიმბოლოდ წარმოადგენდა. იარაღის აყრა ვაკუაცისათვის უდიდეს

სირცხვილად იყო მიჩნეული. ხალხურმა ზეპირსიტყვიერებამ შემოგვინახა ლექსები და თქმულებები, სადაც მთიელი ვაჟკაცის საომარი საჭურველით დაჯილდოებაზეა საუბარი“ (ნ. ჯავახიშვილი, დაჯილდოება ძველ საქართველოში, თბ., 1998, გვ. 4-5).

მკვლევრის მიერ 1987 წელს, მთიულეთის სოფელ ძლეოთაში, ნინო გოგბაიძე-ბუთხუზისაგან ჩაწერილ ხალხურ ლექსში ვკითხულობთ:

„ასპინძას ვახლდი ბატონსა
ოგბაიძეთა გვარისა,
ჯილდოდ მიბოძა ფრანგული –
შენზედ ალალი არისა.
ორპირს წარწერა ამშვენებს –
„პატარა კახის არისა“.
გაჭირდეს, დავიხარჯები,
ზნე არის ჩემი გვარისა“

(ნ. ჯავახიშვილი, ქართული ფალერისტიკა (ჯილდოთმცოდნეობა), თბ., 1995, გვ. 14).

ამ ლექსში გადმოცემულია მთიულ ოგბაიძისათვის ერეკლე მეორის მიერ, ასპინძის ბრძოლაში გამოჩენილი მხედრული მამაცობის გამო, ჯილდოდ ხმლის გადაცემის ამბავი.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იმსახურებს ვაჟა-ფშაველას ლექსიც – „სიკვდილი გმირისა“, რომელშიც მომაკვდავი ვაჟკაცი მშობლებს ანდერძს უტოვებს, რომ მისი იარაღი ღირსეულ და მამაც გმირებს გადასცენ.

ნაწყვეტი ლექსიდან:

„ანდერძს უტოვებს დედ-მამას:
„შანშეს მიეცით ხმალია.
სხვის ხელში ნუმც მეგულება,
ღირსი სხვა არვინ არია:
ხანჯარი – ფუნჩაიშვილსა,
ის კარგი მეომარია“.

(ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, I, თბ., 1961, გვ. 116).

ხალხური ზეპირსიტყვიერი მასალებისა და წერილობითი წყაროების მიმოხილვის შემდეგ ნ. ჯავახიშვილი ეხება ქართული

სახელმწიფო ჯილდოების – ეროვნული ორდენებისა და მედლების შექმნის პირველ პროექტს, რომელიც ეკუთვნის ცნობილ მეცნიერს – იოანე გიორგის ძე ბაგრატიონს (1768-1830). ეს პროექტი ჩვენთვის ცნობილია „ჯუღუღების“ სახელით. აღნიშნულ პროექტში იოანე ბაგრატიონი ყურადღებას ამახვილებს ქართულ სახელმწიფო ჯილდოთა დაწესების საკითხზე და წერს: „იყოს ხმალი მოჭედილი, ვის ვითარ შეენოდეს და ზედ ჩართული სახელი დავით აღმაშენებლისა ვადაზედ ეწეროს“. მისივე აღწერით ხმალზე ამოტკივრული იქნებოდა დავით აღმაშენებლის ორდენზე შესრულებული წარწერის მსგავსი სიტყვები: „მამულისა, სიმხნისა და თავდადებისათვის“ (ი. ბაგრატიონი, *ჯუღუღება*, თბ., 1957, გვ. 22).

ნაშრომში საუბარია აგრეთვე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გვარდიის გენერლის – სტეფანე გიორგის ძე ახმეტელის (1877-1922) წმ. ვლადიმერის IV ხარისხის ორდენით დაჯილდოებისა და 1943 წლის 29 ნოემბერს, თეირანის კონფერენციაზე, დიდი ბრიტანეთის მეფის – გეორგ VI-ის მიერ ქართველი მარშლის – იოსებ სტალინისათვის (ჯუღაშვილი) საპატიო ხმლის გადაცემის ცერემონიაზე.

ნ. ჯავახიშვილის ნაშრომი „დაჯილდოება ძველ საქართველოში“ საინტერესო იქნება ქართული ფალერისტიკითა და, საერთოდ, საქართველოს ისტორიით დაინტერესებული მკითხველი საზოგადოებისათვის.

**დაიბეჭდა გაზეთ „მარტილში“
(მაისი-ივნისი, 2001 წ., გვ. 2).**

საინტერესო გამოკვლევა

ქართველმა მკითხველმა მიიღო იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის, ბატონ **პოლიკარპე (თემურ) მონიავას** ნაშრომი – „**სამართალწარმოების თავისებურებანი და პატივისა და ღირსების დაცვა სამეგრელოს სამთავროში (1801-1867 წწ.)**“. მასში, სამუზეუმო და საარქივო მასალებსა და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, შესწავლილია სამართალწარმოების თავისებურებებსა და პატივისა და ღირსების დაცვის დაცვასთან დაკავშირებული საკითხები.

ნაშრომის პირველ თავში ავტორი მოკლედ მიმოიხილავს სამეგრელოს სამთავროში არსებულ ვითარებას 1801-1840 წლებში, ხოლო მეორე თავში საუბრობს დავით დადიანის მიერ გატარებულ სასამართლო რეფორმასა და პატივისა და ღირსების დაცვის თავისებურებებზე, სამთავროში.

სამეგრელოს მთავრის მიერ გატარებული ადმინისტრაციული და სასამართლო რეფორმა ითვალისწინებდა სამთავროში მოურავის ინსტიტუტის გაუქმებასა და სამთავროს 8 მაზრად დაყოფას, რომელსაც მე-2 კლასის მდივანბეგები ედგნენ სათავეში (ჯ. კოპალიანი).

ავტორი ეხება სამეგრელოს უზენაესი სასამართლოს შექმნის ზუსტ თარიღს და ასკვნის, რომ სასამართლო უნდა შექმნილიყო 1841 წლის 1 იანვარს. ყურადსაღებია მკვლევარის აზრი, რომ 1 იანვარი გამოცხადდეს მოსამართლის დღედ საქართველოში. ავტორი საუბრობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეებზე – ნიკო დადიანსა და თავად როსტომ გიორგის ძე ჩიქვანზე, რომელსაც „როსტო ქულას“ ეძახდნენ. ეს უკანასკნელი უაღრესად საინტერესო პიროვნება იყო. „როსტომ ჩიქვანი არის იშვიათი ფიგურა წარსულის დროებისა მთელს ჩვენს სამეგრე-

ლოში. „დიდ ნიკო“ დადიანს შემდეგ, რომელმაც დაუწერა ლევან დადიანს „დასტურლამა“, ანუ მოძღვრება სამთავროს გამგეობისა, სამეგრელოს სამთავრო მმართველობაში სხვა არავინ მეგულება მასზე მეტად მნიშვნელოვანი და სახელგანთქმული, მოსწრებული სიტყვის პატრონი, დიდებულთა წინაშე უშიშარი, თვით მთავრის ურჩიც, როდესაც ამას მოითხოვდა მართლმსაჯულება. როსტომ მთელი ხალხის საყვარელი კაცი იყო“, – ასე ახასიათებს მას მწერალი იონა მეუნარგია. ასევე მოაქვს გუთუ აფაქიდის მიერ გამოთქმული ლექსი, სადაც როსტომ ჩიქვანი სამართლიან ადამიანადაა გამოყვანილი: „ხასილას კანი ვეგებმ, ფიცარიში გინანჯირა... მინილენან, დოჭარუნა, გიმილენან, დოსოფუნა, ხოლო ღორონთქ ნუ მოლას გუმარჩქინეთ როსთო-ქულა...“

საინტერესოა მსჯელობა „აღვოკატის“ შესატყვის ცნებაზე სამეგრელოში – „ასაბია“. „მიგვაჩნია, რომ ქართულ სამართალწარმოებაში უნდა დამკვიდრდეს უსაფუძვლოდ მივიწყებული ტერმინი „ასაბია“, ვინაიდან იგი უფრო ტევადი სიტყვაა და სრულყოფილად წარმოაჩენს იმ შინაარსობრივ დატვირთვას, რაც დღეს ლათინური წარმოშობის ტერმინ აღვოკატის (ONDVOCOO – ნიშნავს „გიწვევ“, „გაპატიჟებ“) ცნების ქვეშ მოიაზრება“, – წერს ავტორი (სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „ასაბია“ იგივეა, რაც „მტერზედ მიმყოლი შემწე“, ე. ი. დამხმარე).

დავით დადიანის დროს ოდიშის (სამეგრელო) სამთავროში, მოქალაქის პატივისა და ღირსების დაცვის მიზნით, გამოიყენებოდა ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი და ადათობრივი სამართლის ნორმები. ნაშრომში, სათანადო წყაროებზე დაყრდნობით, ავტორი ამ საკითხებზეც ვრცლად გვესაუბრება.

წიგნს დართული აქვს ავტორის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები და რეზიუმე ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. ნაშრომი სათანადო დახმარებას გაუწევს საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველ საზოგადოებას.

**დაიბეჭდა გაზეთში – „ადამიანთა უფლებები და მრწამსი“
(№34-35, 2005, გვ. 4).**

მტვერნაყრილი ფოლიანტიკის ახალი სიცოცხლე

გვარსახელი განსაკუთრებული ანთროპონიმული კატეგორიაა, რომლის სემანტიკის, სტრუქტურისა და ეტიმოლოგიის დადგენა უაღრესად საინტერესოა საქართველოს ისტორიული წარსულის შესწავლის თვალსაზრისით. გვარსახელების ცნობილი მკვლევარი, პროფესორი როლანდ თოფნიშვილი წერს: „გვარსახელი არის ის მემკვიდრეობითი სახელი, რომელიც სულ ცოტა სამი თაობის განმავლობაში მაინც გადაეცემა თაობიდან თაობას“.

გვართა სადაურობა-წარმომავლობის შესახებ არაერთი შესანიშნავი მონოგრაფიული ნაშრომია გამოცემული, მაგრამ უაღრესად საყურადღებოდ მივიჩნევთ კიდევ ერთ ნაშრომს, რომელიც ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორს, ბატონ **მერაბ კეზევაძეს** ეკუთვნის. ეს განლავთ ცალკე წიგნად შედგენილი ცნობარი – **„ქართული გვარსახელები იმერეთში (XIX საუკუნის 40-იანი წლები)“**.

წიგნში მოცემულია 1839-1843 წლების აღსარების მთქმელთა სიები, რომლებიც ქუთაისის არქივშია დაცული. ასეთივე ცნობარი რაჭის გვარსახელებზე მ. კეზევაძემ გამოაქვეყნა 2002 წელს.

წიგნს ერთვის რედაქტორის, ბატონ როლანდ თოფნიშვილის წინათქმა, სადაც ვკითხულობთ: „ამ წიგნით ქართული გვარსახელების ისტორიის შესწავლას კიდევ ერთი აგური ემატება. წიგნში წარმოდგენილი მასალა საინტერესოა, უპირველესად, გეოგრაფიული და სოციალური, ასევე ლინგვისტური თვალსაზრისითაც. ჩვენ შეგვიძლია თვალი გავადევნოთ ქართული გვარსახელების ფონეტიკურ სახეცვლილებებს. მერაბ კეზევაძემ მხოლოდ მშრალი საარქივო მასალა როდი წარმოგვიდგინა, მან თითქმის მთელი იმერეთი შემოიარა და საარქივო საქმეებიდან ამოკრებილი გვარები ადგილზე შეამოწმა.“

წიგნში წარმოდგენილია იმერეთის 220 ქალაქი და სოფელი, მათში განსახლებული 2000-მდე გვარსახელით. ისინი ამოკრებილია აღსარების მთქმელთა 30 წიგნიდან, რომელთა საერთო მოცულობა დაახლოებით 8 ათასი ხელნაწერი ფურცელია“.

წიგნი საინტერესოა გვარების მიგრაციული პროცესების ისტორიისათვის თვალმისადევნებლად (ეთნოისტორიულ მონაცემთა გათვალისწინებით), აგრეთვე გვართა სინშირის, მონაცვლეობისა და გავრცელების არეალის დასადგენად.

ცნობარი ორი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში ავტორი წარმოგიდგენს გვარსახელებს სოციალური იერარქიისა და სოფელ-ქალაქის მიხედვით, მეორე ნაწილში კი გვარსახელთა გეოგრაფიული საძიებელია მოცემული. ავტორი, გარდა ლოკუმენტში დადასტურებული ფორმისა, ფრჩხილებში, სადაც ეს შესაძლებელი იყო, მიუთითებს გვარსახელის თანამედროვე ფონეტიკურ ვარიანტსაც.

მერაბ კეზევაძეს, საესებით დამსახურებულად, ქებაც ეკუთვნის და მადლობაც. მასთან ერთად ეს სიტყვები უნდა ითქვას გიორგი ლეჟავაზეც. ამ უკანასკნელის ფინანსური დახმარება რომ არა, ერთობ საინტერესო ცნობარი დიდხანს ვერ იხილავდა დღის სინათლეს.

**დაიბეჭდა გაზეთ „რაეოში“
(№14, 1-15 დეკემბერი, 2005 წ., გვ. 8)**

გამოკვლევა კიტა აბაშიძეზე

„კიტა იყო სიტყვის ბეთჰოვენი, საქართველოს ოქროპირი. მან სავსებით შეიცნო და შეიგუა თავის სამშობლოს ენის საიდუმლოება და გადალახა ყოველივე დაბრკოლება“, – წერდა საზოგადო მოღვაწე იოსებ ბარათაშვილი.

2010 წელი კიტა აბაშიძისათვის საიუბილეო წელია. ქართველი ერი აღნიშნავს თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტის დაბადების 140-ე წლისთავს.

კ. აბაშიძის ლიტერატურულ-კრიტიკული მემკვიდრეობისადმი მიძღვნილი არაერთი ნარკვევია გამოქვეყნებული, მაგრამ რამდენიმე წლის წინ გამოცემული მონოგრაფიით კიდევ უფრო მნიშვნელოვნად შეივსო მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის სფეროში არსებული ხარვეზი: ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის, ისტორიის აკადემიური დოქტორის, **კახაბერ ქებულაძის** ნაშრომში – **„კიტა აბაშიძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი“**, რაც, თავის დროზე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად იყო წარდგენილი, სიღრმისეულადაა გაანალიზებული პუბლიცისტისა და პოლიტიკოსის ცხოვრება-მოღვაწეობის საინტერესო დეტალები.

ავტორმა მკითხველისათვის ხელმისაწვდომი გახადა საკვლევი თემის გარშემო არქივებსა და მუზეუმებში დაუნჯებული მრავალი მტკერწაყრილი ფოლიანტი და მოგვაწოდა ჟურნალ-გაზეთებში გაბნეული პუბლიცისტური წერილების, აგრეთვე კიტა აბაშიძის შესახებ არსებული მემუარული ხასიათის ლიტერატურის ანალიზი.

წიგნი შესავლის, წინასიტყვაობისა და სამი ძირითადი თავისაგან შედგება. პირველ თავში გადმოცემულია კ. აბაშიძის ცხოვრების გზის ყველა არსებითი დეტალი, მოყოლებული ქუთაი-

სის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლის დროიდან, სადაც იგი იყო ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ხელნაწერი გაზეთის გამოცემისა, ასევე მეთაური მოსწავლეთა ყოველი პროგრესული წამოწყებისა და გიმნაზიაში გამეფებული ბიუროკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლი, ამის შემდეგ კი – პარიზი, ოდესის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის წარჩინებით დასრულება, სამშობლოში დაბრუნება და თბილისის საკონტროლო პალატაში, რაჭისა და შორაპნის მაზრებში მომრიგებელ-შუამავლისა და მომრიგებელ-მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობა, ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს „საურთიერთო ნდობის ბანკის“ თავმჯდომარეობა, მოღვაწეობა „ივერიასა“ და „მოამბეში“.

კიტა აბაშიძე იყო ილია ჭავჭავაძის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებების პრაქტიკულად განმახორციელებელი, მისი ეროვნული მრწამსის მიმდევარ-გამზიარებელი. მის სახელს უკავშირდება საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის დაარსება, რაც ერთ-ერთ ავტორიტეტულ და პროგრესულ პოლიტიკურ გაერთიანებას წარმოადგენდა ქვეყნის მასშტაბით, ხოლო მისი თავკაცი ერთ-ერთ გამორჩეულ ფიგურად იქცა XIX საუკუნის დასაწყისისა და XX საუკუნის ათიანი წლების საქართველოს საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში.

მკვლევარი საგანგებოდ აღნიშნავს შემოქმედებითი ნიჭით გამორჩეული ახალგაზრდებისადმი კ. აბაშიძის გულისხმიერ დამოკიდებულებას. ამის კონკრეტულ დადასტურებად „ცისფერყანწელებთან“ ურთიერთობას მიიჩნევს. კ. აბაშიძე მათ „ახალი სიტყვის უბადლო ოსტატებს“ უწოდებდა, რაც არაერთი უსიამოვნების მიზეზიც გამხდარა მისთვის (იხ. კ. ქებულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 12).

1917 წელს კ. აბაშიძე ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის განათლების კომისრად დაინიშნა. ხერხემლის ტუბერკულოზით გარდაიცვალა 1917 წლის 17 დეკემბერს, ხოლო 24 დეკემბერს დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაიკრძალა.

მეორე თავი ოთხ პარაგრაფს აერთიანებს, სადაც შესწავლილია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა კ. აბაშიძის

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის დასაწყისი, მუშაობა ილიას „ივერიაში“ (ილიასა და „ივერიის“ ირგვლივ შემოკრებილნი იყვნენ იმდროინდელი ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები), საკუთარი გაზეთის დაარსების წარუმატებელი ცდა, აქტიური ბრძოლა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად. ფრიად ფასეულია მკვლევრის მსჯელობა კ. აბაშიძის ფსევდონიმების გარშემო, რომელთაც ავტორმა რამდენიმე ახალი დაუმატა.

მესამე თავში – „კიტა აბაშიძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მრწამსი“, გაშუქებულია კ. აბაშიძის შეხედულებები ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთობისა და საქართველოს ახალი ისტორიის საკითხების შესახებ, აგრეთვე ილიასა და აკაკის როლისა და ადგილის თაობაზე ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

კ. აბაშიძის შეხედულებაზე რაჭის მაზრაში დროებით ვალდებულ გლეხთა მიერ სანადელო მიწების გამოსყიდვის, ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის მუშაობისა და ნიკო ნიკოლაძესა და გიორგი ზდანოვიჩის შორის გამართულ დისკუსიაზეა საუბარი მონოგრაფიის მეოთხე თავში – „საქართველოს ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი საკითხი კიტა აბაშიძის პუბლიცისტიკაში“.

კიტა აბაშიძე აქტიურად ეხმიანებოდა ქართველი ერის წინაშე მდგარ საჭირობო პრობლემებს, იბრძოდა სომეხი შოვინისტების – ბ. იშხანიანის, მ. ანანუნისა და სხვათა წინააღმდეგ, მაგრამ, იმავდროულად, დიდი პატივისცემით იყო გამსჭვალული ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც კეთილგანწყობას ამჟღავნებდა საქართველოსა და ქართველებთან ურთიერთობაში. მათ შორის ერთ-ერთი თვით რუსი ეგზარქოსი პიტირიმიცაა, რომელმაც გულწრფელად დაიტირა ვაჟა-ფშაველა. საინტერესოა მისი კრიტიკული დამოკიდებულება დიდი რუსი მწერლის – მაქსიმ გორკისადმი, რომელმაც 1916 წელს „სომხური ლიტერატურის კრებულში“ ანტიქართული და ცილისმწამებლური მასალა გამოაქვეყნა; ასევე საქართველოში მცხოვრები რუსი პუბლიცისტი – ბ. სიმბორსკისადმი (სეკუნდანტი ილია ჭავჭავაძისა და ნიკო ნიკოლაძის დუელით), ვისაც კ. აბაშიძე გონებახვლიურად განუმარტავდა, რომ „აჭარელთა“ ღალატის დამტკიცებით სომეხი შოვინისტები ცდილობდნენ აჭა-

რიდან მკვიდრ ქართველთა გასახლებას, იქ ფეხის მოკიდებასა და ზღვაზე გასვლას.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია კ. აბაშიძის დამსახურება ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში ავტონომიის იდეის დამკვიდრების საქმეში. ავტონომიის მხარდამჭერნი ეროვნულ-პატრიოტულ ნიადაგზე იდგნენ, ხოლო უარმყოფელნი, ინტერნაციონალიზმის აღიარებით, ნებსით თუ უნებლიეთ, რუსული შოვინიზმის სამსახურში დგებოდნენ.

უადრესად საინტერესოა ერეკლე II-ის კ. აბაშიძისეული დახასიათება. მისი აზრით, ერეკლე მეფე იყო გენიალური სამხედრო მოღვაწე, მაგრამ პოლიტიკაში გამჭრიახობას მოკლებული. ქართველი კრიტიკოსი განსაკუთრებით უარყოფითად აფასებდა ერეკლეს დამოკიდებულებას იმერეთის დელეგაციის წინადადებაზე გაერთიანების შესახებ და მის ამ გადაწყვეტილებას მიიჩნევდა სერიოზულ პოლიტიკურ შეცდომად.

აღსანიშნავია ისიც, რომ კ. აბაშიძის დამოკიდებულებას, ერეკლე II-ის შეფასებასთან დაკავშირებით, სავსებით იზიარებდა XIX საუკუნის 60-იანი წლების ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის უახლოესი თანამოაზრე, მათი აქტიური თანამებრძოლი იაკობ გოგებაშვილი (**იხ. ი. გოგებაშვილი, რანი ვიყავით გუშინ?, თბ., 1990, გვ. 176-182**).

რაც შეეხება 1832 წლის შეთქმულების შეფასებას, კ. აბაშიძე მას არ თვლიდა საკუთრივ „თავადაზნაურულ მოძრაობად“, თავადაზნაურული იდეოლოგიისა თუ ქართველი თავადაზნაურობის პირადი ინტერესების გამომხატველად (როგორც ეს ქართველ სოციალ-დემოკრატებს მიაჩნდათ და შემდგომშიც, საბჭოთა მეცნიერებაში, საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს წარმოადგენდა). ეს შეთქმულება კ. აბაშიძისათვის არ იყო მარტოლოენ „ბრწყინვალე წოდების“ შეთქმულება, არამედ „შეთქმულება ქართული საზოგადოების განათლებული წრისა“, რაშიც „რაიმენაირი მონაწილეობა მიუღია ყველა იმ დროის ქართველს, რომელსაც რაიმე აზრი და გრძნობა ჰქონდა ან რაიმე ადგილი ეკავა იმ დროის ქართველ საზოგადოებაში“ (**იხ. კ. ქებულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 91**).

ხაზგასმით აღვნიშნავთ კ. ქებულაძის მონოგრაფიის წყაროთ-
მცოდნეობითი ბაზის სიუხვეს, რასაც 14 გვერდი უჭირავს.

სათანადო სამეცნიერო ლიტერატურისა და წყაროების ღრმა
მეცნიერული ანალიზის საფუძველზე კახაბერ ქებულაძემ მკითხვე-
ლის წინაშე წარმოადგინა კ. აბაშიძის – აუაღრესად განათლე-
ბული, გამორჩეული და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწისა და
პუბლიცისტის პორტრეტი, პიროვნებისა, ვინც მტკიცედ იდგა
ქართველი ხალხის ინტერესთა სადარაჯოზე, ვითარცა მშობელი
ქვეყნის უკვდავ-უბერებელი მეციხოვნე.

დაიბეჭდა ჟურნალ „განთიადში“ (№1-2, 2011, გვ. 190-191). იგივე
წერილი, სათაურით – „მნიშვნელოვანი გამოკვლევა „საქართველოს
ოქროპირზე“, დაიბეჭდა გაზეთებში – „ქუთაისის უნივერსიტეტსა“ (№11-
12, ნოემბერი-დეკემბერი, 2010, გვ. 7) და „იმერეთის მოამბეში“ (№3-4,
15 თებერვალი, 2011, გვ. 5)

აბაშის რაიონის გეოგრაფიული სახელწოდებანი

(რეცენზია პროფ. პაატა ცხადაიას ნიგნზე)

სპეციალური სერიით – „სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი“ – გამოცემულ წიგნებს 2013 წელს კიდევ ერთი შემატა, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტთან არსებული ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **პაატა ცხადაიას** წიგნი („**სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VIII. აბაშის რაიონი**“. თბ., 2013). საველე ექსპედიციების გზით 1984-1986 წლებში მოპოვებული აბაშის რაიონის ტოპონიმთა სალექსიკონო მასალის მერვე წიგნში თავმოყრილ მკვლევარმა დაასრულა კიდევ სამეგრელოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა ლექსიკონების გამოცემა.

სარეცენზიო წიგნი 304-გვერდიანია. იგი შედგება წინასიტყვაობის (გვ. 5-10), პირველი („აბაშის რაიონის საკრებულოები, სოფლები, რესპოდენტები“, გვ. 11-111) და მეორე („ტოპონიმთა სია“) ნაწილისაგან (გვ. 112-286); **დანართში** წარმოდგენილია სუჯუნიის თემის საკრებულოში ჩაწერილი ზონიმი (გვ. 287-289). წიგნს ერთვის **გამოყენებული ლიტერატურის სია** (სულ დასახელებულია 122 წიგნი და სტატია; გვ. 290-300) და **შემოკლებანი** (გვ. 301). ლექსიკონის რედაქტორია პროფ. **მერაბ ჩუხუა**, რეცენზენტები არიან **რევაზ აბაშია** და წინამდებარე წერილის ავტორი.

იმთავითვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ პროფესორი პაატა ცხადაია გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისიდან იკვლევს დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, სამეგრელო-სამურზაყანოსა და რაჭა-ლეჩხუმის ტოპონიმებს. ამ დარგში, ამასთანავე, ანთრო-

პონიმიისა და ზონიმიისმთელ რიგ პრობლემურ საკითხებზე, მას გამოქვეყნებული აქვს ოცი წიგნი და რამდენიმე ათეული სამეცნიერო ნაშრომი.

სარეცენზიო წიგნის წინასიტყვაობაში მკვლევარი ხაზგასმით აცხადებს, რომსწორი მეცნიერული ანალიზის შემთხვევაში ტოპონიმს (გეოგრაფიულ სახელწოდებას) განსაკუთრებულმნიშვნელობა ენიჭება. ტოპონიმების მეშვეობით შეიძლება დასაბუთება იმისა, „თუ რომელი ხალხია აბორიგენი ამა თუ იმ რეგიონისა: წარსულის გეოგრაფიული სახელწოდებანი ცხადყოფენ, რომ ქართული (მეგრული, სვანური) ტოპონიმური ფენა აფხაზეთში სუბსტრატულია, ხოლო აფხაზური ტოპონიმია სამურხაყანოში სუპერსტრატს წარმოადგენს. ასეთივე ვითარებაა ჯავახეთსა და ქვემო ქართლის ტოპონიმიაშიც. ორივე რეგიონში პირველადი და აბორიგენულია ქართული მოსახლეობა, ხოლო არაქართული მოსახლეობა შემდგომ არის დამკვიდრებული ამ რეგიონებში“ (პ. ცხადაია, VIII, 2014: 5).

პ. ცხადაიას მართებული შეფასებით, სამეგრელოს სხვა რაიონებთან შედარებით ტერიტორიულად მცირე აბაშის რაიონის ტოპონიმიაც ისევეა წარსულის მაცნე, როგორც საერთოდ მთელი ქვეყნის ტოპონიმია (იხ. წიგნის ანოტაცია).

მკვლევარი აანალიზებს ალ. ცაგარელის მსჯელობას ნოღელა-ცხენისწყლის შუამდინარეთის, ანუ ამჟამინდელი აბაშის რაიონის ცხენისწყლისპირა სოფლების ენობრივისიტუაციის გარშემო, რაც მოცემულია 1880 წელს გამოცემულ ნაშრომში – „მეგრული ეტიუდები“. მასში ხაზგასმითაა აღნიშნული ქართული ენის უპირატესობის შესახებ ნოღელა-ცხენისწყლის შუამდინარეთში (ალ. ცაგარელი, 1880: VI). ალ. ცაგარელის მიერ დასახელებული სამი სოფლიდან, ავტორის აზრით, ქართული ენა გაბატონებული ყოფილა მაიდანში. მეგრული ენის უპირატესობაზე მიუთითებს სამიქაოში, ხოლო მარნის თემის სოფ. ილორის შემთხვევაში დასძენს, რომ ამ სოფელში ქართულის უმნიშვნელო უპირატესობა ფიქსირდება.

„მეგრული ეტიუდების“ გამოცემიდან ერთი საუკუნის შემდეგ არსებულ ვითარებას პ. ცხადაიას მიერ მოპოვებულტოპონიმურმა-

სალებში შემდეგი სახით არის წარმოდგენილი: სამიქაოს თემის საკრებულოში (მასში შედის ორი სოფელი: სამიქაო და მაიდან) დიდი თუ მცირე ობიექტის სახელწოდებად 1986 წელს ჩაწერილი 307 სახელწოდებიდან, მხოლოდ რამდენიმე ერთეულის გამოკლებით, ტოპონიმები ქართულენოვანია და მეგრულენოვანი მასალა ფაქტობრივად არც კი ჩანს. მაშასადამე, ტოპონიმური სურათი ალ. ცაგარელის ნაშრომში მოცემული ვითარებისაგან განსხვავებულია. ასეთივე ვითარებაა სამიქაოს თემის სამხრეთით, რიონ-ცხენისწყლის შესართავამდე მდებარე გეზათის, ქოლობნის, მარნისა და პირველი მაისის საკრებულოებში (პ. ცხადაია, VIII, 2013: 5-6).

ტოპონიმიკური თვალსაზრისით სხვაგვარი სურათი გვაქვს რიონის მარცხენა მხარეს მდებარე კეთილარის თემის საკრებულოში, რაც სამ სოფელს – კეთილარს, გაღმა კოდორსა და გულეიკარს აერთიანებს. სამტრედიის რაიონის საზღვარზე მდებარე სოფ. გულეიკარში პ. ცხადაიას მიერ 1985 წლის ოქტომბერში ჩაწერილი 43 ტოპონიმიდან თითქმის ნახევარი მეგრულია (გიგოშ ნაქობალუ, დუქანკარი, კოხნარიშ ფართობი, ნოჯიხენი, ჭილაიამ ნაშარუ...). კეთილარში იმავე წელს ჩაწერილი 116 ტოპონიმიდან ძირითადი ნაწილი მეგრულია, ხოლო ქართულენოვანი ტოპონიმების რაოდენობა ძალზე მცირეა. აბაშის რაიონის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში მდებარეობს სოფ. გაღმა კოდორი. აქ ჩაწერილი ყველა ტოპონიმი მეგრულენოვანია.

ნოღელა-ცხენისწყლის შუამდინარეთში, პ. ცხადაიას მოსაზრებით, დასტურდება იმერულ-გურული დიალექტებიდან ნასესხები ლექსიკური ერთეულების შემცველი ტოპონიმები. მკვლევარი ასახელებს ჰიბრიდული ინტერფერენციის რამდენიმე მაგალითსაც: **ქოლობანი** (სოფელი) ← **ქოლო** (მეგრ. კოლი; წყარო)+**უბანი** (ქართ.); **ბულვანი** (სოფელი) ← **ბული** (მეგრ. ბალი)+ქართული სადერივაციო ერთეული **-ოვან**; **ჭუბურვანი/ჭუბროვანი** „წაბლნარი“ ← სახნავი: მეგრ. **ჭუბური** „წაბლი“+ქართ. **-ოვან** (→ **ჭუბროვანი**) (იქვე: 7-8).

პ. ცხადაიას მიერ სავსე ექსპედიციების გზით მოპოვებულ ტოპონიმურ მასალასთან ერთად სარეცენზიო წიგნში წარმოდგე-

ნილია სახელდებული ობიექტის მიკროლოკალიზაცია, მოტივაცია, ამოსავალი ფუძის ეტიმოლოგია და ისტორიული წყაროების მონაცემები (სადაც ეს შესაძლებელი იყო).

აღნიშნული სალექსიკონო მასალა მნიშვნელოვნად ავსებს და შედარებით სრულყოფილად წარმოაჩენს აბაშის რაიონის ტოპონიმთა, კერძოდ, მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ღირეკტორის, ისტორიკოს გივი ელიავას ავტორობით 1977 წელს ცალკე წიგნად გამოცემულ „აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმოკას“, სადაც აბაშის რაიონის ტოპონიმთა ასევე მნიშვნელოვანი ნაწილია თავმოყრილი.

იმის მიუხედავად, რომ გ. ელიავას წიგნში, ჩვეულებრივ, ტოპონიმის შემდეგ მოცემულია არა კონკრეტული ობიექტის დასახელება, არამედ ზოგადი ტერმინი, ამასთანავე, დასახელებულ ტოპონიმთან დაკავშირებული სხვა სახის ინფორმაციებიც ძალზე მწირი და ფაქტობრივად არაფრისმთქმელია, პ. ცხადაიას სავსებით სამართლიანი შეფასებით, ეს ნაშრომი მაინც ქართული ონომასტიკური ლიტერატურის საჭირო შენაძენად უნდა მივიჩნიოთ. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუკი გავითვალისწინებთ შემდეგ გარემოებას: ცნობილია, რომ ბუნებრივი და ისტორიული ქართველბიიწვევს გეოგრაფიულ სახელწოდებათა ერთი ნაწილის დროთა განმავლობაში დაკარგვას ან შეცვლას. ასე, მაგალითად, გასული საუკუნის 60-იან წლებში მარტვილის (მაშინდელი გეგეჭკორის) მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სამეცნიერო ექსპედიციის მიერ აბაშის რაიონის სოფლებში ჩაწერილი მრავალი ტოპონიმი არაა დასახული პ. ცხადაიას წიგნში, ანუ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ბატონი პაატა ვერ შეხვდა ისეთ რესპოდენტს, რომელიც დაეხმარებოდა მას გივი ელიავას მიერ 1977 წელს გამოცემულ წიგნში თავმოყრილი ზოგიერთი გეოგრაფიული სახელწოდების ლოკალიზაციის, სემანტიკისა და მოტივაციის დადგენაში; ე. ი. ამ ორი მეცნიერის სათვალსაწიერო, საკვლევი პერიოდი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ტოპონიმთა ერთი ნაწილის „სიცოცხლის ხანგრძლივობა“ ხანმოკლე ყოფილიყო; მეორე, სიცოცხლისუნარიან ნაწილს კი ფორმით ან შინაარსით შეცვლილი სახელი ჩანაცვლებოდა.

ზემოთ თქმულში მეტი სიცხადის შესატანად აქვე მოვიხმოთ რამდენიმე მაგალითს:

გ. ელიავა აბაშის რაიონის „წყემის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში ასახელებს 44 ტოპონიმს (გ. ელიავა, 1977: 32-34). ამ ტოპონიმთა პ. ცხადიას სალექსიკონო მასალასთან შედარებით გავარკვით, რომ გ. ელიავას მიერ დამოწმებული მიკროტოპონიმები – ღელე ტესური, ოთიფური, ცხირონი, ნიმატყა, რუსკარი, ჭობარი, ნაშენი, ეთუნგიე, ნაჯიხუ, დაჩა, წისქვიკარი, ნაცაცხვერა, კადარი და ხარდანი არაა შესული პ. ცხადიას ლექსიკონში. გ. ელიავა ასახელებს ტოპონიმებს: დადიამში ნოხორიი „დადიანის ნასახლარი“, ტაშური, ეწერი, ჯახირი, დაბაი ტყა „დაბალი ტყე“, ანაფური, ტები, ზუგა, ჩემონა... პ. ცხადია კი თავის წიგნში წარმოგვიდგენს ტოპონიმთა ვარიანტულ, პარალელურ ფორმებს: დადიამ დოხორე//კოკიმ დოხორე, ტაშური, ეწერობა, ჯახირი, დაბალი, ალანური, ტებონა, ზუგუ//ცხაცხუჯინჯი, ჩეჩონა//ჩოჩონა...

უაღრესად საგულისხმოა პ. ცხადიას მსჯელობა აბაშის რაიონის ოიკონიმთა ისტორია-ეტიმოლოგიის საკითხებზე, რაც მოცემულია წიგნის პირველ ნაწილში. ამჯერად ზოგიერთ მათგანზე გავამახვილებთ ყურადღებას.

მკვლევარი „გეზათის“ ეტიმოლოგიაზემსჯელობისას იმოწმებს ბ. ჯორბენაძის თვალსაზრისს, რომ „-ათ სუფიქსს თვლიან ქართული -ეთ სუფიქსის ზანურ შესატყვისად“; თუმცა გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებლად -ათ სუფიქსის გამოყოფა მაინც სადაოა. აკად. ს. ჯანაშია საგანგებოდ შეეხო -თი სუფიქსის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ „აქ უნდა გვქონდეს ოდესღაც თავისთავად არსებული სიტყვა, რომელსაც საფუძვლად დადებული ექნებოდა „ოჯახის“, „გვარის“ ცნება. სათანადო ძიების შედეგად ასეთი რამ მართლაც აღმოჩნდა. პროფ. იოს. ყიფშიძე თავის მეგრულ-გურულ ლექსიკონში უჩვენებს თი სიტყვას, რომელსაც მისი განმარტებით აქვს შემდეგი მნიშვნელობანი: „ოჯახი“, „სახლი“, „სახლ-კარი“ (თუ კომლი – двор“?), „სავარეულო“ (ს. ჯანაშია, მრავლობითი რიცხვის -თა/თ- სუფიქსის ეტიმოლოგიისათვის. შრომები. ტ. III, თბ., 1959: 152). სახელოვანმა მეცნიერმა ნათესაური

ჯგუფის სტრუქტურის საკითხებზე მსჯელობისას ცხადყო, რომ თი მეგრულში ოჯახის, სახლის, საგვარეულოს აღმნიშვნელია (იქვე: 152-155). ასევე ესმით თი სიტყვა ო. ქაჯაიას და ა. ქობალიას. შდრ.: ო. ქაჯაია: „თი (თის) (მრავლობითი რიცხვი არ აქვს) ოჯახი; სახლი; სახლ-კარი“ (ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბ., 2002: 46); ა. ქობალია: „თი ოჯახი, სახლი, გვარის განაყარი; ოჯახის საცხოვრისი;“ (ა. ქობალია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 2010: 315).

3. ცხადაია სამეგრელოს ტოპონიმიაში გამოყოფილ -თი დაბოლოებას მორფემოიდად მიიჩნევს. -თი „წარმოქმნის ჯგუფურ ანთროპონიმებს, რომლებიც ხშირად ტოპონიმებადაც იქცევა: თოლორდა (გვარსახელი თოლორდავა) → თოლორდათი „თოლორდას შთამომავალნი, თოლორდას მოდგმა“. ამგვარი ანთროპონიმი ხშირად გადადის ტოპონიმის რანგში. მაგრამ -თი დროთა განმავლობაში იქცა მორფემოიდად და გაუტოლდა სპეციფიკურ ტოპოფორმანტს. ამიტომ შემორჩენია უბნებს ასეთი სახელწოდებანი: თოლორდათი//სათოლორდო, ბერიათი//ლებერიე“ (იქვე: 19).

მსგავსი წარმოებისაა აბაშის რაიონის რამდენიმე კომონიმი: **გულუხეთი, ზანათი, გუგუნაყათი, სეფიათი//სეფიეთი.** საინტერესოა 3. ცხადაიას მსჯელობა ოიკონიმ გუგუნაყათის ← მეგრ. გუგუნა?ა-თი) ეტიმოლოგია-მოტივაციაზე. ქართველურ ენებში ჰიატუსის თავიდან ასაცილებლად თანხმოვნის ჩართვა რომ საჭიროა, ცნობილი ფაქტია. მკვლევარი თქმულის საილუსტრაციოდ იმოწმებს მაგალითებს ი. ყიფშიძის ნაშრომიდან: მა „მე“ → მა-ვა „მეო“, მუ ფქიმინა „რა ვქნა“ → მუ ფქიმინა-ვა „რა ვქნაო“ (ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი. კრებული გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო პროფ. კორნელი დანელიამ. თბ., 1994: 43). მეგრულში დღეს, მართალია, საგანგებო საგვარსახელო სუფიქსებია -ვა, -ია, -უა ბევრათკომპლექსები, მაგრამ ირკვევა, რომ ისტორიულად ამ ფუნქციას -ა ხმოვანი ასრულებდა. „ქართული სამართლის ძეგლების“ მრავალტომეულში დასტურდება გვართა შემდეგი ფორმები: **გუგუნაა, ნიკოლაა, შაფათაა...** ჰიატუსის თავიდან ასაცილებლად მოხდა ამ გვარებში გ თანხმოვნის ჩართვა, რის გამოც მივიღეთ გუგუნავა, ნიკოლავა,

შაფათავა. მაგრამ, როგორც ჩანს, ჰიატუსის თავიდან ასაცილებლად იშვიათად, მაგრამ მაინც გამოიყენებოდა? ბერაც. ამის მაგალითია გვარი **გუგუნავა** და მის გვერდით გამოყენებული გუგუნა?ა ფორმა. მაშასადამე, დაასკვნის პ. ცხადაია, გვარსახელ „გუგუნა?აში? ისეთივე ჩანართია, როგორც ვ. ასეთ შემთხვევაში: გუგუნა?ა (გვარსახელი) → გუგუნა?ათი „გუგუნა?ას ოჯახი, გუგუნა?ას შთამომავლობა“ (ჯგუფური ანთროპონიმის ტოპონიმთა რანგში გადასვლა სამეგრელოს ტოპონიმიაში იშვიათი აღარაა). გუგუნაყათი მეგრული გუგუნა?ათის ქართული ვარიანტია“ (იქვე: 38).

ოიკონიმ „ნორიოს“ მკვლევარი უკავშირებს წყლის ასამაღლებელი მოწყობილობის არაბულ სახელს – ნურიას: ნურია ბორბლისებური მოწყობილობა ყოფილა, აღმა (ფერდობზე) წყლის მისაწოდებელი (იქვე: 47-48).

პ. ცხადაია იმოწმებს სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს (კ. ჰანი, კ. კაჭარავა, ი. კეკელია) კომონიმ „წალიკარის“ ამოსავალ ფუძესთან დაკავშირებით. 2010 წელს გამოცემულ ნაშრომში („აბაშის რაიონის დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი“) გამოვთქვით მოსაზრება, რომ წალიკარის ამოსავალი ფუძეა მცენარის სახელწოდება წალიკა, ხოლო არ საწარმოქმნო სუფიქსი კრებითობა-სიმრავლის გამომხატველია და-ნარ სუფიქსს ემსგავსება. მაშასადამე, წალიკ-არ-ი იგივეა, რაც „საწალიკე“, ადგილი, სადაც მრავლად ხარობს მცენარე წალიკა (ი. კეკელია, 2010: 85). პ. ცხადაია ამასთან დაკავშირებით დაასკვნის: „მისაღები იქნებოდა ი. კეკელიას განმარტება, რომ წალიკარი (← წალიკნარი ← წალიკა) „იგივეა, რაც „საწალიკე“..., მაგრამ სიტყვა წალიკა (ბალახია ერთგვარი) მეგრულში არაა გავრცელებული (შდრ. ა. მაყაშვილი: წალიკა – მეგრ. სარდაკია, სანდრაკია). ქეგლ-ისა და ალ. ლლონტის „სიტყვის კონის“ მიხედვით, სიტყვა წალიკა გავრცელებულია ქართლურ, გურულ, იმერულ დიალექტებში (შდრ. რაჭა-იმერეთის გამყოფ ქედზე საძოვარს ეწოდება საწალიკე“ (პ. ცხადაია, VIII, 2014: 89).

პატივცემული მკვლევრისთვის ასევე მიუღებელია კომონიმ „ტყვირის“ ჩვენეული განმარტება. ვეყრდნობოდით რა ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ მოცემულ ტყვირი სიტყვის განმარტებას,

ვფიქრობდით, რომ შესაძლებელია სოფლის სახელწოდება ტყვი-რის სემანტიკაც დაკავშირებული ყოფილიყო ტყის, ეკალ-ბარდის მნიშვნელობასთან (ი. კეკელია, 2010: 77). მაგრამ ამ შემთხვევაში, დასძენს პ. ცხადაია, ასახსნელია ოიკონიმტყვირ-ში -ვ თანხმოვნის არსებობა, ვინაიდან ბგერა-ფონემის მთავარი დანიშნულებაა ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობის ცვლა (იქვე: 92-93).

პ. ცხადაიას მიერ გამოცემული წიგნი მრავალმხრივი ინფორმაციის შემცველია. ამიტომ მისი გამოცემით ავტორმა დიდი სამსახური გაუწია ქართველური ტოპონიმის საკითხებით დაინტერესებულ სპეციალისტებს. ამჯერად მკითხველს გვსურს გავაცნოთ ჩვენი შეხედულება ზოგიერთ ისეთ საკითხზე, რამაც ყურადღება მიიქცია წიგნის წაკითხვისას.

ცნობილი ფაქტია, რომ ტოპონიმში შეიძლება დადასტურდეს ისეთი სახელწოდება, რომლის ამოსავალი საზოგადო სახელი არ დასტურდება დღემდე გამოცემულ ლექსიკონებში. აბაშის რაიონში ჩაწერილ ტოპონიმთაგან ასეთია ჯაღელური//შონიაშ ოლე – სახნავის სახელწოდება ნოღელის მარჯვენა მხარეს, სოფ. ტყვირში. „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ მოცემულია ოლე სიტყვის რამდენიმე მნიშვნელობა:

1. პატარა ტყე მინდორში ან მდინარის პირას.

2. ახლში საჩრდილობლად დატოვებული ხე (ან ბუჩქი)... შენ ლიახვის კლდეზე დგახარ ძველი მოსასხამით, – ოლე, ოლე, მარტო ხეო, დღისითა და ღამით (გ. ლეონ.)...

3. კუთხ. (ქართლ. გ.-კახ.) იგივეა, რაც ბერყენა;

4. კუთხ. (რაჭ.) იგივეა, რაც ბუჩქნარი. „შონიაშ ოლეს“, როგორც ტოპონიმის, მეორე კომპონენტის – „ოლეს“ შინაარსი სულ სხვაგვარია: ოლე „მეზობელი, გვერდით მდებარე, მოსაზღვრე“ – განმარტავს პ. ცხადაია (იქვე: 283). მარნის გორა ეწოდება საძოვარს სოფ. მარნის საზღვარზე, თხმელარში. გ. ელიავას ტერმინი მეგორავე ახლო მეზობლის, ძირის მეზობლის მნიშვნელობით ჩაუწერია მარანში, სამიქაოში, გეხათსა და ქოლობანში. გადმოცემით, წინაპრებს გორაზე უცხოვრიათ. გორიდან ჩამოსულ, მეზობლად მცხოვრებ ახლობლებს, ძირის მეზობლებს მეგორავეს ეძახდნენ თურმე (გ. ელიავა, ეთნოგრაფიული სამეგრელო. აღ-

ბომი. ქუთ., 1989: 107). თხმელარში ადგილის სახელწოდებად დამოწმებული მარნის გორის მეორე კომპონენტი გორა საზღვრის აღმნიშვნელია (იქვე: 168).

როგორც სალექსიკონო მასალების გულდასმითი ანალიზიდან ჩანს, აბაშის რაიონის ტოპონიმიაში ინდიკატორად გამოყენებულია გორა, ზუგა (ზურგა, ზუგე), ნასახლარი (ნამოსახლარი, ნამოსახლი), წყალი, ხევი, ხაბო, მანი, წყურგულე „ცივწყარო“, ტყე, ტყა „ტყე“, თავი, დუდი „თავი“, ჭალა, კარავი//კარე (ნაკარე), ძირი, ჯინჯი „ძირი“, უბანი, კუთხე, ქუჩა, კარი, მუხური//მუხურე, გზა, წისქვილი, ნაწისქვილარი, ღელე, ღალი „ღელე“, ოთიფურე „სათიბი“, ყანები, ზღვაურა, მალალი, დაბალი, გაღმა, გამოღმა, ბეგი, ეკლესია, ოხვამე „ეკლესია“, ბოგირი, მიწა, დისა „მიწა“, პირი, პიჯი „პირი“, ყანა, ?ვანა „ყანა“, ხიდი, ხინჯი „ხიდი“, ბოგა (ბოგირი), მინდორი (მიდორი), ფართობი, წკობი, ფშიარი, ჭორთი, ფონი, საბანაო, მამული, დობერა (დობირო), ეზო, ნაეზვარი, ძგა „კიდე“, სამანი, პარონი, დამბა, რიყე, ციხე, ქალაქი, სოფელი, ღარი, არხი, რჩქონი//ჩქონი, ტობა „ტბა; ღრმა“, ხაბო, წაკორტი, კოდე, ხარდანი, ჩაი და სხვ. მრ.

გვხვდება ღრმონიმი (ტყის სახელის) კომონიმად ქცევის მაგალითები: სუჯუნა „სუროვანი“ ტყის სახელი აქ გაშენებული სოფლის სახელად ქცეულა; თხმელარი „თხმელნარი“ – სოფელი პირველი მაისის თემში... ლანდშაფტის ამსახველი ონიმი მაიდან „მოედანი“ სოფლის სახელად გვხვდება: მაიდან ეწოდება სოფელს სამიქაოს თემში. ნაგებობის სახელის კომონიმად ქცევის ნიმუშია მარანი. ასე ეწოდება სოფელს ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირზე.

სამკომპონენტიანი ტოპონიმია **წყარდანოღელაშუა**. პ. ცხადაიას ცნობით, ამ სახელს ატარებს სახნავი და წყაროს შესართავი მდ. ნოღელასთან, სოფ. მაიდანში (იქვე: 272). საგულისხმოა ის გარემოება, რომ დამოწმებული ტოპონიმი ორენოვნების ნიმუშსაც წარმოადგენს. პირველი კომპონენტი წყარ მეგრულში აღნიშნავს „წყალს“.

პიბრიდული ინტერფერენციის ნიმუშებია: **ჭალის კუთხე/გულეკარიშ ჭალე** (პ. ცხადაიას კომენტარი ამ ტოპონიმთან დაკავშირებით: გულეიკარში „დასტურდება ერთადერთი შემთხვევა,

როდესაც ერთ ობიექტს (სოფლის უბანს) ორი სახელწოდება აღნიშნავს – ერთი ქართული და ერთიც მეგრული“), გვატილიამს ნამოსახლარი „გვატილიას ნამოსახლარი“ და სხვ.

დასტურდება -ობა ნაწილაკით ნაწარმოები რამდენიმე მიკრო-ტოპონიმი: **ბოზურობა, ეზობობა, კარობა, კოდორობა, ნაეზვარე-ბი//ეზობობა, ნოზორიეფი//ნოზორიობა, ნოზორობა, რიონპიჯობა, ჩიტიების ეზობობა** (იქვე: 122, 141, 153, 159, 176, 196, 262).

პ. ცხადაიას აზრით, „სუფიქსი -ობა ფუნქციით უტოლდება -ეფ-ს“ (იქვე: 196). ა. ქობალია შენიშნავდა, რომ -ობა დღეობის აღმნიშვნელი ნაწილაკია. შდრ. გერგობა, ელიობა (ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010: 529). ო. ქაჯაია მიიჩნევს, რომ -ობა, -ობუა სუფიქსები აწარმოებს აბსტრაქტულ სახელებს არსებითი, ზედსართავი და კუთვნილებითი ნაცვალ-სახელებისაგან (ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი. თბ., II, 2002: 417).

გვხვდება **ნა-, ნო-** და **სა-** პრეფიქსიანი, **ნა-ო, ნა-უ, ნა-ა, ნა-ევ, ნა-ებ, ო-ე, სა-ა, სა-ე და სა-ო** პრეფიქს-სუფიქსიანი, **-ურ//ულ, -ონა, -ონი** სუფიქსებით გაფორმებული ტოპონიმები (ნაბოსელო, ნადიდცხენწყარო, ნადიზელო, ნააბაშუ, ნადუქანუ, ნათუნთერა, ნაკარენი, ნამარილევი, ნამოცორეზები, ნასაყდრი, ნა-სახლი, ნოკარენი, ნოჯიხენი..., ობერგულე, ოთიფურე/ი..., სააგურე, საბალახო, საბატია..., ბებური, ბოზური, გვალური, გრიგოლ(ა)ური, გულური, ზანგური, იობური, კაცობური, დო(?)ონური..., გედერული, კართხული..., თხირნა, თხირონა, კალამონა, თხოშულონი, კვადაცონი, კორცხელონი...).

ბ. ჯორბენაძე შენიშნავდა, რომ „ქვემოიმერულში შევხვდებით **ფირცხალაენები, მელაძნები** ტიპის ფომებს. ანალოგიური ვითარებაა ლეჩხუმურსა და გურულში“ (ბ. ჯორბენაძე, ონომასტიკური გულანი, თბ., 1993: 45). ლეჩხუმურისთვის -ნ-ებ დაბოლოებიანი წარმოებაც დამახასიათებელია: ჩაკვეტამენები, ბენიძენები (მაგრამ: კუსხალაშვილები); ენ-ებ გააზრებულია ერთიან დაბოლოებადაც. მაგალითად: ფაღავ-ენებ-ი, გუგავ-ენებ-ი (იქვე). -ნ-ებ დაბოლოებით ოჯახის სახელთა წარმოება დადასტურებულია აჭარულშიც: ბოლქვაძ-ნ-ებ-ი, ხალვაშ-ნ-ებ-ი... (იქვე). გვართავან ნაწარმოები

ტოპონიმების ასეთივე სპეციფიკური ფორმები დამოწმებულია აბაშის რაიონის სოფლებშიც. შდრ.: **ბოცვაძნების მინდორი, გვაზავნების ნამოსახლი, გოგავნების უბანი, ტაბიძნების ნაწისქვილარი, ჯიბლაძნების კუთხე, ჯიბლაძნების ნაქონვარი.** ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მრავლობითის ორმაგი აფიქსაციით ნაწარმოებ გვარებთან: ბოცვაძე-ნ-ი→ბოცვაძ-ნ-ებ-ი, და ასე: გვაზავნები, გოგავნები, ტაბიძნები, ჯიბლაძნები... დამოწმებულ ფორმებში ადგილი აქვს -ე ხმოვნის რედუცირებას.

გვართა დასახლებანი აბაშის რაიონის ტოპონიმიაში წარმოდგენილია შემდეგი სახით: **გრიგოლიები//გრიგოლიების კუთხე, დარცმელიძეები//დარცმელიძეების უბანი//დარცმელიძეების ქუჩა, კაჭარეები//კაჭარავების უბანი//საკაჭარაო, კვანტალიანები//კვანტალიანების ქუჩა, ლეჟავები//ლეჟავების უბანი, ლოჩოშვილები, მიქაძეები//მიქაძეების ქუჩა, რუსიები, სიმონიშვილები, ქობულიები, ქორქაშვილები, ქურდბაძეები, ჩაჩიბაიები, ჩორგოლაშვილები...**

სა-ო ინფიქსითაა ნაწარმოები **სახლობაძო, საბოკერიო, საბჟაღლიო//ბჟაღავეების უბანი, საგაბლაიო, საგაბუნო, საგამსახურდიო, საგოჩოლისქუო, საგუგუსქუო//საგუგუშვილო, სადავითაიო, სათოფურიო, საკორძახიო, საღვანო, საჩოჩიო...**

ცნობილია, რომ ლე-პრეფიქსი -ე სუფიქსთან ერთად სამეგრელოში გვარებისგან აწარმოებს ადგილთა სახელებს (შდრ. ლევანანე, ლეკაქელე, ლეფოჩხუე...). მისი ქართული ეკვივალენტით – სა-თი გაფორმებულ 80-ზე მეტ გვართა დასახლებას ასახელებს პ. ცხადია აბაშის რაიონის ტერიტორიაზე, მაგრამ ლე-ე ინფიქსით გვართა დასახლების არც ერთი შემთხვევა მის წიგნში დამოწმებული არ არის. გ. ელიავა „წყემის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში თუნგიების უბნის სახელწოდებად აფიქსირებს **ეთუნგიეს** (გ. ელიავა, 1977: 33). სხვათა შორის გ. ელიავას წიგნში, განსხვავებით პ. ცხადიას სალექსიკონო მასალებისგან, გვარებისგან (ლ)ე-პრეფიქსით ნაწარმოები არაერთი ტოპონიმია დამოწმებული აბაშის რაიონის ტერიტორიაზე. მაგალითად, ეგვიე//გვიამი მუხური, ეგოგიშვილე, ეგუჯუე, ეჟვანიე, ერუბინიე, ეჭიე (გ. ელიავა, 1977: 30, 50, 16, 39, 31, 29). პ. ცხადია ასახელებს ზოგიერთი მათგანის სა-პრეფიქსით გაფორმებულ

ვარიანტს: საგუგუსქუო//საგუგუშვილო, საგუჯუე, საჟვანიო (პ. ცხადაია, VIII, 2013: 213, 214, 226).

ფიქსირდება შტოგვარებითა და ჯგუფური მეტსახელებით სახელდებული ობიექტები. მაგალითები: **ბაბუესქუაშ კარე (ბაბუესქუა** ნადარეიშვილთა ერთ-ერთი შტოგვარია), ბადალეების წყარო (ბადალეები მიქაძეების ერთ-ერთი შტოგვარია), ბარდლების რიყე, ბარდლების ყანა (ბარდალა ჯანგველაძეების კილია. მოტივაცია: გვარის წინაპრები ბარდალობდნენ, ანუ გაუგებრად ლაპარაკობდნენ თურმე), **იქმოდეიშვილების ქუჩა//მოთოთი** (მოთოთი ამ გვარის კილია), საგუჯუე (ნადარეიშვილების შტოგვარია **გუჯუე**), **სახარასქუო (ხარასქუა** ჭანტურიას შთამომავლებისჯგუფური მეტსახელია). ზედა მაიდანში უბნის სახელწოდებაა **ბოგანოების ქუჩა**. მოტივაცია: სხვადასხვა კუთხიდან გამოქცეულ, უსწავლელ და გაუნათლებელ ხალხს აქ არსებული ტყისთვის შეუფარებია თავი. **ბოგანოები** მათი მეტსახელი ყოფილა (იქვე: 120).

ტოპონიმის ფონეტიკური ტრანსფორმაციის ნიმუშად შეიძლება დასახელდეს **ანალური←ალანური** „ალანიაეული“ (ალანია გვარია), რაც მიღებულია ბგერათგადასმის გზით (შდრ.: თხინვალი → *თხილვანი, დანისპარაული → *დარისპანაული).

პ. ცხადაიას სალექსიკონო მასალაში წავაწყდით **შელ-კომპონენტის** შემცველ რამდენიმე მიკროტოპონიმსაც. ესენია: **გოგაშელი** – საძოვარი სოფ. გეზათის საზღვარზე, ონტოფოში; **ვასილიაშელი და კაკულიაშელი** – სახნავები აბაშის მარჯვენა მხარეს, სეფიეთში (პ. ცხადაია, VIII, 2013: 129, 143, 152). ისტორიკოს თ. მიბჩუანის აზრით, **შერა** სვანურში საკუთრების ფორმის გამომხატველია (შდრ. ლეუშერი, ცხუკუშერი). მკვლევარი იმოწმებს სათანადო მაგალითებსაც: **ბაპშერა** (მიბჩუანთა ერთი შტოგვარი) – „ბაპაიანთი, მღვდლის ოჯახი“, გაგიშერა (საკუთარი სახელისგან – გაგი), ავლათშერა (ნავერიანების ერთი შტოგვარი) – საკუთარი სახელიდან – ავლათ, და ა. შ. ამგვარად, თ. მიბჩუანის აზრით, **ბაბუშერა** სვანურად იგივეა, რაც „ბაბუის სამფლობელო ადგილი“ (ბაბუ „ბაბუა“) (თ. მიბჩუანი, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან. თბ., 1989: 260). პ. ცხადაია შენიშნავს, რომ დასავლეთ

საქართველოში საიჯარო მიწა შეიძლება ყოფილიყო თანაბარ-საზიარო, სამესამედო, სამეთხედო. თანაბარსაზიაროდ, სანახევრო წილით დასამუშავებელი საიჯარო მიწა საშუალოდ იწოდებოდა. ამ სამეურნეო-სამიწათმოქმედო ტერმინის ამოსავალი ფუძე შელ-შინაარსით ქართული **ზიარ-** ფუძის შესატყვისია, მასალობრივად კი იმერულ „სეულ“ მორფემოიდს შეიძლება უკავშირდებოდეს (პ. ცხადაია, ძიებანი კოლხეთის ტოპონიმიდან. I, თბ., 1999: 95). მაშასადამე, **შელი** ზიარია, წილია. ამასთანავე, -შერ ვისიმე ოჯახისადმი კუთვნილებითობის გამოხატველი სუფიქსია სვანურში (კ. ღონდუა, სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი. თბ., 2001: 336). პ. ცხადაია იმეორებს **-შელ** ფუძის შემცველ კომპოზიტურ ტოპონიმებს სამეგრელოში: გუტიაშელი, გუტუიაშელი, კოჩაშელი, პაპაშელი, შელიაშელი (პ. ცხადაია, I, 1999: 95-96). ტოპონიმთა ამ რიგს შეიძლება აგრეთვე დაემატოს ბახვაშელი და გოჩაშელი – ადგ. სენაკის მუნიციპალიტეტის სოფ. ფოცხოში... (გ. ელიავა, 1989: 115). როგორც ჩანს, **-შელ** საერთო ქართული ფუძეა.

საინტერესოა პ. ცხადაიას ინფორმაცია სოფელ გაუწყინარის სახელდების ისტორიასთან დაკავშირებით: გადმოცემით გაუწყინარის ძირითადი ნაწილის სახელი უწინ ღელპირი ყოფილა. მაგრამ რატომღაც ეს სახელი არ მოსწონებიათ და ახალგამოყოფილი სოფლისთვის გაუწყინარი უწოდებიათ. ღელპირი ამჟამად დიდი უბნის სახელწოდებაა შაველის ნაპირას. აქაურ მცხოვრებთ ღელპირელებს ეძახიან (იქვე: 125, 257). როგორც ჩანს, უბნის სახელის განმსაზღვრელია მისი მდებარეობა შაველის, იგივე ნაცხენწყოს//ნაცხენწყარის ნაპირას.

სამიქაო სოფელია ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს. სახელწოდების ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტია **სამქა, სამქაო**; პ. ცხადაიას მიერ ჩაწერილ მიკროტოპონიმთა კი სამქუს სახით მესამე ვარიანტიც შემოუნახავს, რაც აქამდე ცნობილი არ ყოფილა სამეცნიერო ლიტერატურაში. შდრ.: **სამქე** – საძოვარი სამიქაოს საზღვართან, სოფ. ონტოფოში; **სამქემ წყურგულე** – ნაკადული, კობორჩხალის ზემო წელის სახელწოდება ასევე ონტოფოში (იქვე: 224).

საინტერესოა აგრეთვე დაკვირვება შემდეგ ტოპონიმებზე: **კუციაშ უკახალე** „კუციას უკან“, გოჯოუკა(ნ), ხიდემთულო „ხიდსქემოთ“ **ბჟველები, ორჟველები, ჟველები** (სამივე ტოპონიმის ამოსავალია ბჟოლა (ბჟოლის ხეები)), **გძელეკლიანი, გძელეფონი** (რ თანხმოვანი დაკარგულია), **ნოღლიპირები** (←ნოღლიპირი←ნოღელიპირი), სამძირხე (გზისპირას მღვარი სამი ვერხვისგან წარმოსდგება), ჯიპიჯი (←ჟიპიჯი← ჟირპიჯი „ორპირი“). ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ტოპონიმთა შემდეგი ფორმები: **თამარიის თხილები, კოლიის დაბალი, ფილიპიის კარავი, ფილიპიის ყანა, კორკონჯიის ნამოსახლი, მაიის წკობი, ტოტიის ფშიარი...** რა თქმა უნდა, ამგვარი ფორმები (პირსახელი+-ია ან -აია→ნათესაობით ბრუნვაში -ია ან -აიის შემოსულია იმერულიდან (ფილიპიის ნაყანები, გოჩაიის ღელე, ლუკაიის ტყე და სხვ.).

გ. ელიავა „ქოლობნის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში გზის სახელწოდებად დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე მიუთითებს **საცილო შარა**-ს და ფრჩხილებში განმარტავს, როგორც „საცილო გზას“ განმარტებას თან ახლავს რესპოდენტის შემდეგი ცნობა: „ამ გზის გამო თავადები ერთმანეთს ეცილებოდნენ, ხშირად სისხლიც დაღვრილა“ (გ. ელიავა, 1977: 46). პ. ცხადაია გვთავაზობს ტოპონიმის განსხვავებულ ვარიანტს: **საცილორო შარა** – სოფ. რუშადან ცილორისკენ მიმავალი გზის სახელწოდებად. სწორედ ამ ფორმით არის იგი მოხსენიებული 1616-1621 წლებით დათარიღებულ დავთარში (პ. ცხადაია, VIII, 2013: 233). მამასადაძე, სახელწოდების შინაარსი ასახავს გზის მიმართულებას ცილორისკენ და მას არავითარი კავშირი არა აქვს ცილობასა და სისხლისღვრასთან (შდრ. სალექსომო შარა//ქნხომამ შარა// დადიაშ შარა//სადადიო შარა – ძველი გზა, ზუგდიდი-გორდის გზის მონაკვეთი მარტვილის რ-ნის სოფ. ნაგვაზავოში. ეს გზა ლექსუმისკენ მიემართებოდა).

წინამდებარე რეცენზიაში ჩვენ მიერ დამოწმებული გეოგრაფიული სახელწოდებების ზოგადი, საინფორმაციო ხასიათის ანალიზიც ცხადყოფს, თუ რამდენად ფასეულია ონომასტიკის სალითხებით დაინტერესებულ მკვლევართა და ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის პ. ცხადაიას მიერ სავსე ექსპედიციების გზით ჯერ

კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებში მოპოვებული და გასულ წელს ცალკე წიგნად გამოცემული აბაშის რაიონის ტოპონიმთა სალექსიკონო მასალები.

ტოპონიმებმა – ერის ისტორიის უტყვემა ძეგლებმა, შემოგვინახა შორეული წარსულის ამსახველი უამრავი უნიკალური ინფორმაცია, ხოლო პაატა ცხადაიას უნდა ვუმაღლოდეთ იმას, რომ წლების მანძილზე დაუღალავი და მძიმე შრომით ღია ცისქვეშ მოძიებულ-მოქუჩებული, უტყვე ძეგლები დროის ქარაშოტს გამოარიდა და შთამომავლობას მოსავლელად და საპატრონოდ შემოუნახა.

დაიბეჭდა გაზეთ „ილორში“, შემდეგი სათაურით – „ქართველური ტოპონიმის მნიშვნელოვანი შენაძენი“ (№329, 18-25 აგვისტო, 2015, გვ. 3; №330, 8-15 სექტემბერი, 2015, გვ. 3)

„მინის ენაში“ შენახული ნარსულის სსოვნა

(პ. ცხადაია, „სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, V, მარტვილის რაიონი (სამხრეთი ნაწილი), თბ., 2010; VI, მარტვილის რაიონი (ჩრდილოეთი ნაწილი), თბ., 2012)

2010-2012 წლებში ქართველური ტოპონიმის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა და სპეციალისტების ბიბლიოთეკა „სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი“-ს სერიით გამოცემული ორი წიგნით – მარტვილის რაიონის (ამჟამად მუნიციპალიტეტის) ტოპონიმთა სალექსიკონო მასალით შეივსო. ავტორს, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ პაატა ცხადაიას ამ სერიით ასევე გამოცემული აქვს წალენჯიხის, ზუგდიდის, ხობისა და ჩხოროწყუს რაიონების სალექსიკონო-ტოპონიმური მასალა.

წინამდებარე სარეცენზიო წიგნების – ორ ნაწილად გამოცემული მარტვილის რაიონის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ლექსიკონების საერთო მოცულობა გვერდების ბეჭდვური რაოდენობის მიხედვით ფრიად შთამბეჭდავია – 1272 გვერდი! თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ქართველი მკითხველი საქართველოს რეგიონებისა თუ ცალკეული რაიონების ტოპონიმთა ეტიმოლოგიურ-განმარტებითი ლექსიკონებით მაინცდამაინც განებივრებული არ არის, მაშინ ბატონ პაატა ცხადაიას ავტორობით დღემდე გამოცემული სამეგრელო-სამურზაყანოსა და რაჭის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ლექსიკონები ჩვენს სამეცნიერო ბიბლიოთეკის ნამდვილად მნიშვნელოვან და ძვირფას შენაძენად უნდა მივიჩნიოთ.

საკმაოდ სოლიდური მოცულობის V წიგნის წინასიტყვაობაში მკვლევარი იმოწმებს საენციკლოპედიო სტატიის მონაცემებს მარტვილის რაიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობისა და ისტორიული ძეგლების შესახებ, რომლის მიხედვით აღნიშნულ რაიონს ტერიტორიით პირველი ადგილი უჭირავს სამეგრელოს რაიონებს შორის და რომლის ფართობიც 880, 6 კმ²-ს შეადგენს. მარტვილის რაიონის სამხრეთი ნაწილი მოიცავს ოდიშის დაბლობს, რომლის ჰავაც სუბტროპიკულია. ახასიათებს შედარებით თბილი ზამთარი და ცხელი ზაფხული.

მარტვილის რაიონის ტოპონიმის აღწერა და გამოცემა პირველად განახორციელა მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა, ისტორიკოსმა გივი ელიავამ. მან გასული საუკუნის 60-იან წლებში მაშინდელი გეგეჭკორის რაიონის 20 სასოფლო, 1 სადაბო საბჭოსა და რაიონის ტყისა და საძოვრების ზონაში ჩაწერილი რამდენიმე ათასი ტოპონიმი სასოფლო საბჭოების მიხედვით შედგენილ რუკებზე აღნიშნა, ხოლო ტოპონიმთა ხალხური განმარტებების ნუსხა, ცალკეულ შემთხვევაში ავტორისეული მეცნიერული დაკვირვებებითა და დასკვნებით, ტოპონიმთა ანბანურ საძიებელთან ერთად, 1977 წელს ცალკე წიგნად გამოაქვეყნა. წიგნის სახელწოდებაა „აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმია“ (რედაქტორი აკად. სერგი ჯიქია).

პაატა ცხადაია გეგეჭკორის რაიონის გეოგრაფიულ სახელწოდებათა აღნუსხვა-აღწერას 1971 წლიდან აწარმოებდა. რაიონის მთა-ბარში, თითოეულ სოფელსა თუ სოფლებს შიგნით არსებულ ცალკეულ უბნებში გულდაგულ, ნაბიჯ-ნაბიჯ შეკრებილ-მოძიებული დიდძალი მასალის გადამოწმების, დაზუსტებისა და შევსების მიზნით (სადაც საჭირო იყო), როგორც აღნიშნავს, 80-იან წლებში ხელმეორედ სწვევია რაიონს.

სააღრიცხვო ბარათებზე განთავსებული ტოპონიმური მასალა დიდხანს ინახებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებულ ტოპონიმის ლაბორატორიაში, ხოლო მას შემდეგ, რაც პ. ცხადაია რაიონების მიხედვით ტოპონიმური მასალების გამოცემას შეუდგა, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებების სერიით გამოცემული V-VI

წიგნებში მარტვილის რაიონის გეოგრაფიულ სახელწოდებებს მოუყარა თავი. იმ ვითარების გათვალისწინებით, რომ მარტვილის რაიონი სამეგრელოს რეგიონში ტერიტორიით ყველაზე დიდია, საჭირო გახდა მოპოვებული მასალის, 8000-მდე ერთეულის ორ წიგნად გადანაწილება. სალექსიკონო მასალის პირველ ნაწილში შევიდა რაიონის სამხრეთი ნაწილის ტოპონიმია, რაც მოიცავს 11 საკრებულოს (მარტვილის, აბდათის, ბანძის, ველიდკარის, ლეხანიდრავოს, ნაგვაზავოს, ნახუნავოს, ნაჯახავოს, ონოდიის, სერგეთისა და ხუნწის) და ამ საკრებულოებში გაერთიანებულ 34 დასახლებულ პუნქტს. მ/შ 33 სოფელია და 1- ქალაქი.

წინასიტყვაობაში პ. ცხადაია მსჯელობს $ლ \rightarrow \text{ლ} \rightarrow 0$ ფონეტიკური პროცესის ასახვაზე მარტვილის რაიონის ტოპონიმიაში. იგი იმოწმებს ი. ყიფშიძის მოსაზრებას ფონეტიკურ თუ ლექსიკურ მონაცემთა გათვალისწინებით სამეგრელოს მოსახლეობის მეტყველებაში აღმოსავლური (სენაკურ-მარტვილური) და დასავლური (სამურზაყანულ-ზუგდიდური) დიალექტების გამოყოფისა და იმის შესახებ, რომ ი. ყიფშიძეს აღმოსავლური დიალექტის ერთ-ერთ თავისებურებად ლ ბგერის დასუსტება და საბოლოოდ დაკარგვა ($ლ \rightarrow \text{ლ} \rightarrow 0$) მიაჩნდა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა ბანძური მეტყველება, სადაც ლ „почти совсем исчезает“ (ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი. კრებული გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო პროფ. კორნელი დანელიამ. თბ., 1994: 57).

პ. ცხადაიამ ტოპონიმური მასალების დამოწმებით დაადასტურა, რომ გეოგრაფიულ სახელწოდებებში მოსალოდნელი ლ თანხმოვანი ან საერთოდ არ ჩანს, ან შეიძლება გამოჩნდეს ბანძურ-მარტვილური თქმის ზონის პერიფერიულ სოფლებში; ამასთანავე, ლ თანხმოვანი გარკვეულ შემთხვევებში წარმოდგენილია ლ-ს სახით. მაგალითად, ხმოვნის წინ: ლე \rightarrow აე (ლეკი „მლაპი“ \rightarrow აეკი); ლა \rightarrow აა (ლაგვანი „ქვევრი“ \rightarrow ააგვანი; ლაკარდა \rightarrow ააკარდა); ლუ \rightarrow აუ (ლუკა \rightarrow აუკა); ლე \rightarrow აე (პავლე/პაულე \rightarrow პაუდე//პაეი) და ა. შ.

პ. ცხადაიას თვალსაზრისი ლ-ს პოზიციის შესახებ ჩამოყალიბებულია სამი ძირითადი დასკვნის სახით:

1. ა-ს წარმოთქმა ორი ი ხმოვნის შიგნით პრაქტიკულად შეუძლებელია (მაგ.: წისქვიი (← წისქვილი); გოჩეხიი ← გოჩეხილი), მარტვიი (← მარტვილი)).

2. ა ძნელი წარმოსათქმელია და ამიტომ არც ისმის შემდეგ კომპლექსებში: **-ალ-ი** → ***ააი** **ა** **აი**, **-ელ-ი** → **ეი** → **ეი**, **-ილ-ი** → ***იი** → **იი**, **-ოლ-ი** → ***ოი** → **ოი**, **-ულ-ი** → **უი** → **უი**.

ყველა ზემოთ დასახელებული შემთხვევა გამოწვეულია იმით, რომ ი ხმოვნის წინ მოქცეული ა მომდევნო ხმოვანთან შერწყმის გამო წარმოთქმაში არ ჩანს.

3. ა შენარჩუნებულია ხმოვანთაშორის პოზიციაში, ფაკულტატიურია და, ჩვეულებრივ, უმეტესად მამა-პაპათა მეტყველებაში ისმის კიდევ: **ალა** → **ააა**: ჭააგანიძე (← ჭალაგანიძე)... **ალე** → **ააე** (შესაძლებელია **ააე** → **აე**): ოყარყააეში//ოყარყალეში)... **ალო** → **ააო**: ზაკააონი (← ზაკალონი)... **ალუ** → **ააუ**: ნახარჩააუ (← ნახარჩალუ ← ხარჩალი „ჩხრიალი“) და ა. შ. (პ. ცხადაია, V, 2010: 6-11; მსჯელობისათვის იხ. მისივე, VI, 2012: 5, 8-13).

პ. ცხადაიას დაკვირვებით, **ლე-** პრეფიქსს ტოპონიმიში ჩვეულებრივ ეე ენაცვლება, მაგრამ ამ შემთხვევაში იშვიათად ისმის თავკიდური **ა**. ამის მაგალითია ევლარკე ← (ა)ევლარკე (← ლევლარკე); ეჯანაშიე ← (ა)ეჯანაშიე (← ლეჯანაშიე).

პირსახელთა თავკიდურში მოსალოდნელია შემდეგი პროცესები: 1. **ლ+ხმოვანი** → **ა+ხმოვანი**. მაგალითად, **ლუკა** → **აუკა** (აუკაშ ნაწისქვიაუ); **ლევაი** → **აევაი** (აევაიშ კოდე); 2. თავკიდური **ლა** → **აა**: **ლაგვანდუდი** → **ააგვანდუდი**; **ლაკარდა** → **ააკარდა** (ცხადაია, V, 2010: 11).

მკვლევარი განიხილავს ჩვენ მიერ მოპოვებულ, ქალაქ მარტვილის ტოპონიმურ მასალებში მოცემულ დაწერილობასაც და შენიშნავს, რომ ამ შემთხვევაში ა-ს წარმომავლობა გასარკვევია, რადგან „იგი უმეტეს შემთხვევაში ნათესაობითი ბრუნვის -იმ ნიშნის ალტერნატივაა: ალენოხორი (← ალემ ნოხორი), ბარდლა ენოხორი (← ბარდლაშ ნოხორი) და სხვ.“ (იქვე: 11).

წინასიტყვაობაში მკვლევარი მსჯელობს ტოპონიმთა ლექსიკურ, ფონემურ და ფონეტიკურ ვარიანტებზე, რაც დამახ-

სიათებელია მარტვილის რაიონისა და, ზოგადად, საქართველოს ყველა რაიონის ტოპონიმისათვის. ყურადღებას ამახვილებს ლექსიკური ვარიანტების მრავალგვარობაზეც. თუმცა ქრონოლოგიური ვარიანტის საილუსტრაციოდ შეცდომით იმოწმებს **მარტვილს//დიდიჭყონს**. სინამდვილეში მარტვილის ქრონოლოგიური ვარიანტია ისტორიულ წყაროებში მოხსენიებული **ჭყონდიდი** (იქვე: 12).

სალექსიკონო მასალის ძირითად ნაწილში გეოგრაფიული სახელწოდებანი წარმოდგენილია ცალკეული საკრებულოებისა და საკრებულოებს შიგნით მდებარე სოფლების მიხედვით. ტოპონიმები დალაგებულია საერთო ანბანის რიგზე. პირველად დასახელებულია ობიექტის სახელწოდება, რასაც მოსდევს სახელდებული ობიექტის ლოკალიზაცია, ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ანალიზი, უმეტეს შემთხვევაში – მოტივაციური კომენტარებით.

წიგნში გვხვდება ქრონოლოგიური და სხვადასხვაენოვანი ტოპონიმები, ფონეტიკური და მორფემული ვარიანტები. ტოპონიმთა ვარიანტულობის მიზეზად პ. ცხადაია განსხვავებულ მოტივაციას ასახელებს. სათაურ ტოპონიმსა და პარალელურ ფორმას შორის დასმულია პარალელურობის ნიშანი (**გა//გაგოური, სიკომ ოღუ-დია//ოღუდიაშ ოხვამერი**).

ინტერესს იწვევს ნაშრომის ის ნაწილი, სადაც ტოპონიმთა ანბანურ ნუსხას წინ უძღვის ცალკეული დასახლებული პუნქტების შესახებ მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის შესავალი. ამას მოსდევს ტოპონიმური მასალის ჩაწერის თარიღი (ან თარიღები) და რესპოდენტთა სია, მათივე ასაკის ჩვენებით.

წიგნს ბოლოში ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია და სათაურ ტოპონიმთა საძიებელი. ეს უკანასკნელი, მართალია, სრულად ვერ ასახავს სარეცენზიო წიგნის ძირითად ნაწილში წარმოდგენილი გეოგრაფიული სახელწოდებების საერთო რაოდენობას (ზოგიერთი სახელწოდება საძიებელში სულაც გამოტოვებულია), მაგრამ თვალნათლივ მიუთითებს ტოპონიმთა მორიგეობასა და მრავალგვარობა-სინშირზე. საძიებელი აერთიანებს ცალკეული სოფლების მიხედვით ლექსიკონში წარმოდგენილ მსგავს და განსხვავებულ სახელწოდებებს. ასე, მაგალითად, აბელათის ტოპონიმთა ნუსხაში მითითებულია, რომ ბონდიშ ტობა ეწოდება მორეკს

მდ. ტარჩენზე (ცხადაია, V, 2010: 141). სათაურ ტოპონიმთა საძიებლის დახმარებით დაინტერესებული პირი მარტივად არკვევს, რომ ამ სახელის მატარებელი ობიექტი წიგნის 244-ე გვერდზეც არის დასახელებული. შესაბამის გვერდზე კი აღნიშნულია, რომ „ბონდიშ ტობა“ ასევე მორევის სახელწოდებაა მდ. აბაშაზე, ნაბონდუსთან, სოფ. ლეკეკელეში. საძიებლის მიხედვით ჩეჩონას სახელით ცნობილი ობიექტები დამოწმებულია სარეცენზიო წიგნის 35-ე, 54-ე, 91-ე, 179-ე, 193-ე, 215-ე გვერდებზე (იქვე: 535)...

წიგნში თავმოყრილი მრავალრიცხოვანი ტოპონიმური მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ მარტვილის რაიონის ტოპონიმიაში ასახვას ჰპოვებს მცენარეთა, ფრინველთა და ცხოველთა სახელები, მეთევზეობის, მემინდვრობის, მეფუტკერობის, მიწათმოქმედების, მევენახეობა-მელენეობის, მჭედლობის, ხელოსნობის, აგრეთვე ფიზიკურ-გეოგრაფიული ლექსიკა და ა. შ. წარმოდგენილია ისტორიული საკულტო-სარიტუალო და საერო ნაგებობების სახელწოდებანი. სხვადასხვაენოვანი (ჰიბრიდული) ტოპონიმებია: **ნაციხვარი//ნაჯიხუ, ცხენისწყლის ჭალა//ცხენწყარბიჯიმ ჭა(ა) ე//ჭა(ა)ე,ხინჯიმდული//ხინჯისყური, ოჭუბურე//საწაბლია, წისქვილის გზა//წისქვილიშ შარა...** საილუსტრაციო მასალას ვიმოწმებთ ხუნწის თემის საკრებულოს ტოპონიმთა ნუსხიდან. ორენოვნება მარტვილის რაიონში სწორედ ამ სოფლისთვის არის დამახასიათებელი, რადგან ხუნწი იმერეთის საზღვარზე, მდ. ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს მდებარეობს. პ. ცხადაია შენიშნავს: „მიკროტოპონიმია ადასტურებს, რომ, მართალია, ზედახუნწელთა „სამინაო“ (ე. ი. არაოფიციალურ სიტუაციაში) მეტყველება, ფაქტობრივად ორენოვანია, ოღონდ მეგრულის მნიშვნელოვანი უპირატესობით (ზედა და ქვედა ხუნწის მიკროტოპონიმის 95%-ზე მეტი მაინც მეგრულია, ან ორენოვანია“... (იქვე: 475).

საყურადღებოა, რომ ხუნწური მეტყველების თავისებურებებზე, პ. ცხადაიამდე რამდენიმე ათეული წლით ადრე, განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა გამოთქმული ცნობილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს – იოსებ ყიფშიძეს, რასაც ბ-ნი პაატა თავის წიგნში იმომბებს კიდევ: „ამჟამად ხუნწში უპირატესობს ქართული ენა. კერძოდ, ზედა ხუნწში ყოველთვის ქართულ ენაზე მეტყველებენ,

ხოლო ქვედა ხუნწში, როგორც მეზობელი სოფლის მკვიდრნი ხუმრობენ, შუადღემდე საუბრობენ მეგრულად, ხოლო ნაშუადღევს ქართულად“ (ი. ყიფშიძე, 1994: 28-29).

ბანძურ-მარტვილური თქმისთვის დამახასიათებელ და ძირითად თავისებურებად მიჩნეულ იოტიზაციის პროცესზე მსჯელობა მოცემულია პ. ცხადაიას VI წიგნის წინასიტყვაობაშიც. კითხვაზე – მარტვილის რაიონის რომელ სოფლებში, რა ტერიტორიაზე ხდება ეს იოტიზაცია? – ავტორი პასუხობს, რომ ეს პროცესი დამახასიათებელია ძირითადად მდ. ტეხურის მარცხენა მხარეს – ბანძის თემიდან სალხინოს თემამდე, ხოლო ტეხურის მარჯვენა მხარეს მდებარე სოფლებში – გურძემიდან ჩრდილოეთით, კურზუს თემის სოფლების ჩათვლით, რესპოდენტები ლექსიკური და ტოპონიმური მაგალითების მოშველიებით და ერთგვარი ირონიითაც, ასაბუთებენ, რომ „ა-ს იტყვიან მხოლოდ გაღმა სოფლებში, გამოღმა კი – არა“ (პ. ცხადაია, VI, 2012: 9).

VI წიგნი მთლიანად ეთმობა მარტვილის რაიონის ჩრდილოეთი ნაწილის, მთიანი ზონის ტოპონიმებს. მასში თავმოყრილია 10 საკრებულოში, კერძოდ, გაჭვდილის, გურძემის, დიდი ჭყონის, დოშაყის, თამაკონის, ინჩხურის, კიწიის, კურზუს, სალხინოსა და ტალერის საკრებულოებში გაერთიანებულ სოფლებში, აგრეთვე მარტვილის რაიონის მთის ზონასა და გორდის სატყეოში, გასული საუკუნის 70-იანი წლების პირველ ნახევარში ჩაწერილი და 10-15 წლის შემდეგ გადამოწმებულ-შევსებული ტოპონიმური მასალა. გამოყენებულია თსუ-ის თანამშრომლების – შუქია აფრიდონიძისა და მაგული მარგველაშვილის ტოპონიმური ჩანაწერებიც. მკვლევარი ლოკალიზაციისთვის იყენებს სატყეო უბნების სახელებს: ლებარდეს სატყეო, კურზუს სატყეო, ტალერის სატყეო, სალხინოს სატყეო, გაჭვდილის სატყეო. მათი ლოკალიზაცია კი მოცემულია წიგნის პირველი ნაწილის ბოლოში. მეექვსე წიგნის სტრუქტურა მეხუთესგან განსხვავებულია: ამ შემთხვევაში მკვლევარი წიგნის პირველ ნაწილში წარმოადგენს მარტვილის რაიონის ჩრდილოეთი ნაწილის საკრებულოებს, სოფლებსა და რესპოდენტებს. იქვე მოცემულია ოიკონიმთა ფონეტიკური, სიტყვაწარმოებითი, სინტაქსური და ლექსიკური, აგრეთვე ისტორიულ-ეტიმოლოგიური

(გარეენობრივი) ანალიზი. თუკი მეხუთე წიგნში ტოპონიმები ცალკეული საკრებულოებისა და საკრებულოებს შიგნით მდებარე სოფლების მიხედვით იყო დაჯგუფებული, ამ შემთხვევაში ყველა სოფლის ტოპონიმური მასალა დალაგებულია საერთო ანბანის რიგზე და წიგნში წარმოდგენილია მეორე ნაწილად. ტერიტორიულად ხონის რაიონში შემაჯავლი გორდის სატყეოს ტოპონიმური მასალის მარტვილის რ-ნის ტოპონიმთა სალექსიკონო მასალაში შეტანას პ. ცხადაია იმ გარემოებით ხსნის, რომ გორდის სატყეო გაჭედის სატყეოს გვერდით მდებარეობს. საჩიქვანო//ჩიქვანიშ ტყა//ქორთუეფიშ ტყა – ტყე-საძოვრები ამ სახელწოდებით ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირას მდებარეობს და თვით მარტვილის რაიონის, კერძოდ, გაჭედის სატყეოს საზღვრამდე ვრცელდება. სწორედ ამ საჩიქვანოსა და სალხინოს სატყეოს მიმდებარე ტერიტორიაზე მეჯოგეებისგან ჩაუწერია მკვლევარს მიკროტოპონიმთა გარკვეული ნაწილი (პ. ცხადაია, VI, 2012: 113).

1970 წლის ოქტომბერში პ. ცხადაია სოფ. კურზუში გაცნობია ერთ-ერთი რესპოდენტის, 70 წელს მიღწეული ქალბატონის – მატრო ბერულავას საოჯახო არქივს, კერძოდ, „პირობის“, „ფარდის“ ან „ფარდის პირობის“ სახელწოდებით ცნობილ, მიწის ნაკვეთების ყიდვა-გაყიდვის 20-მდე საბუთს, რომლებშიც აღნიშნული ყოფილა, თუ ვისგან იყო ნაყიდი, ან ვის მიეყიდა მიწის ნაკვეთები სასულიერო პირების – ბერულავების მიერ. 1844-1913 წლებს შორის პერიოდში, სხვადასხვა დროს შედგენილი საბუთებიდან ამოწერილი რამდენიმე ათეული ტოპონიმი მკვლევარს წიგნში დანართის სახით აქვს წარმოდგენილი (იქვე: 718-722).

იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად ფასეულია სარეცენზიო წიგნებში თავმოყრილი, მარტვილის რაიონის 75 სოფელში ჩაწერილი ტოპონიმური მასალა სხვადასხვა დარგის სპეციალისტისა თუ უბრალოდ, ტოპონიმის საკითხებით დაინტერესებული ნებისმიერი მკითხველისათვის, აქვე დავიმოწმებთ რამდენიმე ტოპონიმს და მოვიხმობთ სახელწოდების ენობრივი და გარეენობრივი ანალიზისათვის საჭირო ინფორმაციასაც, იქნება ეს სახელდებული ობიექტის ზუსტი თუ დაწვრილებითი ლოკალიზაცია, სახელდების მოტივაცია, ისტორიული წარსული თუ სხვა დეტალები:

ადამ(ი)ნუზუ – ვაკე-ტყე ჯვარიმ ღალსა და შქაშკარეს ღალს შუა, ტალერის სატყეოში. ტოპონიმს ახლავს რესპოდენტ კ. ნაჭყეობას ინფორმაცია: ეს სახელი რქმევეა დაახლოებით 400 წლის ხეს, რომელიც ოციოდე წლის წინათ (იგულისხმება გასული საუკუნის 40-იანი წლები – ი. კ.) წაქცეულა. ლეჩხუმელ მწყემსსა და მონადირეს, სახელად ადამს, ამ ხის ძირში ედგა კარე და აქვე მომკვდარა (პ. ცხადაია, VI, 2012: 116).

ბარდა ნაწიეიანი//ბარდა ღ(ვ)თიშობეი//ს(ვ)თიშობეი//ბარდა ნაწილოვანი – ღვთისმშობლის ეკლესია ოხვამეკარში, მარტვილის რ-ნის სოფ. პირველ ბაღდაში. გადმოცემები: ა. აქ ესვენა ილორში დაცული ხატის მცირე ნაწილი – ნაწილიანი ხატი. მოტანილ შესაწირს ხატის ნიშში, ხატის ფიცრის უკანა ნაწილში მოათავსებდნენ. ეკლესიის ასაგებად მდ. აბაშის პირას შეურჩევით მაღალი ადგილი და ხატი ეკალ-ბარდებზე დაუსვენებიათ... მერე აქვე აუგიათ ეკლესია ბარდა ღვთიშობეი, ბარდა ნაწიეიანი; ბ. ენმახიეში, ბარდში ნანახი ხატი წამოუსვენებიათ და დაუსვენებიათ მინდორში, იმ ადგილზე, სადაც ეკლესია უნდა აემშენებინათ, მაგრამ მეორე ღღეს ხატი კვლავ იქ უნახავთ, სადაც უწინ ესვენა. ასე განმეორებულა სამჯერ. ამიტომაც ბარდის ღვთისმშობლის ეკლესიაც იმ ბორცვზე აუგიათ. ბარდა ნაწილვანი იმას ნიშნავს, რომ ი?რში დაკლული ხარის ხორცის მცირე ნაწილს ამ ხატს გამოუგზავნიდნენ. ხორცს ჩადებდნენ ხატის ფიცრის უკან და არ ლპებოდა. ამიტომ ერქვა ნაწილოვანი ხატი (იქვე: 137-138).

გაბარა – ვაკე-სერი სოფ. სკურდში, რაც გადასცქერის აბაშის ხეობას. გაბარის ლექსიკური მნიშვნელობაა ვაკე-ბორცვი; ვაკე-სერი. პ. ცხადაია ფიქრობს, რომ გაბარი შესაძლოა არაბული ჯაბალ-ის („მთა) მეგრული ნაირსახეობა იყოს (იქვე: 156).

გერიშ ოჭიკე – დავაკება, მოტიტვლებული ადგილი ბორცვზე, ოჟგაბუესა და ოქირეშს შუა, სოფ. დიდი ჭყონსა და ლექობალეში. ჭიკუა მეგრულში აღნიშნავს „მძუნობას, მაკინტლობას; ზმუილს, ყმუილს. ოჭიკე ნადირთა სამაკინტლო, თამაშისა და ლალობა-ცეტობა-ძიძგილობის ადგილია (იქვე: 165).

მიშახონკარე – მწყემოსის სადგომი მიშახში, რაც კურზუს სატყეოშია. მიშახონი აღნიშნავს „რაიმეს შიგნით (ტყეში) მღებარეს“ (იქვე: 350).

ნადლობორუ(უ)//ღვებამ ნოსორი//ჯოლორიაშ ნოსორი – ბორცვი რეკას მარჯვენა მხარეს, სოფ. ნამიკოლაგო მეორეში, ჯანაშიების უბანში. ამ ადგილას ესახლა თურმე თავადი ჯოლორია ღვებია/ღვებუაძე (იქვე: 365).

ნათურქუ/ნათურქუსუკი – ტყე მალლობი ქვაბალსა და დიდ ოქაჯეს შუა, ტალერის სატყეოში. გადმოცემით, თურქებს აქედან ქვებიაში, შემდეგ ასხის გავლით ხონში გაჰქონდათ ყვარი და ბზა... მათ რუკაც ჰქონიათ, სადაც ტეხურის სახელწოდებად მითითებულია ხანგაწყარი, ხოლო მდინარის კალაპოტის მახლობლად, მღვიმეში დამარხულ ოქროს ისინი, თურმე, ახლაც ეძებენ (იქვე: 367).

საკეშილა – მინდორი ტეხურის მარჯვენა ჭალაში, სოფ. ეწერში (ტალერის თემი). რესპოდენტის ცნობით, კემელავა კუთვნილ მიწას ნადელად იძლეოდა და სანაცვლოდ მოსავლის მესამედი მიჰქონდა (იქვე: 530).

საკილიაღესა/საკიაღესო – ღელე; შებეს მარცხენა შენაკადი სოფ. ღღვანაში. 82 წლის რესპოდენტის – ძიკი გაბედავას განმარტებით, გოლოგანის მისარონად წოდებულ ეკლესიაში სალოცავად მიმავალნი ამ ღელისპირას, ვაკე-მინდორზე შეისვენებდნენ და იმღერებდნენ კილიაღესას. სახელწოდება საკილიაღესაც აქედან მოდის. **კილიაღესა ← კირიე ელეისონ** „უფალო, შეგვიწყალ“, საეკლესიო სიმღერაა (იქვე: 530-531).

საისტორიო წყაროებითა და ეთნოლოგიური მასალებით ირკვევა, რომ კოლხეთის დაბლობზე მეგრელებთან ერთად, ლაკადისპირეთში კი მეგრელებზე ადრეც, სვანებს უცხოვრიათ. მთიან სამეგრელოში სვანურად მოლაპარაკე მოსახლეობის ბინადრობის მაუწყებელია მხარის მეგრული ტოპონიმი (იხ. მ. ქალდანი, -ელ/-ავ სუფიქსთა საკითხისათვის ქართველურ გვარსახელებში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება. ტ. XXII, თბ., 1980: 83).

სამეგრელოს მთისა და მთისწინა ზოლში, მათ შორის მარტვილის რაიონის ტერიტორიაზე, დასტურდება რამდენიმე სვანური

ტოპონიმი. მაგალითად, ლეხარდე, ლეჭენა, ლალვაშია, ლაჩახვა, ლაყორია, ლეკერე, მუჰა, ლასია... ჩვენი აზრით, მარტვილის რ-ნის სოფ. დიდი ჭყონის მეურნეობაში, ქვაბკარის მღვიმიდან გამომავალი პატარა მდინარე და ხეობა, მაჩხაპეს სახელწოდებით, რაც სამ სოფელში – ლეჭვანიეში, ნაკიანსა და ლეახალეში გაედინება, სვანური წარმომავლობის ტოპონიმთა რიგში უნდა განვიხილოთ. მაჩხაფ//მანჩხაფ სვანურ ენაზე იგივეა, რაც „ჩანჩქერი“. სახელწოდება აღნიშნავს ვიწრო, კლდოვან კალაპოტში ჩხრიალით მომდინარე წყლის ნაკადს, საჩქეფელას, და ისეთივე მნიშვნელობისაა, როგორისაც მეგრული ოჩხარჩხალე, ოჩხარჩხალაია, ოფარჩხალაია, შხივი (ი. კეკელია, ჰიდრონიმ „მაჩხაპეს“ ეტიმოლოგიისათვის. კრ. „მხარეთმცოდნე“, III, ქუთ., 2012: 4-5)... პაატა ცხადაია მიიჩნევს, რომ მდინარის სახელწოდების ამოსავალია ჩხაპუა „რწყვა, წყლის სხურება, შხაპვა“ მა-ე მოქმედებითი გვარის მიმღობის მაწარმოებელია. მაშასადამე, მკვლევრის აზრით, მაჩხაპე იგივეა, რაც „მშეფავი; მნამავი, შხაპუნა“ (პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. IV. ჩხოროწყუს რაიონი. თბ., 2008: 209; მისივე, VI, 2012: 337).

ზოგი სვანურენოვანი ტოპონიმის ეტიმოლოგიაზე მსჯელობა მოცემულია პ. ცხადაიას სხვა არაერთ სამეცნიერო ნაშრომში (პ. ცხადაია, მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია (ენათმეცნიერული ანალიზი). თბ., 1985; ძიებანი კოლხეთის ტოპონიმიიდან, I, 1999). ჰიდრონიმ „**ლეცხერუას//ლეცხარუას**“ ეტიმოლოგიაზე მსჯელობისას მკვლევარი დასძენს: „ბუნებრივია, ჩნდება ეჭვი, სვანური სუბსტრატული თუ სუპერსტრატული **ლე-, ლა-** ხომ არ გამოიყენებოდა სხვა (დღეს უცნობ) შემთხვევებშიც. ვგულისხმობთ, ცხერი → ლეცხერუა, გვიმარა → ლავვიმარაია, ლავუმარაია, ბარჯი → ლაბარჯია, ნთირუა „თრევა, ზიდვა“ → ლანთირია „ზოზინა, ზანტი, ზარმაცი“, ტარი → ლატარია „სატარე მასალა, ტანლატანი“ (იხ. ალ. ქობალიას მეგრული ლექსიკონი), ტყვაჟუა „გასროლის ხმა; ჭახანი → ლატყვაჟია „ცუდი თოფი“ (ი. ყიფშიძე), ნწკარუა „დაწყობა, დალაგება“ → ლაწკარული „დალაგებული, დაწყობილი“, ჩხური „ცივი“ → ლენჩხური „ნელ-ცივი, შეგრილებული წყალი“, ქარი „ქარი“ → ლექარე

„საქარო, ქარიანი ადგილი“, ჭახუა „ლითონის წურვა, წნეხა“ → ლექცია „სამჭედლო, რკინის საწრთობი ადგილი“ (შდრ. ელიავა, 1977, გვ. 176). მსგავსი ლექსიკური ერთეულები ამ კითხვასაც სვამს: მეგრულში ლა-, ლე-პრეფიქსები სუბსტრატული მოვლენაა თუ სუპერსტრატული?! შდრ. ლექცერუა მდინარეა და ერთვის ტეზურს მარჯვ. მხრიდან კლდის ძირას“ (პ. ცხადაია, VI, 2012: 320). იქვე მკვლევარი იმოწმებს კურზუსა და ტალერის სატყეო უბნების ტერიტორიაზე (მარტვილის რ.), მთის პატარა მდინარის სახელწოდებად დამოწმებულ, **ლექცერუს** ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით ჩვენ მიერ გამოთქმულ მოსაზრებას: ლუც სვანურში იგივეა, რაც „წყალი“, ხოლო **ქევირ** „ცივს“ ნიშნავს. მაშასადამე, ჰიდროლექსემა **ლუცქევირ** სიტყვასიტყვით „ცივწყალა“ (იხ. ბ. ბარათელი, ი. კეკელია, ერთი ჰიდრონიმის განმარტებისათვის („ლექცერუა“). კრ. „მხარეთმცოდნე“, II, ქუთ., 2011: 5).

თითოეულ ტოპონიმს, დიდი თუ მცირე ობიექტის სახელს, პაატა ცხადაია წარსულის მათიანეს უწოდებს. ტოპონიმი ინახავს არა მხოლოდ ლექსიკონებში ჯერ კიდევ დაუფიქსირებელ ენობრივ ერთეულებს, არამედ თვითონვე მოგვითხრობს ახლო თუ შორეულ წარსულზე, წარმართულ თუ ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებზე; გვაწვდის საინტერესო ინფორმაციას ეთნოგრაფიულ-სამეურნეო ყოფაზე. „დედამიწა ტოპონიმების ერთ გვესაუბრება და ჩვენ მზად უნდა ვიყოთ, გავიგოთ მისი ნათქვამი, გავითავისოთ მისი ინფორმაცია“ (პ. ცხადაია, V, 2010: 5).

ამ აზრით, რწმენითა და შემართებით მოღვაწე მეცნიერი თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც გულდასმით აყურადებს და სწავლობს „დედამიწის ენას“, ითავისებს მეტყველი მიწა-წყლის ინფორმაციას. პაატა ცხადაიამ, ამ საოცრად ენერგიულმა და მოუსვენარმა კაცმა, მუხლჩაუხრელი შრომით თავი მოუყარა დიდძალ საველე-ტოპონიმურ მასალას. სოფელ-სოფელ, მთასა თუ ბარში, სიცივესა თუ პაპანაქება სიცხეში, ხშირად ალბათ მშიერ-მწყურვალი, „დაეძებდა“ და ნამცეცხვებით აგროვებდა ადგილთა სახელებს, ვითარცა ობოლ მარგალიტებს. მან წარსულს გამოსტაცა და შთამომავლობას სათუთად შემოუნახა დასავიწყებლად ვერგამეტებული ეს უძვირფასესი საგანძური. სწორედ ამი-

ტომ არის მისი ნაღვაწი ფასდაუდებელი და სამაგალითო. გაივლის ჟამი და მაღლიერი შთამომავლობა უფრო მეტი მაღლიერებისა და პატივისცემის გრძნობით განიმსჭვალება ცნობილი მეცნიერის მიმართ, შეუწონავი და მართლაც საარაკო ნამუშავევის გამო.

დაიბეჭდა გაზეთ „ილორსა“ (№331, 15-22 სექტემბერი, 2015, გვ. 7; №336, 20-27 ოქტომბერი, 2015, გვ. 6) და გაზეთ „მარტვილში“, სათაურით – „მარტვილის რაიონის ტოპონიმთა ორტომეულის შესახებ“ (№6, 31 ივლისი, 2015, გვ. 4). ამ უკანასკნელის გაგრძელებები დაიბეჭდა სათაურით – „მიწის ენაში“ შენახული წარსულის ხსოვნა“ (გაზ. „მარტვილი“, №8, 31 აგვისტო, 2015, გვ. 4; „მარტვილის რაიონის ტოპონიმთა ორტომეულის შესახებ“, №10, 28 ოქტომბერი, 2015, გვ. 4)

ღირაჯული ეთნოგრაფიული ნაშრომი სამეგრელოზე

(დავით შავიანიძე, „სამეგრელო“ (ქუთ., 2015.)

საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის – სამეგრელოს შესახებ დღემდე გამოცემულ არცთუ მცირე რაოდენობის ეთნოგრაფიულ სამეცნიერო ლიტერატურას (ი. ქობალია, ივ. ჯავახიშვილი, რ. ერისთავი, თ. საზოკია, ა. ჭანტურია, ს. მაკალათია, გ. ელიავა, ნ. აბაკელია, ნ. აბესაძე, ნ. ბრეგაძე, ნ. თოფურია, ც. კაკაბაძე, ი. კიკვიძე, გ. ჯვალაბაძე, ჯ. რუსაძე, ვ. შამილაძე, ს. ჭანტურიშვილი, თ. ცაგარეიშვილი...) მიმდინარე წელს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წიგნი შეემატა. ეს არის **დავით შავიანიძის** ავტორობით გამოცემული **„სამეგრელო** (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი)“. წიგნის რედაქტორია **როლანდ თოფჩიშვილი**. რეცენზენტები არიან: **ეკა დადიანი, ნოდარ შოშიტაშვილი და ინეზა გაბელაია**.

260-გვერდიანი გამოკვლევა საინტერესო და საჭირო შენაძენია საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების ინდივიდუალური, კუთხურ-ეთნოგრაფიული მახასიათებლების – ეთნიკური ისტორიის, სამეურნეო-ეკონომიკური და კულტურულ-ყოფითი ურთიერთობების ამსახველი ცალკეული საკითხების შესწავლით დაინტერესებული სპეციალისტებისა და ფართო მკითხველი საზოგადოებისთვის.

წიგნის დანიშნულებას ავტორი შესავალში ასე განსაზღვრავს: „იმის გათვალისწინებით, რომ ყოველთვის შეიძლება ძველი და განახლებული წეს-რიტუალებისა და ტრადიციების აღწერა-შესწავლით უფრო სრულყოფილი გავხადოთ საქართველოს კუთხეების ისტორიის, ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, ტრადიციული და დღევანდელი ეთნოგრაფიული სახე, ჩვენი ინტერესი შეჩერდა სამეგრელოზე, რომლის შესახებაც არაერთი ნარკვევი

თუ სამეცნიერო შრომაა დაწერილი... სამეგრელოს ეთნოისტორიული კვლევის დროს ჩვენი მიზანი იყო არა მხოლოდ ძირითადი ტენდენციებისა და პროცესების წარმოჩენა, არამედ შესაბამისი დასკვნების გამოტანა“ (დ. შავიანიძე, სამეგრელო, ქუთ., 2015: 8-9). ამ ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეულის ტრადიციული, მატერიალურ-სულიერი კულტურისა და სამეურნეო ყოფის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ასახულ მასალებთან ერთად ავტორმა წიგნში თავი მოუყარა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ სხვადასხვა დროს მოწყობილი სამეცნიერო ექსპედიციების გზით მოპოვებულ მრავალფეროვან ეთნოგრაფიულ მასალას.

წიგნის ავტორის შესავალს მოსდევს მეგრელთა დახასიათებისათვის მეტად საყურადღებო ერთგვერდიანი ეთნოგრაფიული მასალა, სადაც ვკითხულობთ: „კოლხეთი დღევანდელ დასავლეთ საქართველოზე უფრო დიდ ნაწილს ჰფარავდა. მეგრელი კოლხია, დანარჩენი საქართველოს გულის მკვიდრია, საკუთარი შინა ენის მატარებელი, ამაყი ქართველია. მეგრელების უმრავლესობა (უმრავლესობა, თორემ ნაკლიანი ყველგანაა) პატიოსანი, სტუმართმოყვარე, მონადირე, მოთევზავე, ფიცხი, ჯიუტი, გამტანი, ნიჭიერია. ნიჭიერები არიან განსაკუთრებით ქალები. იშვიათია გონჯი და უღამაზო, ქენქერა მეგრელა ქალი. მეგრელი მამაკაცები უფრო გამტანები, მკაცრები, მშრომელები, ინტერესიანები არიან. მარდები რომ არიან, ცხენს იმიტომ მეგობრობენ... მეგრელები სამართლიანები და სტუმარზე შემომვლელები არიან... [მეგრელი] გონება-გამჭრიახია, [მათ] ეშმაკობაც ახასიათებთ. თუმცა ეშმაკობაა, რომ ხვდება საით ჯობია და იქით იხრება? მეგრელი დაუზარებელი მშრომელია, სხვას წინ არ გაუშვებს...“ (იქვე: 10).

სარეცენზიო ნარკვევი თექვსმეტი თავის, რამდენიმე ათეული პარაგრაფის, დასკვნების, დანართების, გამოყენებული ლიტერატურისა და წყაროების სიისაგან შედგება. წიგნის პირველი თავია „სამეგრელოს ისტორია, ისტორიული გეოგრაფია, სამეურნეო-კულტურული ყოფა“. აღნიშნული საკითხის ზოგადი მიმოხილვითაც დასტურდება, „რომ მეგრელთა მცირედით განსხვავებული ყოფისა

და წეს-ჩვეულებების, ტრადიციების ძირითადი განმაპირობებელი ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო და მისი მდებარეობა იყო (იქვე: 31).

ამ თავში მკვლევარი განიხილავს და აკრიტიკებს ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებას ადრე შუა საუკუნეებში საქართველოში მიმდინარე რთული ისტორიული პროცესების შედეგად მოსახლეობის აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთ საქართველოში მიგრაციისა და მოგვიანებით აკად. ნიკო ბერძენიშვილის მიერ მასზე დაფუძნებული ქართიზაციის, ანუ გაქართველების, საკუთრივ ქართის ტომის ეთნიკურ-კულტურული ექსპანსიისა და ისტორიული საქართველოს დასავლურ-ქართული ტომების გაქართვების შესახებ შექმნილ კონცეფციას.

დავით შავიანიძე ანგარიშგასაწევად მიიჩნევს ეთნოლოგთა იმ მიდგომას „რომლის მიხედვითაც ეთნოსის შექმნა-შენარჩუნებისათვის მთავარია თვითშეგნება და თვითსახელწოდება“ (იქვე: 24), ხოლო იმავე გვერდზე, სქოლიოში, დასძენს, რომ „ეთნიკური თვითშეგნება გარკვეული ეთნოსისადმი მიკუთვნებულობის, სხვა ეთნოსისაგან განსხვავებულობის შეგნებაა. შესაბამისად მეგრელებს საქართველოს ყველა სხვა კუთხის მკვიდრ ქართველებთან ერთად საერთო აქვთ გენეალოგიური გადმოცემები: წარმომავლობა, ისტორიული ბედი, ისტორიულ მოვლენებში მონაწილეობა, აქედან გამომდინარე, განსახლების არეალი და ენა“ (იქვე).

ამით ბატონი დავითი ცდილობს ქართველოლოგიაში გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრებისათვის საფუძვლის გამყარებას, რომ ეთნიკური ერთობის — ქართველის ქვეშ იმთავითვე იგულისხმება მეგრელ-ჭანების (ლაზების), სვანების, ჰერების, კახელების, მესხებისა და სხვა ქართული თემების ერთიანობა, და რომ „ერთობილ საქართველოს იმთავითვე საერთო ჰქონდა სარწმუნოება, სახელმწიფო-საეკლესიო-სამწიგნობრო ენა და მშობლიური ენით შექმნილი ქართული თვითშეგნება“ (იქვე).

მართალია, ბატონი დავითი მიიჩნევს, რომ ქართიზაციის თეორია არგუმენტირებულადაა გაკრიტიკებული სამეცნიერო ლიტერატურაში, სქოლიოში ასახელებს კიდევ სათანადო ლიტერატურასაც (მ. გეგეშიძე, ტ. ფუტკარაძე, რ. თოფჩიშვილი, დ.

შავიანიძე...), მაგრამ საქმე ისაა, რომ ზოგიერთი სპეციალისტის მიერ ქართიზაციის წინააღმდეგ გამოთქმული თვალსაზრისი არაა გაზიარებული ქართულ ისტორიოგრაფიაში; თუმცა პატივცემული მკვლევარი რატომღაც გვერდს უვლის საკითხის გარშემო სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ საპირისპირო მოსაზრებებს. ვგულისხმობთ ცნობილი ქართველი მეცნიერის, პროფესორ გიორგი მჭედლიძის მოსაზრებას, გამოთქმულს სწორედ ტარიელ ფუტკარაძის იმ დებულების საპირისპიროდ, რომლის მიხედვით ტერმინი ქართველი ზოგადქართველის შესატყვისია და შესაბამისად დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არანაირ ქართიზაციას თუ ქართველიზაციას ადგილი არ ჰქონია. ტერმინ ზოგადქართველის ქვეშ ნაგულისხმევ 30-მდე ქართველურ თემს, ტ. ფუტკარაძის აზრით, ქართიზაცია-ქართველიზაცია არ სჭირდებოდა (ტ. ფუტკარაძე, ქართველები, ნაწილი I, ქრისტიანობამდელი ეპოქა. ქუთ., 2005: 180).

ამ დებულებას არადამაჯერებლად და უსაფუძვლოდ მიიჩნევს გიორგი მჭედლიძე და შენიშნავს: „ქართიზაცია“ ეთნიკურთან ერთად პოლიტიკური პროცესიც იყო. ფეოდალურ საზოგადოებაში ერთ ენაზე ლაპარაკი საკმარისი როდია ეროვნული თვითშეგნების იმ დონეზე ამალღებისათვის, რომ გაერთიანების პროცესი უმტკივნეულოდ წარიმართოს. მით უფრო, ეს პროცესი გაძნელებულია იქ, სადაც არსებობს ენობრივი ბარიერი (გ. მჭედლიძე, მ. კეზევაძე, ქუთაის-გაენათის ეპარქია. ქუთ., 2008: 61).

ასევე სადავოა და დაუსაბუთებელი დ. შავიანიძის მოსაზრება „ერთობილ საქართველოში“ (რაშიც სამეგრელოსაც გულისხმობს) იმთავითვე ქართული სახელმწიფო-საეკლესიო-სამწიგნობრო ენის გავრცელების შესახებ. აღნიშნული საკითხი ცალკე და ვრცელი საუბრის თემაა და ამიტომ აქ მასზე სიტყვას არ გავაგრძელებთ.

წიგნის მეორე თავში ავტორი ანალიზებს სამეგრელოს სამეურნეო ყოფას, მწარმოებლური და არამწარმოებლური მეურნეობის ტრადიციულ დარგებს. სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგებიდან გავრცელებული მიწათმოქმედების მაღალი კულტურა განპირობებული იყო შესაფერისი ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებით. ითესებოდა სხვადასხვა ჯიშის მარცვლეული

კულტურა: ღომი, სიმინდი, მუხულო, ცერცვი, კოპეშია „კვახი“. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ნიადაგის თავისებურებებს და აგროტექნიკურ ღონისძიებებს, ხელოვნური განოყიერების, თესლ-მონაცვლეობისა და მიწის დასვენების პრაქტიკას (იქვე: 32-33).

სამეგრელოს ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებულია ნიადაგის სახეობრივი კლასიფიკაცია, რაც ნიადაგის ორგანულ თავისებურებათა ცოდნაზე იყო დაფუძნებული. დ. შავიანიძის თქმით, მიწას ფერის, შედგენილობის, ნაყოფიერება-მოსავლიანობის, ჰიდროგრაფიული და ტოპოგრაფიული თვისების, მდებარეობის მიხედვით არჩევენ. ნიადაგის ფერის მიხედვით მკვლევარი იძიწმებს **უნადისას** „შავ მიწას“, **ჭითადისას** „წითელ მიწას“ და რეხას. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რეხა, რახა ნიადაგის სახეობის აღმნიშვნელი ტერმინია და „ქვადორდიანს“ ნიშნავს. რეხა, რეხე, რეხერზენი და რეხი ტოპონიმებად დასტურდება სამეგრელოში (იხ. ი. კეკელია, ბანძის ტოპონიმია, თბ., 2007; პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. მარტვილის რაიონი (ჩრდილოეთი ნაწილი), თბ., 2012: 517-518). ჭითადისა ალუვიური ხასიათის, წებოვანი მიწაა, რაც ძნელად მუშავდება და მოსავალიც ასეთ ნიადაგზე ნაკლები იცის. ცნობილი მხარეთმცოდნე გივი ელიავა შენიშნავდა, რომ წითელმიწა ძირითადად კერამიკულ წარმოებაში გამოიყენებოდა. **ოკოტუე და ოიაგვანე** მიწები არის მარტვილის რაიონის ტერიტორიაზე – თამაკონში, ნამიკოლუში, გურძემსა და კიწიაში (იხ. გ. ელიავა, მხარეთმცოდნის თვალთ, თბ., 1978: 8).

დ. შავიანიძე მიწის სახეობებს შორის ასახელებს **მეჭვილ დინას**-ს და მიუთითებს, რომ ესაა ძნელად დასამუშავებელი, დამწვარი, მოშავო ფერის მიწა (იქვე: 33). გ. ელიავას ნაშრომში დამოწმებულია წითელმიწა, კაჟისა და ნაცრის წვრილი მარცვლების შემცველი ალუვიური ნიადაგების განსაკუთრებული სახეობა **მეჭვილი**, რაც სწორედ **მეჭვილ-დინას** პარალელური ფორმაა (გ. ელიავა, 1978: 9). **მეჭვილი** იგივეა, რაც „იმწვარი, მომწვარი; წაყინული (ნიადაგი)“.

სარეცენზიო წიგნში თავმოყრილი მასალებიდან ირკვევა, რომ ნიადაგის კლასიფიკაცია სამეგრელოში იციან დაამუშავების სირთუ-

ლის მიხედვით. ერთმანეთისაგან განსხვავებული ასეთი ნიადაგები შესაფერისი სახელის მატარებელი იყო. გ. ელიავა ასახელებს ფაქარ (ადვილად დასამუშავებელი, რბილი), **გაჯარ** (ქვიან-ჯავნარიანი, ძნელად ამოსაძირკვი), ქვალონ (ქვიანი, კეჭეხი, კაწარი), **იაგოზ/ლაგოზ** (მძიმე, წებოვანი და ეწერი) მიწას, აგრეთვე ფაქარი მიწის საპირისპირო ზოგად სახელწოდებას – **ღიხამანგარი** (მაგარი, მძიმედ დასამუშავებელი, ეწერი, წითელმიწა) (გ. ელიავა, 1978: 10-11).

დ. შავიანიძის ეთნოგრაფიულ მასალაში დასახელებულია ისეთი ტერმინები, რაზეც სამეგრელოს მიწათმოქმედებაზე აქამდე არსებულ და ხელმისაწვდომ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ინფორმაცია არ გვხვდება. ასეთია, მაგალითად, **ქიჩი** – იოლად დასამუშავებელი, წებოვანი მიწა, **ტაბაყურო** – ჭაობიანი ადგილი, **ტაბაკური** – დაბალი, სწორი ადგილი, წყალდამდგარი მიწა (იქვე: 33). საგულისხმოა, რომ **ტაბაყურო/ტაბაყურო** ტბის სახელწოდებად დამოწმებულია ვანის რაიონის სოფ. ქველა გორაში (საქართველოს ტოპონიმია, III, თბ., 2003: 297). **ტაბაკელა**, **ტაბაკელი**, **ტაბაკონა** და **ტაბაკური** მეგრული ენის სალექსიკონო მასალებში განმარტებულია, როგორც ტკეპნილი, მოსწორებული, ბრტყელი, გაშლილი ადგილი (ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010: 599).

ნაშრომში საინტერესო ეთნოგრაფიული მასალაა მოხმობილი სამეგრელოში ოდითგანვე გავრცელებულ მინდვრის ისეთ კულტურებზე, როგორიცაა სიმინდი, ბრინჯი, ბამბა, თუთუნი. უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული მათგანი ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება ბოტანიკური, ბიოლოგიური და სამეურნეო ნიშნებით. განსხვავებულია აგრეთვე პროდუქციის სახეობა, მოყვანის თავისებურებები, თესლბრუნვაში მათი განლაგება, მოსავლის აღების წესი და სხვა მაჩვენებლები.

ბამბის შესახებ მკვლევარი შემდეგი სახის ინფორმაციას გვაწვდის: „ბამბას აპრილში თესავდნენ. აღებამდე ორჯერ თოხნიდნენ. კვირიკობის თვეში დამწიფების შემდეგ მაჟალო ვაშლივით გამოიღებდა „ბამბის ვაშლს“. რამდენიმე ღლის მერე სიცხეში, შუადღით გაიშლებოდა და ამის შემდეგ ამოიღებდნენ კურკებს“

(იქვე: 40). ბამბა საფეიქრო მრეწველობაში გამოიყენებოდა. მისგან ამზადებდნენ ძაფებს, ხოლო მატყლში შერევით – ნახევრად შალის ძვირფას თხელ ქსოვილებს. ბამბის ღეროს იყენებდნენ საწვავ მასალად და ნიადაგში ჩასახნავად, როგორც სასუქს. ეს კულტურა სამეგრელოში ძველთაგანვე გავრცელებული ყოფილა, რასაც ადასტურებს ტოპონიმები – **ნაბამუ, ნაბამუუ, ობამუ** და სხვ. (პ. ცხადაია, V. მარტვილის რაიონი. სამხრეთი ნაწილი. თბ., 2010: 30, 46, 75, 82, 150, 208).

საქონლის საკვებად, ჩალასთან ერთად, გამოიყენებოდა აგრეთვე თივა. თივის მოსავლის აღება, ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, დიდ ყურადღებას და ცოდნას მოითხოვდა. მაღალხარისხიანი თივის მისაღებად საჭირო იყო ბალახების თავის ღროზე გათიბვა. სათივედ ამჯობინებდნენ ბალახის სახეობებს – ლაკარტიას, შალიფა ბალახს და მწყერფენას. საგულისხმოა მეგრელი მესაქონლის შემდეგი დაკვირვებაც: „თივა ყველა თივა არის, მაგრამ საქონელი რომ უყვარს, ის კაცი ბურჩხას არ აჭმევს საქონელს. ბურჩხა ჰქვია ერთი სახის ბალახს, მაღალი იზრდება. ის ტყუილად მუცელს უვსებს, თორემ არც რძეს მოუმატებს ის მეწველ საქონელს, არც ხორცს. თუ დაამჭლევენ, თორემ არავითარი სასარგებლო არაა“ (იქვე: 41). ბურჩხი იგივეა, რაც ბურღა, ჯალაღინი. კახეთში მას ფაჩხა-ძურწას ეძახიან, იმერეთში – ურიმას, ურიმა ბალახს, ურუმას, ურჩხს (იხ. ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი. თბ., 1991: 19, 146, 153). განსაზღვრული ყოფილა თივის დამზადების კალენდარული დროც: თიბვას იწყებდნენ დამწიფების შემდეგ, 15 აგვისტოდან 5 ენკენისთვემდე. მოჭრილ მასას რამდენიმე დღე აჩერებდნენ მინდორში შეჭკნობის მიზნით. გამშრალ თივას ბულულებად აგროვებდნენ და 2-3 დღის შემდეგ დასაზვინად მიჰქონდათ. დაზვინვის წესები მაქსიმალურად უნდა ყოფილიყო დაცული, რომ თივას „ჩაპარული წყლისგან“ ლპობა არ შეპარვოდა, ან ქარს არ გაეწეწა და გაენიავებინა.

ფრიად ფასეულია ბაჩანა და შაქრო ნარმანიებისგან ავტორისათვის მიწოდებული მასალა გადაშენებულ მარცვლოვან კულტურაზე, რასაც ფატი რქმევია და ითესებოდა გაზაფხულზე, ღომის თესვის უამს. აგვისტოს თვეში დამწიფებულ თავთავს ოლეზე

დაკიდებულს აშრობდნენ. ფატიის ფქვილისაგან აგურზე ცხვებოდა შავი პურის ფქვილისაგან გამომცხვარი პურის მსგავსი მჭადი. აცხობდნენ აგრეთვე კვერებს, რასაც თაფლსა და რძესთან ერთად ჭამდნენ. ა. ქობალიას სალექსიკონო მასალების მიხედვით **ფატი** ეწოდება ფეტვს, ფეტვისებრთა ოჯახს (საზოგ.); მჭადას, მარცვლეულს, რომელიც ერთ ღეროზე კონად იკეთებს რამდენიმე თავთავს. სამეგრელოში სცოდნიათ აგრეთვე ოთუთაშხურე „საორშაბათო“ ლოცვისთვის განკუთვნილი რიტუალური ფეტვის მჭადის გამოცხობა, რასაც **ფატიშ ჭკიდი** ერქვა (ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010: 623).

საინტერესო მსჯელობის მიუხედავად, უნდა ითქვას, რომ ბატონი დავით შავიანიძე გაკვრითაც არსად არაფერს ამბობს სამეგრელოში ფართოდ გავრცელებულ საკვებ კულტურაზე – ლობიოზე, აგრეთვე მემინდვრების ისეთ წამყვან ფეტვნაირ, მარცვლოვან, პარკოსან და საზეთე-ბოჭკოვან კულტურებზე, როგორცაა **ურიში, ქერიმა** (მეგრ. ჭკიდიშ ჭკიდი), **ჭვაი** (მეგრ. ჭვე(ე)), **მუხულო, ხანჭკოლა, სუ** „სელი“ და **კიფი** „კანაფი“ (ამ კულტურების შესახებ მსჯელობისათვის ვრცლად იხ. გ. ელიავა, 1978: 45-48; ი. მაისაია, ფეტვის კულტურა საქართველოში, თბ., 1998; ი. მაისაია, თ. შანშიაშვილი, ნ. რუსიშვილი, კოლხეთის აგრარული კულტურა, თბ., 2005).

უნდა აღინიშნოს, რომ ლობიოს კულტურა სამეგრელოში ფართოდ გამოიყენება საჭმლის მოსამზადებლად. პარკოსნებს შორის ყველაზე გემრიელი საჭმელი სწორედ ლობიოსგან მზადდება. სამეგრელოში გავრცელებულია სიმინდში ლობიოს შეთესვის წესი. ამასთანავე, მოჰყავთ როგორც სანაწვერალო კულტურა, მარცვლისა და ნედლი პარკის მისაღებად. ფიქრობენ, რომ ლობიო XVI ს-ის მეორე ნახევრიდან უნდა შემოსულიყო სამეგრელოსა და, საერთოდ, შავი ზღვის სანაპირო რაიონებში. აქედან კი აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულა. სელის, როგორც ერთ-ერთი უძველესი სასოფლო-სამეურნეო მცენარის, სამეგრელოში ფართო გავრცელებაზე მეტყველებს ტოპონიმიური მასალაც. სელისგან, როგორც სართავი კულტურისაგან, ორი სახის ნედლეული – სართავი ბოჭკო და სელი მიიღება. უხეში ბოჭკოსაგან იქსო-

ვებოდა ტომრები, მზადდებოდა თოკები, სათევზაო და მიმინოს დასაჭერი ბადეები. დიდი სიმტკიცე და გამძლეობა ახასიათებდა კანაფსაც, რის გამოც მას ფართო გამოყენება ჰქონდა სამეგრელოს სოფლის მეურნეობაში. კანაფი საუკეთესო საშუალება იყო ტომრების, ბადეების, თოკების, ღვედეებისა და მისთანათა დასამზადებლად.

მეგრელი მეურნეები ფლობდნენ ბალ-ბოსტნის გაშენება-მოვლის ხელოვნებასაც. ეს საკითხიც წიგნის პირველ თავში ცალკე პარაგრაფად არის შესული. ბაღჩეული კულტურებიდან სამეგრელოში ფართო გავრცელებას პოულობს ერთწლიანი მცენარეები: საზამთრო (მეგრ. **ხაბურზაკი**) და ნესვი (მეგრ. **შინკა**). შედარებით ახალი კულტურაა გოგრა (მეგრ. კობეშია/კოპეშია). საკვები ელემენტებით მდიდარ ნიადაგებზე ეს ბაღჩეული კულტურები დიდ მოსავალს იძლევა. ასეთი ნიადაგებია ძირითადად ახლად გატეხილი ყამირი, ახო, აგრეთვე მდინარისპირა ჭალები. ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით მოსავლის სიმრავლისთვის ხდებოდა ნიადაგის განოციერება **წურწუფით**, **ჟიჟათი** (იქვე: 44). ბოსტანში ითესება აგრეთვე ხაჯი (კერცვი), სოტელია (წითელი ფხალი), ზაფანა (პილპილი), მაკინდოლი (ოხრახუში), კინტირი (კიტრი), პამინდორი (პომიდორი)...

მეორე თავის 2.1.9 პარაგრაფში („ხეხილი“) დ. შავიანიძე აღნიშნავს, რომ სამეგრელოში ვაზის ჯიშების მრავალრიცხოვნებაზე მიკროტოპონიმიაც მიგვანიშნებს. გ. ელიავას ავტორობით 1977 წელს გამოცემული წიგნიდან („აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა“) დამოწმებულ ტოპონიმებს შორის ავტორი საილუსტრაციოდ ასახელებს **ოიაგვანეს** „საქვევროს“ (აღგ. სოფ. თამაკონში). შევნიშნავთ, რომ ტოპონიმი „ოიაგვანე“ მიუთითებს ქვევრის დასამზადებლად ვარგისი ნიადაგის გავრცელების არეალზე კონკრეტულ გეოგრაფიულ გარემოში, სოფ. თამაკონში, და მას არავითარი კავშირი არა აქვს ვაზის ჯიშთან (იქვე: 47).

ნაშრომში სათანადო ყურადღება ეთმობა თხილის კულტურას, რაც თანამედროვე სამეგრელოში შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. ახუთელი გურამ უბირიასაგან ჩაწერილი მასალის მიხედვით თხილი ირგვება იანვარ-თებერვალში, 25 სმ

სიღმრის მქონე ორმოებში. რიგთაშორის მანძილი 5 მ უნდა იყოს, ხოლო ბოქვებსშორის დაშორება – 2 მ. ერთ ადგილზე უნდა დაირგოს ორი, მაქსიმუმ ოთხი ღერი. აპრილ-მაისში, ნაწვიმარზე, საჭიროა 100-200 გრამი სასუქის შეტანა შემობარულ მიწაზე. დასახელებულია თხილის ჯიშებიც: სკვერი თხირი (თიკნისყურა), ბახვა თხირი, დამსკი (დედოფლის თითები), ტყის თხირი, გვაგვა თხირი, ბერძნული და ხოჯთხირი „ხარისთვალა თხილი“ (იქვე: 46).

საინტერესოა ავტორის მსჯელობა მწარმოებლური და არამწარმოებლური მეურნეობის ტრადიციულ დარგებზე (მესაქონლეობა, მელორეობა), აგრეთვე საქონლის მრავლობა-შენარჩუნებასა და დაავადებებთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებზე. სარეცენზიო ნაშრომში აღნიშნულია, რომ მეგრელის სამეურნეო ყოფაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ცხენს, როგორც ტვირთგადასახიდ, სამგზავრო და გამწვევ საშუალებას. ცხენს იყენებდნენ სპორტულ სანახაობებში. დამოწმებულია ცხენის გახედნასთან და დადალვასთან, ცხენის გამრავლებასთან დაკავშირებული ეთნოლოგიური მასალა. გადმოცემებში შემონახულია ცხენოსნობით, ანუ ვაჟკაცობით განთქმულ მხედართა სახელებიც (დიმიტრი, ბაჩუკა, ჯემალ და ომეხ ჩიქავები, შოთა დგებუაძე, სილოვან, ბაგრატ და ადამურ ნარმანიები, ჯეირან ხუბუა...).

სამეგრელოს ეთნოგრაფიის საკითხებით დაინტერესებული მკითხველები და სპეციალისტები წიგნში მრავალ საინტერესო ინფორმაციას წააწყდებიან მეფუტკრეობის, მონადირეობის, მეთევზეობის, მეაბრეშუმეობის, საოჯახო მეფრინველეობის საკითხებზე, აგრეთვე სამეურნეო ყოფასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებსა და ტრადიციულ წეს-ჩვეულებებზე. აქ მოკლედ შევეხებით მეაბრეშუმეობის საკითხებს, რამდენადაც იგი ჩვენი ქვეყნის ეროვნული მეურნეობის უძველესი და მეტად მნიშვნელოვანი დარგი იყო.

მეაბრეშუმეობის განვითარებას საქართველოში კარგი ბუნებრივი პირობები და ხელსაყრელი გეოგრაფიული გარემო ქმნიდა. ამასთანავე, აქ გადიოდა მსხვილი საქარავნო გზები. გზებს შორის უპირველესი – აბრეშუმის დიდი გზა საქართველოზეც

გადიოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ახალი სახაოსნო გზები იქნა აღმოჩენილი, აბრეშუმის დიდმა გზამ ფუნქციონირება შეწყვიტა. 1900 წლის მონაცემებით სამეგრელოს სასაქონლო პროდუქციაში მებაბრეშუმეობის ხვედრითი წილი შეადგენდა სენაკის მაზრაში 71,4%-ს, ხოლო ზუგდიდის მაზრაში – 58,7%-ს. სპეციალისტთა აზრით, „საქართველოში მებაბრეშუმეობა ყოველთვის განიხილებოდა როგორც ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცების, სოფლად შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების, სავალუტო შემოსავლების მნიშვნელოვანი წყარო და მუდმივი საგანი... მაღალხარისხოვანი ქართული აბრეშუმი დიდი პოპულარობით სარგებლობდა მსოფლიო ბაზარზე. მრავალი საუკუნის მანძილზე მებაბრეშუმეობა საქართველოში მოსახლეობის ერთ-ერთ ძირითად მოსაქმეობას წარმოადგენდა“ (გონა ნიკოლეიშვილი, გიორგი ნიკოლეიშვილი, მებაბრეშუმეობის ეკონომიკური ეფექტიანობა და მისი პოტენციალის გამოყენების სრულყოფის გზები საბაზრო ეკონომიკის პირობებში. თბ., 2005: 24). სამწუხაროდ, თუთის ნარგაობის განადგურებამ საქართველოში დღეს უფრო ფართო მასშტაბები შეიძინა, ვიდრე მას საუკუნეთა მიღმა ჰქონდა ადგილი. თუმცა, წარსულისგან განსხვავებით დღეს ეს შინაურის ხელით კეთდება, რაც ბარბაროსთა ქმედებაზე უარესია (იქვე: 25).

საქართველოში მეფუტკრეობის უხსოვარი დროიდან გავრცელებაზე ძველი ბერძნული წყაროები მოგვითხრობს. ბერძენი ისტორიკოსის – ქსენოფონტის ცნობით, საქართველოში ფუტკრის ოჯახები უჩვეულოდ ბევრი ყოფილა. ტრაპიზონის მახლობლად, კოლხთა ერთ-ერთ სოფელში, 10000 ბერძენი მეომარი მათრობელა თაფლს მოუწამლავს. პომპეუსი გვაუწყებს, რომ მათრობელა თაფლით გაბრუებული მტერი კოლხებს დაუმარცხებიათ კიდევ. ფუტკრის გავრცელებაზე მოგვითხრობს აგრეთვე XVIII საუკუნეში მოღვაწე დიდი ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი. სარეცენზიო წიგნის მეორე თავში ცალკე პარაგრაფად წარმოდგენილია სამეგრელოში მეურნეობის ფართოდ გავრცელებულ დარგთა შორის გამოჩენული მეფუტკრეობის საკითხები, ფუტკრის მოვლასთან დაკავშირებული ეთნოგრაფიული მასალა და ხალხური რწმენა-წარმოდგენები (იქვე: 62-67).

მესამე თავში განხილულია ხელოსნობა-შინამრეწველობის (მეჭურჭლეობა, ფეიქრობა, მჭედლობა, ჭის თხრა, წისქვილის აწყობა-მუშაობა, წნული ღობის გაკეთება, ტრანსპორტის ხალხური სახეობანი) საკითხები.

მეოთხე თავში მკვლევარი აანალიზებს დასახლების ტიპებთან, საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებთან დაკავშირებულ ეთნოგრაფიულ მასალას. საცხოვრებელ ნაგებობებზე მსჯელობისას დ. შავიანიძე იმოწმებს ეთნოგრაფიულ ჩანაწერებს გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, პროფ. სერგი მაკალათიას წიგნიდან – „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია“ და დასძენს, რომ „ფაცხაზე, ჯარგვალზე, გოდორა ანუ პიტაფიცარა სახლზე მეტი ეთნოგრაფიული მასალა თითქმის აღარ მოიპოვება“ (იქვე: 105). საინტერესოა სამეგრელოში ბოძებზე დადგმული საცხოვრებელი სახლის ტიპის – ოდა სახლის სახელწოდებად მკვლევრის მიერ საღდარის დამოწმების ფაქტი.

საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებზე, დგამ-ავეჯსა და ჭურჭელზე მსჯელობისას სასურველი იყო დ. შავიანიძეს გაეთვალისწინებინა გ. ელიავას ორი ნაშრომი – „მხარეთმცოდნის თვალთ“, სადაც ერთ-ერთი თავი მეგრული კარ-მიდამოს (მახორობას) აღწერას ეძღვნება, და 1989 წელს გამოცემული „ეთნოგრაფიული სამეგრელო. ალბომი“.

გასაზიარებელია ავტორის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში ახალმა ყოფამ გამოიწვია წინაპართა მიერ გამოყენებული საყოფაცხოვრებო ნივთებისა და ავეჯის შეცვლა. მათი ფორმისა და ფუნქციის აღდგენა გაძნელებულია შემორჩენილი ნივთიერი მასალის ფრაგმენტულობის გამო. მართალია, „ტრადიციული ურთიერთობების, საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობა-ნაგებობების და სხვათა შესახებ ინფორმაცია ძველი ყოფის მომსწრე მთხრობელებთან ფიქსირდება“ (იქვე: 111), მაგრამ საკვლევ საკითხებზე წიგნის ავტორი უხვ და მრავალფეროვან ეთნოლოგიურ მასალას წააწყდებოდა სამეცნიერო-სალექსიკონო მასალებშიც. ასე, მაგალითად, ალიო ქობალიას „მეგრული ლექსიკონი“ (თბ., 2010) ამ თვალსაზრისით ფრიად მნიშვნელოვანი წყაროა. თუმცა, სამწუხაროდ, წიგნისათვის დართული გამოყენებუ-

ლი სამეცნიერო ლიტერატურის ჩამონათვალში გ. ელიავას ზემოთ დასახელებული, ასევე ცალკეული ეთნოგრაფიული შრომები და ა. ქობალიას ხსენებული ლექსიკონი მითითებული არ არის.

წიგნის **მეხუთე-მეექვსე თავებში** განხილულია საოჯახო ყოფასა და ჩაცმულობასთან დაკავშირებული საკითხები. **მეშვიდე თავში** მოცემულია საკუთარი სახელების, მკვიდრ და მოსულ გვართა სადაურობა-წარმომავლობის, გვართა შორის ქორწინების აკრძალვა-დაშვების, საგვარეულო სალოცავებისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებული მდიდარი ეთნოისტორიული მასალა. დასახელებულია სამეგრელოში გავრცელებული, ადამიანთა ზოგიერთი სახელი და მეტსახელი.

მერვე თავში – „რელიგიური დღესასწაულები და რწმენა-წარმოდგენები“, მკვლევარი შენიშნავს, რომ სამეგრელოში უხვად არსებობს ლეგენდა-გადმოცემები მნათობთა და ხე-მცენარეთა თაყვანისცემაზე, მნათობ-ღვთაებათა შვიდეულზე, ავსულებზე, რელიგიური ხასიათის თქმულებები ქრისტიან წმიდა მოწამეთა – წმ. გიორგისა და წმ. ელიას ყოვლისშემძლეობაზე (იქვე: 130-134). „სამეგრელოში, – წერს დ. შავიანიძე, – ხე-მცენარეთა თაყვანისცემის დამამტკიცებელია **ჭყონდიდი** – დიდი მუხა, მუხის მსახურების სალოცავი ადგილი. აღნიშნული ფაქტი უთუოდ „ხეთა მსახურების“ დასტურია“ (იქვე: 135). ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ავტორის მსჯელობა ემყარება აკად. ივანე ჯავახიშვილის წიგნში („ქართველი ერის ისტორია“, ტომი პირველი) წარმოდგენილ ეთნოგრაფიულ მასალას.

ავტორის ცნობით, წალენჯიხის რაიონის სოფლებში აღინიშნებოდა დღესასწაულები, რასაც მსხვერპლშეწირვაც ახლდა. მათ შორის ასახელებს **სანწკელოს** და წერს, რომ ნწკელ-ღვთაებასთან დაკავშირებით მასალა მოპოვებული არ არის, მაგრამ ირკვევა, რომ სანწკელოს იხდიდნენ შემოდგომაზე. მარანში ჩამარხული ამ სალოცავი ქვევრის თავზე „დინოების“ წვევრები დაიჩოქებდნენ, ხოლო უხუცესი შემდეგი სიტყვებით დაილოცებოდა: „მარდიან ღორონთ, ნწკელ, სქანი ტიბინი სი ქომუჩი მა, ჩქიმ მოთას ღო გიმნაჭყანს“ (მაღლიანო ღმერთო, ნწკელ, მომეცი შენი წყალობა მე, ჩემს შვილებს, შვილიშვილებს და ნაგრამს)“ (იქვე: 138).

საკითხის კვლევის თვალსაზრისით საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ისტორიული სამურზაყანოს ტერიტორიაზე, გალის რაიონის სოფელ ხოლეში, მდინარე ერისწყლის მარცხენა მხარეს მდებარე მალლობს **წკელკარს** ეძახიან. იგი სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია შუა საუკუნეების არქიტექტურული ძეგლით, კერძოდ, X საუკუნით დათარიღებული დარბაზული ტიპის ეკლესიით. ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩენილი ნუსხური წარწერები შეისწავლეს თ. ბარნაველმა და ლ. შერვაშიძემ. ენათმეცნიერ პაატა ცხადაიას აზრით, „წკელკარის“ გრამატიკული, ლექსიკური და ეტიმოლოგიური (მოტივირების თვალსაზრისით) გააზრება იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ეს სახელწოდება მეგრულ ტოპონიმიკურ სისტემას მივაკუთვნოთ. მკვლევარი იმოწმებს სამურზაყანოელთა განმარტებას იმის შესახებ, რომ წკელის, იგივე მანცხვარწკელის თუ მიქელ-გაბრიელის ხატი ესვენა ერისწყლის მარცხენა მხარეს, მალლობზე მდგარი წყავის ხისძირას. ხესთან სალოცავად მისული ავადმყოფები ღმერთს განკურნებას შესთხოვდნენ (პ. ცხადაია, სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია, თბ., 2004: 30). სამურზაყანოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა ლექსიკონში ტოპონიმ „წკელკარის“ ეტიმოლოგიაზე მსჯელობისას პ. ცხადაია და ვ. ჯოჯუა შენიშნავენ, რომ სახელწოდება მიღებულია ხატის ან ადგილის სახელზე არსებითი სახელის – კარის დართვით. მათ ტოპონიმი წკელკარი გაიზარეს, როგორც „წკელის სამყოფი ადგილის წინ ან ირგვლივ მდებარე ტერიტორია“ (პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა, სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., 2003: 208).

ჩვენ მიერ ჩაწერილი გადმოცემის მიხედვით ეკლესიის სახელწოდება უკავშირდება ოდესღაც ამ ადგილას სალოცავ ხედ მიჩნეული წყავის არსებობას. **წყელი, წყი(ი), წყოუ** მეგრულში აღნიშნავს წყავს. **წყეი-ფშქერიც** იგივეა, რაც წყავი. მაგრამ, ამასთანავე, გასათვალისწინებელია **წკელი** სიტყვის მნიშვნელობა სამურზაყანოს მეგრულში. ესაა „მეოხი; ხელის შემწყობი“. ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ **მანცხვარ-წკნელი** უფლის ეპითეტადაა მიჩნეული და განმარტებულია, როგორც „მეოხი-მაცხოვარი“, ხოლო **წკელ-მანცხვარი**, როგორც „მეოხი და მაცხოვრებელი“ (ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010: 389, 698).

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ წკელკარი ეკლესიის სახელია, სავსებით ლოგიკურად გვეჩვენება ხატის სახელწოდებად მისი გააზრება. მაშასადამე, წკელკარი, ჩვენი აზრით, „მეოხისკარია“, სადაც წკელი წმინდანის (ან წმინდანთა) ეპითეტია, ისევე, როგორც ხანგარამი „ლახვროსანი“, ჯეგე/ჯეგეე „წმინდა, წმინდანი“, და ზოგადად, შესაძლებელია, მიემართებოდა მაცხოვარს, ან წმიდა გიორგის. წკელკარი უნდა დარქმეოდა იმ ადგილს, სადაც ადამიანთა შემწე რომელიმე წმინდანის ხატი იყო დასვენებული (მსჯელობისათვის ვრცლად იხ. ი. კეკელია, „წკელკარის“ ეტიმოლოგიისთვის. კრ. „ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი“, XVI, 2014: 238-242).

დავით შავიანიძის მიერ მოძიებული ეთნოგრაფიული მასალის გაანალიზებით შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ენგურ-კოდორის შუამდინარეთის აფხაზთაგან რბევა-აოხრების შემდეგ, XVII-XVIII სს-ში წკელკარის ხატი ხიფათს გამოარიდეს და მდ. ენგურის მარცხენა მხარეს, თანამედროვე წალენჯიხის რაიონის ტერიტორიაზე მიუჩინეს ბინა, სადაც სანწკელო „ხვამაც“ გააგრძელეს კიდეც.

მერვე თავში ცალკე პარაგრაფად წარმოდგენილია „ქრისტიანული, სინკრეტიზებული დღესასწაულები, წეს-ჩვეულებები“. დამოწმებულია ბარბარობა/ბარბალობის, შობა-ახალი წლის, დიდი ოხვამერის, ნათლისღების, თედორობის, ელიაობის, თანაფას „აღდგომის“ რიტუალების ამსახველი ახალი ეთნოლოგიური მასალა. ავტორი აღდგომის შესატყვისად მიუთითებს „თანაფას“, მაგრამ არაფერს ამბობს იმაზე, რომ შობას სამეგრელოში ქი(რ)სეს, ახალ წელს – კალანდას, ნათლისღებას – **წაკურთხიას**, თედორობას – **თერდობას/თორდობას**, ელიაობას – ეიობას რომ ეძახიან...

სამწიგნობრო ქართულსა და მეგრულში კვირის დღეთა სახელებს შორის დ. შავიანიძე „შაბათის“ მეგრულ შესატყვისად ასახელებს **საბატონი** ფორმას. სასურველი იყო შაბათის შესატყვის პარალელურ ფორმად ბერძნულიდან ნასესხებ საბატონი (ბერძნ. საბატონ“, ძვ. ებრ. „შაბატ“, ლათ. „საბატუმ“, გერმ. „საბატ-შაბეს, რუს. „სუბბოტა“) ფორმასთან ერთად ავტორს მიეთითებინა **შურიშხა/შურიშ დლა**, რაც „სულის დღეს, მიცვალე-

ბულთა სულის ხსენების დღეს“ ნიშნავს. მეგრული წარმართული შვიდდღიური სისტემის ამ ერთი წევრის შესახებ მსჯელობა მოცემულია გ. ელიავას რამდენიმე პუბლიკაციაში (გ. ელიავა, 1989: 76, 120, და იქვე მითითებული ლიტ-რა).

სარეცენზიო წერილში წიგნის ყველა მნიშვნელოვან ასპექტზე, რასაკვირველია, ყურადღებას ვერ გავამახვილებთ. მხოლოდ იმის აღნიშვნით შემოვიფარგლებით, რომ მეცხრე თავში შესწავლილია ქორწინება, ქორწილი და საქორწილო წეს-ჩვეულებები (გვ. 153-164). მეათე თავში მოცემულია მსჯელობა მიცვალებულის დაკრძალვისა და გლოვის სამეგრელოსათვის დამახასიათებელ მთელ რიგ თავისებურებებზე (იქვე: 165-178).

მეთორმეტე თავი ეხება ნათესაობის სისტემის შესწავლას. შეძენილი ძმებისა და ბიძაშვილებისაგან მესამე-მეოთხე თაობამდე შემდგარი გაერთიანების აღმნიშვნელ ტერმინად დ. შავიანიძე იმოწმებს სამძო-საბიძაშვილოს. თუმცა უმჯობესი იქნებოდა ამ შემთხვევაშიც მისი მეგრული შესატყვისი — **საჯიმალო-საბიძის-ქუალო** ყოფილიყო მითითებული (იქვე: 180). საჯიმალო მონათესავე პატარა ოჯახების ერთობლიობაა. ეს ოჯახები საჯიმალო ხვამას „სამძო ლოცვას“ ერთობლივად აღავეუნდა. ასევე ზედსიძედ შემოსული მეგრულში აღინიშნება **გესინჯეული**, ხოლო სიძე — **სინდა/სინჯა** სიტყვებით (იქვე). სამეგრელოში სისხლით ნათესავის ტოლ ნათესავად ჰყავთ მოაზრებული ძუძუმტე, მისი შთამომავლობა და წმინდა ნათლისღების წესით შეძენილი ნათელია. ამ უკანასკნელს ასახავს სიტყვა „მორდია“, მაგრამ დ. შავიანიძე ამის შესახებაც არაფერს ამბობს. სამეგრელოში იცოდნენ შეფიცული ძმობის დაცვაც. ამ ფაქტის საილუსტრაციოდ მკვლევარი იმოწმებს სოფ. ბანძაში ორი გვარის — კეკელიებისა და გაბუნიების ძმობისა და მათ შორის ქორწინების აკრძალვის შესახებ გავრცელებულ გადმოცემას (იქვე: 182-183). ჯიმაჩაფილობის „ძმადნაფიცობის“ ინსტიტუტი სამეგრელოში სპეციალურად შეისწავლა გ. ელიავამ.

წიგნის **მეთორმეტე თავი** კვების ხალხურ სისტემას ეხება. სამეგრელოს მკვიდრთა კვების სისტემა, დ. შავიანიძის დაკვირვებით, ტრადიციულ კულტურულ-სამეურნეო ტიპზეა დაფუძნებული.

ლი. გავრცელებულია მარცვლეულისაგან დამზადებული კერძები, ხორცი და რძის პროდუქტები. კვების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აგრეთვე ბოსტნეულს და ბალჩეულს. საჭმელე-ბის შესაკმაზად გამოყენებული სანელებლებიც მრავალფეროვნე-ბით გამოირჩევა. კერძებს შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ელარჯი (ლომში მოხარშული ყველი), ლომი, საცივი ანუ ბაჟე, ხარჩო, გულ-ღვიძლი და სულგუნი. სამეგრელოს ზღ-ვისპირა რეგიონის მცხოვრებთა ძირითადი კერძი თევზია. აქვე მოცემულია კუჭმაჭის, ხარჩოს, შიგნეულის კუპატის, სულგუნის, ყველის, მჭადის, ლომის, ელარჯის, ჩემქვას, ხაჭაპურის, ჭვიშ-ტარის, წითელი აჯიკის, ჭითა ჯიშუს „წითელი მარილის“... მომზადების ხალხური წესები (იქვე: 184-189).

მეცამეტე თავი ტრადიციული ხალხური მედიცინის, შე-ლოცვა-გამოლოცვებისა და რწმენა-წარმოდგენების შესწავლას ისახავს მიზნად (იქვე: 190-201). აქვე წარმოდგენილია ხალხური მედიცინის საკითხებზე ავტორის მიერ სამეგრელოში მოპოვებული ეთნოლოგიური მასალა – შელოცვები, ამა თუ იმ დაავადების მკურნალობისათვის გამოსადეგი წამლები და წამლის დამზადების წესები. ირკვევა, რომ ხალხური მედიცინის გამოყენება სამეგრე-ლოში თაობათა პრაქტიკულ გამოცდილებაზე იყო დამყარებული: „სამეგრელოში გადმოცემებით შენახული და გადარჩენილი ქარ-თული სამედიცინო-კულტურული მემკვიდრეობა ტრადიციულად აერთიანებს ბალახეული, შინაური წამლებით მკურნალობას – ნატუროპათიასა და მაგიურ მედიცინას“ (იქვე: 200).

მეთოთხმეტე თავში დ. შავიანიძე იმოწმებს ცნობიერების აბს-ტრაქტული განცდის – სიზმრის შესახებ მოპოვებულ მდიდარ ეთნოგრაფიულ მასალას. საილუსტრაციოდ აქვე დავასახელებთ რამდენიმე ნიმუშს: სიზმრად ნანახი ლეღვი სიკვდილის ნიშანია; კამეჩი ცუდის ნიშანია; თხრილზე კაცის გადასვლის სიზმარში ნახვა ცუდის ნიშანია. ვისაც ეს დაესიზმრება, სახლი ან სხვა რაღაც დაეწვება; სიზმარში წყალზე გადასვლა იმის მაუწყებელია, რომ დაკრძალვაზე მოგიწევს წასვლა; ფული თუ დაგესიზმრე-ბა, ახალ ამბავს გაიგებ; ხურდა ფული თუ დაგესიზმრა, ავად გახდები და ა. შ. (იქვე: 202-206).

სამეგრელოში ბავშვთა ხალხური აღზრდის სისტემა შესწავლილია სარეცენზიო ნაშრომის **მეთხუთმეტე თავში**. აქვე ცალკე პარაგრაფად წარმოდგენილია სამეგრელოში გავრცელებული ხალხური თამაშობების აღწერილობა. ავტორი გულისტკივილით შენიშნავს, რომ „დღეს ბავშვი, საზოგადოება და სკოლა დაშორებულია ერთმანეთს, რაც ქმნის ტრადიციული კულტურული მემკვიდრეობის მივიწყების საშიშროებას. აღარაა აქტუალური ხალხური პედაგოგიკა. ყურადღება აღარ ექცევა არაფორმალურ განათლებას, ანუ სკოლაში, ოჯახსა და საზოგადოებაში აღარ იზრდებიან ბავშვები ტრადიციებით, ლეგენდა-თქმულებით, ზღაპრებით. ბავშვები აღარ თამაშობენ. ხალხური პედაგოგიკით ახსნა-სწავლება კი უფრო მეტ ინფორმაციას აძლევს მოზარდს ეთნიკური მიკუთვნებულობის, ერთობის, ყოფის შესახებ, უზრუნველყოფს მომავალი თაობის ზნობრივ-ფიზიკურად სრულყოფას. იმის ცოდნის მიუხედავად, რომ კოგნიტური წარმოდგენების უზრუნველყოფა შეიძლება ხალხური სიბრძნით, გენეალოგიური გადმოცემებით, თქმულებებით, ოჯახი და საზოგადოება აღარ ზრუნავს ეთნიკური თვითშეგნების დონის, სოციალურ-ფსიქოლოგიური და იდეოლოგიური უზრუნველყოფისათვის“ (იქვე: 220).

მეთექვსმეტე თავში ავტორი წარმოგიდგენს სამეცნიერო და სტუდენტური ექსპედიციების დროს ჩაწერილ ხალხური შემოქმედების ნიმუშებს – ლექსებს, საფლავის ეპიტაფიებს. ამ მასალებში ნათლად იკვეთება საზოგადოების ეთიკურ-დიდაქტიკური იდეალები, სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა, შრომისადმი დამოკიდებულება.

წიგნს ერთვის განმაზოგადებელი დასკვნები ქართულ და ინგლისურ ენებზე. დასკვნების სახით ავტორი მიზნად ისახავს იმ საკითხების მოკლე შინაარსის გადმოცემას, რაზეც ეთნოგრაფიული მასალა ცალკეულ თავებად და პარაგრაფებად აქვს წარმოდგენილი ნაშრომში.

ვფიქრობთ, ბატონ დავით შავიანიძეს ნაშრომზე მუშაობისას აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინა და გამოყენებულ ლიტერატურაშიც სათანადოდ უნდა ასახულიყო სამეგრელოს შესახებ გამოქვეყნებული ისეთი მნიშვნელოვანი გამოკვლევები, როგორიცაა: ნ. აბაკელია, „არქაული კულტები და რიტუალები სამეგრელოში,

წგნ.: სამეგრელო, კოლხეთი-ოდიში. ნაწილი I, თბ.-ზუგდ., 1999; ნ. აბესაძე, მეგრეშუძეობა საქართველოში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), თბ., 1957; გ. ელიავა, ძიებანი, ქუთ., 1994; ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976; ი. მაისაია, ღომის კულტურა საქართველოში, თბ., 1987; მისივე, ფეტვის კულტურა საქართველოში, თბ., 1998; ი. მაისაია, თ. შანშიაშვილი, ნ. რუსიშვილი, კოლხეთის აგრარული კულტურა, თბ., 2005; მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის (ტ. I, თბ., 1976; ტ. II, თბ., 1979; III, თბ., 1986); „საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი – მასალები (მემინდვრეობა), თბ., 1985; თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1956; მისივე, ახალწელიწადი (კალანდა) სამეგრელოში, ჟ. „მომბე“, 1897, №1, განყ. II; ლ. ძიძიგური, ძველი კოლხეთის სამეურნეო კულტურა, თბ., 1994; გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობის კულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ., 1990.

ცხადია, ამ საინტერესო წიგნის წაკითხვისას ჩვენი ყურადღება სხვა არაერთმა მნიშვნელოვანმა საკითხმა მიიქცია, მაგრამ ყველა მათგანზე მსჯელობა, ბუნებრივია, რეცენზიის განსაზღვრული მოცულობის გამო შეუძლებელია. ვფიქრობთ, რომ ქართველი ისტორიკოსები მომავალში მეტ დაინტერესებას გამოიჩენენ დავით შავიანიძის გამოკვლევისადმი და შეუფასებლად არ დატოვებენ ეთნოგრაფიული სამეცნიერო ლიტერატურის ამ მეტად საგულისხმო შენაძენს. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ცალკეული საკითხები, რომლებიც სპეციალისტებისათვის შეიძლება უფრო საყურადღებოც კი აღმოჩნდეს, მომავალში ცალკე და ვრცელი განხილვის საგნად იქცევა.

დაიბეჭდა გაზეთ „ილორში“ (№340, 17-24 XI, 2015, გვ. 3; №342, 1-8 XII, 2015, გვ. 3; №343, 8-15 XII, 2015, გვ. 8

სენაკის რაიონის გეოგრაფიულ სახელწოდებათა სალექსიკონო მასალების შესახებ

(რეცენზია პაატა ცხადაის წიგნზე)

სენაკის რაიონის (ამჟამად მუნიციპალიტეტის) ტოპონიმის საკითხებით სხვადასხვა დროს არაერთი ქართველი მკვლევარი დაინტერესებულა. მათ შორის უპირველეს ყოვლისა უნდა დასახელდეს პროფესორი ალექსანდრე ღლონტი, რომელმაც 1971 წელს ცალკე წიგნად გამოსცა კოლხეთის რაიონებში, მათ შორის ცხაკაიას (ამჟამინდელი სენაკის) რაიონში აღწერილ ტოპონიმთა მოკლე ლექსიკონი (**ალ. ღლონტი, ტოპონიმიკური ძიებანი, I, თბ., 1971, 108 გვ.**). მოგვიანებით, 1989 წელს, ქართველ მკითხველს ხანგრძლივი კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებული მდიდარი ტოპონიმიური მასალის ერთი ნაწილი — სენაკის რაიონის ასეულობით მიკროტოპონიმი, სასოფლო საბჭოების მიხედვით დაჯგუფებული სალექსიკონო მასალის სახით, მიაწოდა მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა **გივი ელიავამ (იხ. გ. ელიავა, სენაკის რაიონის ტოპონიმი, თბ., 1989, 152 გვ.)**. საგულისხმოა და ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ სწორედ გივი ელიავას სახელს უკავშირდება საქართველოში პირველად ტოპონიმთა არამართო კარტოთეკებისა და სქემების, არამედ ტოპონიმიური ატლასების შექმნა რაიონების მიხედვით, რაც მარტვილის მუზეუმის სამეცნიერო ფონდში ინახება და თითქმის ნახევარი საუკუნეა ელის გამოცემულს.

ალექსანდრე ღლონტმა და გივი ელიავამ გასული საუკუნის 60-70-იან წლებში მთელი სამეგრელო ფეხდაფეხ შემოიარეს. სწორედ მათ უნდა ვუმაღლოდეთ მრავალი, დღემდე სრულიად უცნობი გეოგრაფიული სახელწოდების გადარჩენას და ჩართვას

ტოპონიმიური კვლევა-ძიების ორბიტაში.

სენაკის რაიონის ტოპონიმიის საკითხებზე სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა ცალკეულ ავტორთა სტატიები და წიგნები. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ თ. ბერაძის, ო. ხუხუას, ი. კეკელიას, ნ. ბუღაძის, დ. ოდიშარიას, დ. ყანდაშვილის, გ. შალამბერიძის, დ. ჭითანავას, ზ. ჭუმბურიძისა და სხვათა პუბლიკაციები.

ამ გამოკვლევებს 2013 წელს შეემატა თსუ ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის – **პაატა ცხადაიას** 440-გვერდიანი წიგნი „**სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. სენაკის რაიონი**“. ეს არის ამ სერიით სამეგრელოს ცალკეული რაიონების ტოპონიმურ მასალებზე გამოცემული რიგით VII წიგნი, რომლის **პირველ ნაწილშიც** წარმოდგენილია ცალკეული დასახლებული პუნქტების შესახებ მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის მიმოხილვა. ამას მოსდევს რესპოდენტთა სია, მათივე ასაკის ჩვენებით, და ტოპონიმური მასალის ჩაწერის თარიღი. წიგნის **მეორე ნაწილში** სენაკის რაიონის ტოპონიმიის საერთო ანბანის რიგზეა დალაგებული. სარეცენზიო წიგნში წარმოდგენილია სახელდებული ობიექტის მიკროლოკალიზაცია, მოტივაცია, ამოსავალი ფუძის ეტიმოლოგია და ისტორიული წყაროების მონაცემები (სადაც ეს შესაძლებელი იყო).

წლების მანძილზე პ. ცხადაიას ენერგიული და მუხლჩაუხრელი შრომით მოპოვებული და ცალკე წიგნად გამოცემული სარეცენზიო წიგნის გაცნობით კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით იმაში, რომ სამეგრელოს (ოდიშის) წარსულის, კულტურული, ეკონომიკური თუ სოციალური ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გულმოდგინედ გამოსაძიებელი და შესასწავლი...

სამეგრელოს ის რაიონი, რასაც ჩვენი სარეცენზიო ნაშრომი ეძღვნება, ანტიკურ ხანასა და ადრეულ შუა საუკუნეებში ძლიერ დაწინაურებული იყო, რაც დასტურდება ქართული და უცხოური (ბერძნულ-რომაული) წერილობითი წყაროებით და ამჟამად, ჩვენში ეგ ზომ დაწინაურებული არქეოლოგიური ძიების შედეგებით. სწორედ სენაკის რაიონში, მდ. ტეხურის მარცხენა ნაპირზე, ნოქალაქევის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტო-

რიაზე მდებარეობს ეგრისისა და სვანეთის ერისმთავრის – ქუჯის მიერ დაარსებული ციხე-ქალაქი, ქართული წერილობითი წყაროების **ციხეგოჯი**. უცნობი ავტორის თხზულებაში – „დავით და კონსტანტინეს წამება“, გვხვდება ფორმა „ჯიხა ნოქალაქევისა“, ანუ ქუჯის ციხესიმაგრე. VI საუკუნის ბიზანტიურ წყაროებში დამოწმებულია ბერძნული ფორმა ციხის სახელწოდებისა – **არქეოპოლისი**, რაც სიტყვასიტყვით „ძველ ქალაქს“ ნიშნავს. იუსტინიანეს ნოველებში (VI ს.) არქეოპოლისი კოლხეთის ძველ სიმაგრედ არის დასახელებული. პროკოპი კესარიელის ცნობით, ლაზებს მდინარის პირას ძველთაგანვე აუგიათ „არქეოპოლისი, ძალიან გამაგრებული“. VI-VIII საუკუნეებში ციხეგოჯი წარმოადგენდა ეგრისის სამეფოს დედაქალაქს, რაც VIII ს-ის 30-იან წლებში დაურბევია და გაუნადგურებია არაბთა სარდალს მურვან ყრუს. XVIII ს-ის დიდი ქართველი ისტორიკოსის, გეოგრაფისა და პოლიტიკური მოღვაწის – ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „აწ სენაკს ზეით უნაგირას ძირში არს ნაქალაქევი, ციხეგოჯად წოდებული. ეს აღაშენა მეფის ფარნაოზის ჟამს ქუჯიმ, ქალაქი და ციხე“ (ვახუშტი, 1973: 777).

სენაკის რაიონის ტერიტორიაზე არსებული მატერიალური კულტურის ძეგლებიდან აქვე დავასახელებთ სოფ. ეკის იოანე ნათლისმცემლის სამონასტრო ანსამბლს, IX-X სს. ფრესკების ფრაგმენტებით, ეკის მაცხვარკარის ეკლესიას (XIII ს-ის II ნახევარი), ეკის ადრეფეოდალური ხანის ციხის ნაშთს, ირგვლივ შემოვლებული ღრმა და განიერი თხრილით, ჯგაბარიონის//ჯგემარიონის, ანუ წმ. მარიაძის შუა საუკუნეების ეკლესიისა და გალავნის ნაშთს სოფ. ბეთლემში, სახარბედიოს დედათა მონასტერს, ძველი სენაკის მაცხოვრის შობის ეკლესიას – მანცხვარს (XVII ს.), ხორშის მაცხოვრისკარის ეკლესიას (VI-IX სს.), შხეფის შუა საუკუნეების ციხესიმაგრეს...

3. ცხადაიას არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გაანალიზების საფუძველზე მიზნად დაუსახავს სახელოვან კოლხთა ნაღვაწის წარმოჩენა მატერიალური და სულიერი კულტურის სფეროში. მკვლევარი თვალნათლივ წარმოაჩენს მათ განსაკუთრებულ წვლილს ქვეყნის მშენებლობის საქმეში. ტოპონიმებს –

ენის ამ არქაულ დანაშრევებს, შორეული წარსულის მეცნიერული რეკონსტრუქციისათვის საჭირო წერილობითი წყაროების ნაკლებობის პირობებში, მატერიალური კულტურის ძეგლებთან და ეთნოლოგიურ მასალებთან ერთად, პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება, რაშიც მკითხველი ადვილად დარწმუნდება, თუკი გულდასმით გაეცნობა სარეცენზიო წიგნში თავმოყრილ მრავალფეროვან მასალას...

წიგნში წარმოდგენილია სენაკის რაიონის დასახლებული პუნქტების ღრმა მეცნიერული შესწავლის ცდები. ასე, მაგალითად, ოიკონიმ **ისულას** ჩვენეული განმარტება: ისულა → ისირულა „ისლნარი ადგილი, საისლე“ (იხ. ი. კეკელია, დ. ოდიშარია, სენაკის რაიონის დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი, ქუთ., 2012: ?), პ. ცხადაის დაკვირვებით, მისაღები რომ იყოს, აუცილებელია **-ულა** ფუნქციით **-ონა**-ს ტოლოფარდი ტოპონიმების მოძიება. „ასეთ შემთხვევაში: ისირულა „ისლნარი“ → ისულა (ჰაპლოლოგიით), ან თუნდაც ოდენ „ისირულა“ ჰიდრონიმის ფუნქციით“ (პ. ცხადაია, VII, 2013: 16).

ოიკონიმ „ეკის“ ეტიმოლოგიაზე მსჯელობისას მკვლევარი იმოწმებს საილუსტრაციო მასალას გივი ელიაგას მიერ 1989 წელს გამოცემული წიგნიდან, რომ ეკი საწულეისკიროს ცენტრს წარმოადგენს; ხოლო სოფლის სახელწოდების რესპოდენტისეული ეტიმოლოგია ასეთია: რადგან ამის შემდეგ ადგილი სულ მალდება, ამიტომ მას ეკალს ეძახიან (გ. ელიავა, 1989: 42). პ. ცხადაიას მისაღებად ეჩვენება საკვლევე ტოპონიმის ასეთი ეტიმოლოგია, რადგან სოფელი ეკი მდინარე ცივის ნაპირებიდან აღმოსავლეთით სულ მალლა-მალლა მიიწევს. მაშასადამე, ეკალ „აღმართი“ განმარტება უფრო მისაღებია, ვიდრე სოფლის სახელწოდებისათვის ამოსავალ ფორმად ლეკის „შლამის, ლეკის“ → ლეკის → ეკის მიჩნევა, რადგან ეს ფონეტიკური პროცესი მხოლოდ ბანძურ-მარტვილურ თქმას ახასიათებს (იქვე: 21-22).

დავიმოწმებთ კიდევ ერთ მაგალითს: **გოლასკური** სოფელია თეკლათის თემში, მდ. ცივისა და სოფ. ქვალონს შუა. კითხვაზე – რას წარმოადგენს ოიკონიმის პირველი კომპონენტი გოლა? – პასუხის გასაცემად პ. ცხადაია მიმოიხილავს სამეცნიერო ლი-

ტერატურას: გ. ელიავას განმარტებით გოლასკური იგივეა, რაც „მთის ნიავი“. ი. კეკელიასა და დ. ოდიშარის აზრით, შესაძლებელია გოლასკურის//გოლასქურის „მთის წყაროდ“ გააზრება. პ. ცხადაიას დასკვნა კი შემდეგია: ასეთი ეტიმოლოგია შეუძლებელი არაა, მაგრამ, არც ისაა გამოსარიცხი, რომ ტოპონიმის პირველი კომპონენტი წარმოადგენდეს ანთროპონიმს – პირსახელს ან გვარსახელს, ვინაიდან ქართულ სინამდვილეში ორივეა დადასტურებული: პირსახელი **გოლა** და მეტად მცირერიცხოვანი გვარი **გოლაგა** შესაძლოა იყოს გოლასქურის პირველი კომპონენტი. მაშასადამე, „**გოლაშ სკური** „გოლას (ან გოლაგას) წყალი“ (პიდრონიმი) → **გოლასკური** (სოფლის სახელწოდება)“ (პ. ცხადაია, VII, 2013: 48-49).

პ. ცხადაია აღნიშნავს, რომ სენაკის რაიონის ტოპონიმია შეიცავს ენობრივი თუ გარეენობრივი ანალიზისათვის მეტად ფასეულ და მრავალმხრივ ინფორმაციას. კერძოდ, გეოგრაფიული სახელწოდების ამოსავალი ზოგიერთი საზოგადო სახელი არ დასტურდება დღემდე გამოცემულ ლექსიკონებში. საილუსტრაციოდ დასახელებულია მრავალთავან ერთი მაგალითი: სენაკისა და აბაშის რაიონების ტოპონიმებში დადასტურებული ფარტე-ს ეტიმოლოგია და მოტივაცია. რესპოდენტის ინფორმაციით, ფარტე 4-5 მ. სიფართის დაბალი ადგილია, სადაც მხოლოდ ნაწვიმარზე დის წყალი.

მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს ტოპონიმებში შემონახულ წარმართობის დროინდელ, მოგვიანებით ქრისტიანულ კულტებთან შერწყმულ რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებზე: **კაპუნია**, **მირსა** (მირსობა), ჯგირელია (ამინდის ღვთაება, შემდეგ ილია წინასწარმეტყველის კულტთან შერწყმული); აგრეთვე ტოპონიმებში შემონახულ უცხოენოვან მასალაზე: **საორგო** (ბერძნ. **ორგია**), **მაიდან**, **მედანი** (არაბულ-სპარსული **მაიდან**), კილიალესა (ბერძნ. **კირიე ელეისონ**), რუსული **იარმუკა**, **კაზარმა** და სხვ. მრ. „საერთოდ კი, – დაასკვნის მკვლევარი, – სენაკის რაიონის ტოპონიმია, თუკი მას ჩავედრებოდებით, კოლხთა ცხოვრების მრავალ საინტერესო ფაქტს გამოავლენს“ (ცხადაია, VII, 2013: 6).

შეიძლება თამამად ითქვას, რომ „სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი“-ს სერით პ. ცხადაიას მიერ გამოცემული

სალექსიკონო მასალები კოლხური ონომასტიკური ლიტერატურის მეტად საჭირო შენაძენია. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუკი გავითვალისწინებთ ერთ, არსებითი ხასიათის გარემოებას: ცნობილია, რომ ბუნებრივმა და ისტორიულმა ქართველებმა შესაძლებელია გამოიწვიოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა ერთი ნაწილის დროთა განმავლობაში გაქრობა ან შეცვლა. † ასე, მაგალითად, გასული საუკუნის 60-70-იან წლებში გ. ელიავასა და ალ. ღლონტის მიერ სამეგრელოში ჩაწერილმა მრავალმა ტოპონიმმა ვერ ჰპოვა ასახვა პაატა ცხადაიას წიგნებში, ანუ ბატონი პაატა ვერ შეხვდა ისეთ რესპოდენტს, რომელიც დაეხმარებოდა მას დასახელებულ მკვლევართა მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ ნაშრომებში თავმოყრილი გეოგრაფიული სახელწოდებების ერთი ნაწილის ლოკალიზაციის, სემანტიკისა და მოტივაციის დადგენაში; ე. ი. ამ მეცნიერთა სათვალსაწიერო, საკვლევი პერიოდი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ტოპონიმთა ერთი ნაწილის „სიცოცხლის ხანგრძლივობა“ ხანმოკლე ყოფილიყო; მეორე, სიცოცხლისუნარიან ნაწილს კი ფორმით ან შინაარსით შეცვლილი სახელი ჩანაცვლებოდა.

ზემოთ თქმულის საილუსტრაციოდ შევეცდებით ერთმანეთს შევედაროთ გ. ელიავასა და პ. ცხადაიას წიგნებში თავმოყრილი სენაკის რაიონის ტოპონიმური მასალა, რათა ორ ათეულზე მეტი მაგალითის დამოწმებითაც ნათლად გამოიკვეთოს მსგავსება-განსხვავებანი ტოპონიმთა დაწერილობასა თუ ეტიმოლოგია-ეტიმოლოგიებში.

გ. ელიავას წიგნში დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე დასახელებულია ტოპონიმი **ჯიხირი**, რასაც ახლავს ორგვარი განმარტება: 1. ნაბრძოლ-ნაწვალევი, ნაჭირალი და უბედური ადგილი; 2. ნაჯიხარი, ბუნებრივად გამაგრებული ადგილი, ციხე (გ. ელიავა, 1989: 64). პ. ცხადაია გვთავაზობს სახელდებული ობიექტის ლოკალიზაციას: უბანი ტეხურის მარცხენა მხარეს, გეჯეთისა და პირველი ნოსირის საზღვარზე და ამ უკანასკნელთან საზიარო. იქვე მიუთითებს **მისარ(ი)ონიშ ოხვამეს/წმინდა გიორგიშ ოხვამეს** და დასძენს, რომ „თურქების დროს“ აქ მდგარი ჯიხა „ციხე“ შემდეგ წყალს წაუღია (პ. ცხადაია, VII, 2013: 428).

სათურქიო, გ. ელიავას მიერ ჩაწერილი განმარტების მიხედვით, იმიტომ დაერქვა, რომ აქ თურქის ბანაკი მდგარა. სწორედ ამ ბანაკიდან არბევდა თითქოს თურქთა ლაშქარი შიდა სამეგრელოს (გ. ელიავა, 1989: 64). მაგრამ ეს განმარტება სწორი არ არის. სათურქიო ეწოდება უბანს ტენურის მარცხენა ნაპირზე, სადაც თურქიები (გვარია) სახლობენ (პ. ცხადაია, VII, 2013: 320).

გ. ელიავა დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე ასახელებს ტოპონიმ **საორიგოს** და გვთავაზობს სწორ განმარტებას: „ორიგავების (გვარია) უბანი“ (გ. ელიავა, 1989: 64). პ. ცხადაიას წიგნში დასახელებულია პარალელური ფორმები: **საორიგაო//საორიგომ დინო** – ორიგავების უბანი მდ. აბაშის ნაპირას. გ. ელიავას მიერ დასახელებულ ტოპონიმ **ნაოხვამუს/ჯეგემისარონს** ახლავს გ. ხუხუნისგან ჩაწერილი გადმოცემა: საკულტო ადგილია. მდ. აბაშის პირას მდგარი ცაცხვის სამი დიდი ხიდან ერთი წაქცეულია და ღებება, მაგრამ როგორც ღვთაება ჯეგემისარონის კუთვნილ ხეს, კაცი არ ეკარება. აქ სცოდნიათ ჩამოლოცვა. ფეხშიშველი მახვეწარი მისარონს შესთხოვდნენ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, ყოველგვარ სიკეთეს და შესაწირად მოჭქონდათ ფული, ნემსები, სანთელი, მოჰყავდათ მამლები, თიკნები და ა. შ. (გ. ელიავა, 1989: 64). გ. ელიავა „გეგემის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში ადგილის სახელწოდებად კიდევ ასახელებს **მისარონს**, რასაც თან ახლავს ინფორმანტ სამსონ ლუკას ძე თურქიას განმარტება: „აქ მითრას, მირსას სალოცავი იყო. მდგარა პატარა ეკლესია. აქვე სულ ცაცხვები მდგარა. ეს ხეები სახლის სიმსხოები ყოფილან. მათ ქვემოთ დიდი ქვა იღო. ამ ქვაზე ზემოთ მრგვალი ნათალი ქვა იღო თურმე. მას მალაზონის ქვა რქმევია. თვალის ტკივილს შველოდა ლოცვა ამ ქვასთან. წვრილ ფულს სწირავდნენ“ (იქვე: 65). პ. ცხადაიას ცნობით, სახნავს, ნაეკლესიარს ვაკეზე, ჯიხირში, ასევე **მისარონი** ეწოდება. რესპოდენტი განმარტავს: უწინ ფართო ლოდზე აღმართულ, კაცის სახის მქონე მომცრო ლოდთან დებდნენ ხურდა ფულს, ანთებდნენ სანთელს, დაიწვრდნენ პირჯვარს და შესთხოვდნენ ჯანმრთელობას (პ. ცხადაია, VII, 2013: 236).

ამასთანავე, პ. ცხადაიას სალექსიკონო მასალაში **ნაოხვამუდ** იწოდება მინდორი ძუგუში, სადაც უწინ ეკლესია მდგარა. წირვისას წაკიდებულ ღვაძბაიებს და ფინხაიებს თურმე ერთმანეთი დაუხოციათ (იქვე: 253). ასეთივე გადმოცემას გ. ელიავას წიგნში გვხვდებით ტოპონიმ „უჩაღელეს“ განმარტებისას: ჯეგემისარონი გეგეთში მცხოვრები ორი მემემულის – ღვაბერიასა (ღვაბერიძის) და ფინხაიას საზიარო ყოფილა. ჯეგემისარონის ეკლესიის მღვდლისათვის ფინხაიას შეუთვლია – სანადიროდ მივიღვარ და ჩემს დაბრუნებამდე წირვა არ დაიწყო. მაგრამ ეკლესიაში მოსულ ღვაბერიას მღვდლისთვის უბრძანებია ფინხაიას მოსვლამდე წირვის დაწყება. მღვდელი ღვაბერიას ბრძანებას დამორჩილება და წირვა დაუწყია. წირვის დამთავრებამდე ეკლესიაში მოსულ ღვაბერიას რომ უნახავს, მღვდელი სწირავდა, გაბრაზებულა და ღვთისმსახური გაუკიცხავს. ამ უკანასკნელს ღვაბერია გამოსარჩლება. მაშინ ფინხაიები და ღვაბერიები ერთმანეთს დარევიან და ერთმანეთი გაუჟღეცხათ. მღვდელი და დიაკვანიც მოუკლავთ. ამ უბედურების მოწმე ღელეს შავი ღელე დარქმევია (გ. ელიავა, 1989: 66-67).

გ. ელიავა მიწაზურვას, ბორცვის სახელწოდებად ასახელებს ტოპონიმს – **მაღაი** (იქვე: 64), ხოლო პ. ცხადაია შემადლებული ადგილის სახელწოდებად საოჩიგაოში, წყემის საზღვართან, მიუთითებს ტოპონიმს **მაღალის** ფორმით (პ. ცხადაია, VII, 2012: 229).

გ. ელიავა ასახელებს ტოპონიმ **ნაქობალუს**, დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე, და სწორადაც განმარტავს: „ნახორბლელი“ (იქვე: 64). პ. ცხადაიას ლოკალიზაცია ასეთია: „ნაქობალუ „ნახორბლელი“ – საძოვარი საოჩიგოსა და ჯინირს შუა. ტყეში პატარა ადგილი გაუკავავთ და ხორბალი დაუთესავთ. ამ ტყეს შემდეგ ნაქობალუ დარქმევია. ამჟამად იქ მინდორია“ (იქვე: 260).

გ. ელიავა დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე დამოწმებულ ტოპონიმს – **კვატალონი**, განმარტავს როგორც „საიხვოს“ (გ. ელიავა, 1989: 64), მაგრამ ეს განმარტება არასწორია: კვატალონი წისქვილისწყალსა და ტენურს შუა მდებარე სახნავია სათურქოში, სადაც უწინ ჭაობნარი ყოფილა. ა. მაყაშვილის

განმარტებით, მეგრ. **კვატალია** იგივეა, რაც ქართ. ბუსკანტურა (მცენ.); მამასადაძე, კვატალონი ის ადგილია, სადაც მრავლად ხარობს ეს მცენარე (პ. ცხადაია, VII, 2013: 199). შღრ.: კვატალონი ეწოდება აგრეთვე სახნავს პირველ ნოსირში, ჯიხირში (იქვე: 199).

გ. ელიავას მიერ ჩაწერილი ტოპონიმი **ჭითა კოდე** „წითელი კბოდე“, პ. ცხადაიას წიგნში წარმოდგენილია ოდნავ განსხვავებულ ვარიანტად: **ჭითა კოდმე** – წყლისპირა ბექი აბაშის მარჯვენა ნაპირას (იქვე: 409).

გ. ელიავა დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე ასახელებს ტოპონიმ **გაბუნხემ ნოხორიის** „გაბუნხის ასულის ნასახლარს“ (გ. ელიავა, 1989: 64), პ. ცხადაიას წიგნში კი გვხვდება ვარიანტი **გაბუნხემ ძუგუ** – მცირე შემადლება საოჩიგაოში, წყემის საზღვართან (იქვე: 151).

თუკი გ. ელიავას ნაშრომში ტოპონიმი **ლევანჭაე** – ლევან დადიანის კუთვნილი სანადირო ადგილი, დამოწმებულია „გეჯეთის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში, პ. ცხადაია ამ ტოპონიმს სახნავის სახელწოდებად ტეხურის მარცხენა ნაპირზე, სოფელ პირველ ნოსირში მიუთითებს (პ. ცხადაია, VII, 2013: 214). გ. ელიავა დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე ასახელებს ტოპონიმს – **ტები** (გ. ელიავა, 1989: 65), ხოლო პ. ცხადაია საძოვრის სახელწოდებად საჩემოს აღმოსავლეთით, სოფ. გეჯეთში მიუთითებს **ტებიძას** „ტევრისპირს“ (პ. ცხადაია, VII, 2013: 357).

გ. ელიავა ასახელებს დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე **კეკელაში ნოხორი**-ს „კეკელას ნასახლარს“ (გ. ელიავა, 1989: 65), ხოლო პ. ცხადაია სოფ. პირველ ნოსირში სახნავის სახელწოდებად მიუთითებს **კეკელაშ დიხას** (იქვე: 197).

გ. ელიავა ასახელებს ტოპონიმს – **ბოგორონი**: „ბოგვერა ბალახი ყოფილა აქ სულ“ (გ. ელიავა, 1989: 65). პ. ცხადაია აკონკრეტებს: **ბოგორონი/ჩე ოდიარე** სახნავია სათურქიოში. ბოგორი, ანუ ჩე ოდიარე იგივეა, რაც ქართული ურო (პ. ცხადაია, VII, 2013: 148).

გ. ელიავა **საგვენოს** განმარტავს, როგორც „გეგენავების ნასახლარს“ (გ. ელიავა, 1989: 313). მართლაც, ჯიხირსა და

გვეჯეთის ცენტრს შუა მდებარე ამ უბანში აზნაურ გვეგნავენს უცხოვრით (პ. ცხადაია, VII, 2013: 313).

გ. ელიავას მიერ დასახელებულ ტოპონიმ **ნარისუს** არც განმარტება ახლავს და არც ლოკალიზაცია (გ. ელიავა, 1989: 65). პ. ცხადაიას ინფორმაცია კი შემდეგი სახისაა: **ნარისუ** „ნარუსალი“ – მინდორი ჯიხირში, ტეხურის მარცხენა ნაპირას. რესპოდენტის განმარტებით, „რუსიმ ჯარი გებარგუდუა, თურქეფი გინურა?უდეს?ნ? თინწკ?მა“. პ. ცხადაიას ცნობით, ამ სახელს ატარებს ადგილები პირველ ნოსირში, ბათარიაში, სახარბედიოსა და სხვაგან (პ. ცხადაია, VII, 2013: 254).

გ. ელიავა ტოპონიმ **ნაფაცხუსთან** დაკავშირებით მხოლოდ განმარტებით შემოიფარგლება (გ. ელიავა, 1989: 65), ხოლო პ. ცხადაიას ინფორმაცია სრულყოფილია: ნაფაცხუ//საცხოდო ეწოდება მინდორს სოფლის ცენტრში, სადაც სასოფლო საბჭოს შენობა იდგა. აქ იკრიბებოდნენ სოფლის საქმეზე სამსჯელოდ. ასეთ შეკრებას ცხოდი რუს. сход „ყრილობა“ ეწოდებოდა (პ. ცხადაია, VII, 2013: 259).

გ. ელიავას მიერ ჩაწერილ ტოპონიმს – **ჭყონჯინჯი** „მუხის-ძირი“, ახლავს ინფორმანტ ს. თურქიას განმარტება: „აქ ჭყონე-ბი, მუხები რომ იდგა, მეც მახსოვს“ (გ. ელიავა, 1989: 65). პ. ცხადაია ასახელებს ვარიანტს: **ჭყოიჯინჯი//ჭყონიშჯინჯი**, და მიუთითებს, რომ ასე ეწოდება მორევს ტეხურზე (პ. ცხადაია, VII, 2013: 412).

გ. ელიავა დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე ასახელებს ტოპონიმს – **კუკანაში ნოხორი** „კუკანას ნასახლარი“ (იქვე: 67). პ. ცხადაიას წიგნში დასახელებულია **კუკუნიაში ნოხორი** – მინდორი ჭინატეხირთან. მაგრამ იქვე შენიშნავს, რომ კუკანია გვარსახელია (იქვე: 206).

„ეკის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში გ. ელიავა ასახელებს ტოპონიმ **ნათურქუს** და შემდეგ განმარტებას გვთავაზობს: „წინათ აქ ქართა ჰქონია მოწყობილი მწყემსს. აქ შემდეგ სოფლის საერთო ქართა იყო, სადაც სოფლის საქონელს ღამე ამწყვედედნენ, მხოლოდ „უხაფუს“, მოუგებელს, უშობლებს და ხარებს“ (იქვე: 79). პ. ცხადაია მიუთითებს, რომ **ნაქარ-**

თუ ჩაის ფართობის სახელწოდებაა საგუგუნავოს საზღვართან. ობიექტი საზიაროა ეკთან, საგუგუნავოსთან და საცხვიტაოსთან. რესპოდენტის განმარტებით, გუგუნავებს აქ საქონლის დასამწყვედვად შემოდობილი ადგილი – ქართა ჰქონიათ (პ. ცხადია, VII, 2013: 259).

დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე დასახელებული ტოპონიმი **როკონა** გ. ელიავას მიერ განმარტებულია, როგორც „როკნარი“ (გ. ელიავა, 1989: 79). პ. ცხადიას ცნობით, ასე ეწოდება ტყეის ჩხარის ნაპირას, სატყეოს ზონაში, სოფელ საწულეისკირიოში; ამასთანავე, როკონა ჩაის ფართობია დღურუს მარცხენა მხარეს, სოფ. ეკის საზღვართან, საგუგუნავოში. ხეების მოჭრის შემდეგ დარჩენილ კუნძებს როკებს ეძახიან (იქვე: 303).

გ. ელიავა **ელაგირძეს** განმარტავს, როგორც „ჩაგრძელებულს“ (გ. ელიავა, 1989: 79). პ. ცხადია ასახელებს „ელაგირძეს“ – ჩაის ფართობს ოტურედალის მარცხენა ნაპირას. ლოკალიზაციას მოსდევს რესპოდენტის ცნობა: „ელაგირძა, ელაგირძე რაიმეს გვერდით გრძლად მდებარე ადგილია“ (პ. ცხადია, VII, 2013: 176). იქვე მკვლევარი განმარტავს: „ელაგირ(ძ)ე ის ადგილია, რომელიც გრძლად დევს მდინარის ან გზის გაყოლებით, ან კლდის ძირას“ (იქვე).

გ. ელიავას წიგნში დაზუსტებული ლოკალიზაციისა და განმარტების გარეშე მითითებულია ტოპონიმი **ციცქონა** (გ. ელიავა, 1989: 79). პ. ცხადია კი საკუჭასა და სოფ. საგუნოს შუა, სოფ. ეკში მდებარე სახნავის სახელწოდებად ასახელებს ვარიანტს: **ცქიცქონა**, და შენიშნავს, რომ „ცქიცქა ვაზის ჯიშია“ (პ. ცხადია, VII, 2013: 395).

გ. ელიავას წიგნში დაზუსტებული ლოკალიზაციისა და განმარტების გარეშეა დამოწმებული აგრეთვე „ღაბურზალა“ (გ. ელიავა, 1989: 79). პ. ცხადია ასახელებს ტოპონიმის პარალელურ ფორმებს: **ღაბურზალა//ღაბურძალა** – ღელე, ხევი, დღურუს მარცხენა შენაკადი ჯიხასთან. მოცემულია განმარტებაც: **ღაბურძალა** ← ღაბურძალა „ღელებოძალი, ორტოტა ღელე“ (იქვე: 378).

სახელწოდება **ოწარწადაფუ** გ. ელიავას სალექსიკონო მასალებში განმარტებულია, როგორც „საწანწალო“. გადმოცემით, აქ ყაჩაღი გუგუნავა მოუკლავთ (გ. ელიავა, 1989: 80). პ. ცხადაია განმარტავს: **ოწარწაღეში** – ბორცვი კადარში, სადაც თითქმის ყოველთვის ქარი ქრის. რესპ. „ქარი იწარწალ? დო ოწარწაღეში ჯოხო“ (პ. ცხადაია, VII, 2013: 290).

გ. ელიავა ასახელებს ტოპონიმს – **ღვადური**, და მიუთითებს, რომ ეს ადგილი ღვაბერიების ნამოსახლარია (გ. ელიავა, 1989: 68). სინამდვილეში სახნავს უჩაღლეხა და სუღირს შუა **ღვა-ღური/ღვალური** ჰქვია (პ. ცხადაია, VII, 2013: 379).

გეოგრაფიულ სახელწოდებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართველურ ანთროპონიმთა ისტორიის კვლევისას. შენაკის რაიონის ტოპონიმიშიც ასახვა ჰპოვა ზოგიერთმა ისეთმა პირსახელმა, რომელიც დღეს აღარ გამოიყენება. ამ ეტაპზე ჩვენი მიზანია, რომ სარეცენზიო წიგნიდან დავიმოწმოთ ანთროპონიმთაგან ნაწარმოები ტოპონიმები. ირკვევა, რომ ტოპონიმებში წარმოდგენილ ანთროპონიმებში ზოგიერთი, მამაკაცის, ან ქალის საკუთარი სახელია, გვარია ან მეტსახელია. მაგალიათად, **სტელიომ ჭაღე**, **ტაიამ კურკუცი**, **ტატილომ წყურგულე**, **ტინომ ნოხორი**, **ტუმუიამ ნოხორი**, **ტურუიამ ნოხორი**, **ტურუმ ფერდი**, **უთუთიამ წყარი**, **უტამ წყარი**, **ურუმ ნადიხუ**, **უჯომ ნოხორი**, **ფაშუტამ ნოხორი**, **ფახუიამ ნოხორი**, **ფესნოხორი** (ფესი ქალს რქმევია), **ფუხურიანოხორი**, **ქურიამ ნაჭოფა**, **ქირსეიამ ნოხორი**, **ქოძიამ ნოხორი**, **ქოძირიამ გინნაღეფი**, **ქუთარიმ ფონი**, **ქუთლამ წყურგიღე**, **ქუთულამ ოის?რე**, **ქურუამ ნაფარუ**, **ქურუიამ ნარტყი**, **ქურუმ ნაისირუ**, **შალუმ ნოხორი**, **შარვანიმ ნოხორი**, **შაშუმ ნაკარუ**, **შაქამ ნოხორი**, **შოშიამ წყურგილი**, **შუტუმ ნოხორი**, **ჩაქამ ნოხორი**, **ცაბუამ ნოხორი**, **ცარუმ ტყა**, **ცატუნიაშ ტყა**, **ცაქულიამ ნოხორი**, **ცენტიმ ნაკარუ/სენტიმ ნაკარუ**, **დაბუმ ტობა**, **დაკაიამ ნოხორი**, **დაკამ ნაწისქვილ?**, **დაკუმ ნოხორი**, **ძეკემ ტობა**, **ძვირამ ნაფაცხ?**, **ბურგამ ნო?ონი**, **ბღვიკნოხორი**, **ბღვირიმ ნოხორი**, **წინწიამ ნო?ონი**, **წიწამ ნოხორი**, **ჭახამ ნოხორი**, **ჭყონტომ ნოხორი**, **ხამნოხორი**, **ხართამ ნოხორი**, **ხასანიმ წყუ**, **ხახუტაშკარი**, **ხიჭუამ ნოხორი**, **ხოზკამ ნოხორი**, **ხუტუიავე(ლი)**,

ჯათუნიაშ ნოხორი, ჯაკოიაშ ნაკარუ, ჯაკუმ წყურგილე, ჯამლე-
თიმ ნოხორი, ჯანაშ ნაკარ?, ჯანტუმ ჯარგვალი, ჯარუბეგი,
ჯასაშ ნოხორი, ჯოლორია(შ)მამული, ჯუბუმ ნოხორი, ჯღუჯღუმ
მენჯი და სხვ. მრ.

გვართა დასახლებანი სენაკის რაიონის ადმინისტრაციულ ერ-
თეულებში წარმოდგენილია შემდეგი სახით: ლეარზიანე//საარ-
ზიანო, ლებარკალაიე, ლებარძემსქუე, ლებალათურე, ლებებიე,
ლებერიბე, ლებოკურე, ლებუსკაძე, ლევაბელიე, ლევაბუნე, ლე-
ვაგუე, ლევიგოლიე//საგრიგოლიო, ლეგოგიე, ლეგოგიე-ნასაჯუ,
ლეგოგინე, ლეგოგულიე, ლედადიანე, ლედემურიე, ლეზარქუე,
ლეკარტოზიე, ლეკაციე, ლეკირცხალიე, ლეკოკაიე, ლეკორშიე,
ლეკორძახიე, ლეკუჭე, ლეძალანიე, ლემამულიე, ლემორცხულიე,
ლენარსიე, ლენიკოლე, ლეპიტახიე, ლესამთასქუე, ლესანაიე, ლე-
საჯაიე, ლესიგუე//სასიგუო, ლეტორჩინე, ლეტყებზე, ლეფაციე,
ლექაბურზანიე, ლექადარე, ლექურ(უ)ლორიე//საქურ(უ)ლორიო,
ლელვინჯილე, ლე?ურასქუე//საყურაშვილო, ლე?ურე, ლეშამათე,
ლესეროზიე//საშეროზიო, ლეცკევე, ლეძაძაძე, ლეწითინბე, ლეჭე,
ლეჭოჭუე, ლესაბურზან(ი)ე, ლესარ(ე)ბე, ლესარჩილე, ლესვი-
ჩიე, ლესორე, ლესუბუე, ლესუნწარიე, ლესურციე//სახურციო,
ლესუნხუნე, ლეჯოჯუე//საჯოჯუო, სააბურჯანიო, სააბშილა//სააფ-
შილა, საადამიო, საადანაიო, საალანიო, საალასანიო, საანთიო,
საარახამიო, საარჩაიო, სააფშილა, საბაბილუო, საბაკურაძო, სა-
ბარკალაიო, საბარქაიო, საბარძემ(ი)სქუო, საბაქრაძო, საბებიო,
საბედიო, საბელქანიო, საბერაიო, საბერიო, საბესელიო, საბოხუო,
საბოჯგუო, საბჟალა, საბუკიო, საბულიო, სავაბელიო, სავაბესკი-
რიო, სავაბერა, სავაბურიო, სავაგუო, სავადელიო, საგამსახურდიო,
საგანგაო, საგარჩა//მაჟია ტყირი, საგასვიანო, საგახოკიო, საგეგე-
ნა, საგეგენო, საგელანტიო, საგვათუო, საგვარამიო, საგვასალიო,
საგვაძაბიო, საგვიჩიო, საგიგებერიო, საგირგოლიო, საგოგბასქუო,
საგოგენიო, საგოგინო, საგოგნასკუო, საგოგოლო, საგოლობიანო,
საგუგუნავო, საგუდაო, საგულუო, საგუნიო, სადადიანო, სადა-
ვითაიო, სადამენიო, სადულუჩაო, საელიო//საფაღავა, საესებუო,
საეჯიბიო, საზარანდიო, საზარელუო, სათარსქუო, სათეეზაიო,

სათულადო, სათურქო, საკალანდარიშვილო//საკალანდარისკუო, საკანკაო, საკეკუო, საკემლარიო, საკვაშილა, საკვირკველიო, საკიზირიო, საკილასონიო, საკინწურასქუო//საკინწურაშვილო, საკირტა, საკირცხალიო და სხვ. მრ.

გვართავან ნაწარმოებ ტოპონიმებში ზოგიერთი გვარის ადგილობრივი ვარიანტია წარმოდგენილი. ვიმოწმებთ მაგალითებს სარეცენზიო წიგნიდან: **წილოსკირიშ ნოხორობა** – სახნავი ლენარსიეში (სოფ. კვაუთი). წილოსკირი იგივე წულეისკირია. **ესამთასქუე** უბანია სოფ. მეორე მოხაშის საზღვართან, არჩაიაშ დალსა და მირგატიაშ დალს შუა. აქ მცხოვრები საბახტარაშვილების გვარის არაოფიციალური ადგილობრივი ვარიანტია **სამთასქუა**. **საგოგბასქუო და საგოგნასკუო** გოგებაშვილებისა და გოგინაშვილების გვართა დასახლებებია, პირველი – სოფ. პირველ ნოსირსა და მეორე – სოფ. უფალკარში. **სათარსქუო** უბანია ეკუსქურის ორივე ნაპირას, სოფ. უფალკარში, სადაც თათარაშვილები ცხოვრობენ. **თარსქუა, თათარსქუა** ამ გვარის ადგილობრივი ვარიანტია, საიდანაც გვართა დასახლების აღმნიშვნელ სახელად ჰაპლოლოგიის გზით მივიღეთ სათათარსქუო → სათარსქუო. **საკუბესქუო** ეწოდება უბანს ტენურსა და საბარკალაიოს შუა, სოფ. პირველ ნოსირში. **კუბესქუა** წარმოადგენს ადგ. ვარიანტს გვარ კუბრეიშვილისას. **სანგიაშ ნოხორო** ბორცვის სახელწოდებაა გურძემიის მარჯვენა მხარეს, სოფ. ბეთლემში. ამოსავალია სანგია ← სანიგია ← სანიკიძე.

რელიგიური, საკულტო წარმომავლობის ტოპონიმებია: **ჯვარცმამ ოხვამე//საჯვარო ოხვამე, ნათისცემი//ნაცმერი//ივანე ნაცმერი, ნათიცემელი, წმინდა ცხენ(დ)ა//ჭუფიშ ოხვამე//ცხენიშ ოხვამე//ცხენიში, წმინდა გიორგიშ ოხვამე, გოჭვილოხვამე, წმინდა ივლიტემ ოხვამე, წმინდა კვირკემ ოხვამე//წმინდა ივლიტამ ოხვამე, წმინდა სტეფანე, წმინდა ანდრიაშ ოხვამე, წმინდა ბარბალა//ისულამ ოხვამე//ცხენიში, წმინდა გიორგი, წმინდა ბარბალე, წმინდა გიორგი, წინაგიორგიშ ოხვამე, წინამძღვარი, წინატენირი//ჭინატენირი, ჩეოხვამე, მანცხვარკარი, მანცხვაროხვამე//ჩართიაშ ოხვამე, ქირსემ ოხვამე//ქრისტემ ოხვამე, ქირსემობამ ოხვამე, უფალკარი, უფალოხვამე...**

ისტორიული საერო ნაგებობების – ციხესიმაგრეთა სახელწოდებებია: **ჯინა//ფაჩოსქუალეფიშ ჯინა//რამიშ ჯინა** – ნაციხარი საფაჩოსკუოს ფერდობზე, უბაღო მიკოლის გვერდით, ნოქალაქევის საზღვართან, სოფ. კოტიანეთში; **ჯინახუტა** – ციხესიმაგრე ცივის მარჯვენა მხარეს, სოფ. ხორში; **საკალანდარსკოშ ჯინა** – გაღავნით შემოზღულული ციხე-კოშკი სენაკში...

რუსული ლექსიკა ფიგურირებს სენაკის რაიონის შემდეგ ტოპონიმებში: **ტრასა, ტრუბაშ ბოგა, ტუნელიშ წყარი, სა(ო)ბშო, ნსაჯენუ, ნაფორტუ//ნაფოშტუ, ნაფოშტარი, ნაკაზარმუ, ნასხოღუ, ნაბალოტ?//ნაპალოტ?...**

წიგნში მოცემულია მრავალი ტოპონიმის ეტიმოლოგიური ანალიზი, მაგრამ გაუმჭვირვალე, ბუნდოვანი სახელებიც ბევრია, რომელთა მოტივაციური კვლევაც მომავლის საქმეა. საილუსტრაციოდ დავასახელებთ რამდენიმე ასეთ ტოპონიმს: **თუჭმარა, მახამკარამი, მიჯანა, ნოსიტინი, ნოსტანი, პეტრახანი, ჭიჭამურე, ძუგუდია, ცამთანა, ჩხვართილი, ჩუგორდი, ჩიჩინონი, შხეფი, ქილანდარი//ქილამდარი, ქებელი, ქუ(ლ)იცი, ნახური, ნატურული, ნაკურხური** და სხვ. მრ.

მეტაფორული ტოპონიმის ნიმუშად შეიძლება დასახელდეს **ცხენიშ გორგალი//სურკი**. ასე ეწოდება სერს სოფ. უფალკარში, ფარიშ გოლასა და საჩიჩოს შუა. გორგალი მეგრულში აღნიშნავს ქედს.

ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული **-იშ, -ში** კომპონენტის გაქრობის ფონეტიკური მოვლენა ასახულია შემდეგ ტოპონიმებში: **ბახუნაშენი, ბა(რ)ბაღეკარი, ბარბაღეჭალე, ბუღბოგა, ბულღალ?, ბულწყარი, გაბიორზენი, გაგიაწყკარამი, გახუნოხორი, გეგიაბურერი, გებენაჩქონი, გერგებღალ?, გვიარზენი, გიგოიაკარი, გიონოხორი, თხოშბოგა, იუტობა, კაჟოტახუე...**

თითოეული ტოპონიმი, დიდი თუ მცირე ობიექტის სახელწოდება, პაატა ცხადაიას თქმით, წარსულის მატანეა. ტოპონიმი ინახავს არა მხოლოდ ლექსიკონებში ჯერ კიდევ დაუფიქსირებელ ენობრივ ერთეულებს, არამედ თვითონვე მოგვითხრობს ახლო თუ შორეულ წარსულზე, წარმართულ თუ ქრისტიანულ

წეს-ჩვეულებებზე; გვაწვდის საინტერესო ინფორმაციას ეთნოგრაფიულ-სამეურნეო ყოფაზე. „დედამიწა ტოპონიმების ერთ გვესაუბრება და ჩვენ მზად უნდა ვიყოთ, გავიგოთ მისი ნათქვამი, გავითავისოთ მისი ინფორმაცია“ (პ. ცხადაია).

ამ აზრით, რწმენითა და შემართებით მოღვაწე მსცით შემოსილი მეცნიერი თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც ვაჟა-ფშაველას მინდიასავით გულდასმით აყურადებს და სწავლობს „დედამიწის ენას“, ითავისებს, გულისგულში ხარშავს და გამოატარებს მეტყველი მიწა-წყლის ინფორმაციას. თითქმის ოთხი ათეული წელი დასტრიალებდა თავს მკვლევარი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის არქივში დაცულ მეტად ფასეულ ტოპონიმიკურ ბარათებს და მათი ყოველმხრივი შეფასებისა და შევსების შემდეგ მკითხველთა სამსჯავროზე გამოტანა განიზრახა.

მსჯავრი ასეთია: ზოგადად კოლხეთის ონომასტიკისა, და კონკრეტულად, ტოპონიმის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველს თუ მკვლევარს ხელთა აქვს მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი ინფორმაციის შემცველი სალექსიკონო მასალა სენაკის რაიონის ტოპონიმიაზე, რაც მაღლიერებისა და პატივისცემის გრძნობით განგვაწყობს ბატონ პაატა ცხადაიას ჭეშმარიტად საკვირველი ნამუშავევის მიმართ.

მასალები კოლხეთის ტოპონიმთა ლექსიკონისათვის

(რეცენზია პატა ცხადაიას წიგნზე – „ლენხუმის გეოგრაფიული სახელწოდებანი, I, ლაჯანურის ხეობა“; თბ., 2014)

ლენხუმის რეგიონის ტოპონიმების საკითხებით დაინტერესებულ ქართველ მკვლევართა შორის შეიძლება დავასახელოთ მ. ალავიძე, გ. გასვიანი, ქ. მუშკუდიანი, ლ. ფრუიძე, ალ. ლლონტი, მ. ჩიქოვანი, ზ. ჭუმბურიძე და სხვანი. მათი ავტორობით სხვადასხვა წლებში გამოქვეყნებულ ცალკეულ გამოკვლევებს 2014 წელს შეემატა თსუ ქართული ენის ინსტიტუტთან არსებული ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ პატა ცხადაიას წიგნი – „**ლენხუმის გეოგრაფიული სახელწოდებანი, I, ლაჯანურის ხეობა**“.

მასში წარმოდგენილია ლაჯანურის ხეობის ოთხი ადმინისტრაციული ერთეულის – ორბელის, სპათაგორის, უსახელოსა და ლაილაშის, აგრეთვე სოფ. ორბელისა და ლაჯანის განაპირა დასახლებიდან ჩრდილოეთით ლენხუმის ქედამდე (ლაჯანურის ზემოთისა და ცხენისწყლის წყალგამყოფამდე) მდებარე ტყიანი ხეობის ტოპონიმები, ჩაწერილი ავტორის მიერ, 2010 წლის აგვისტოში. ლენხუმურ დიალექტში (და მეგრულ ენაშიც) ლეხერა, როგორც ნომენი (საზოგადო სპეციალური ლექსემა), წყლიან-ტყიანი ხეობის აღმნიშვნელია. ალ. ქობალია „მეგრულ ლექსიკონში“ ლეხერას განმარტავს, როგორც ხევს, ტყიანს, ხეობის კლდოვან ნაწილს. პ. ჭარაიას განმარტებით კი ლეხერა მთებს შუა მდინარის გაყოლებაზე მდებარე ადგილებია, ხეობაა. პ. ცხადაიას ლეხერა ლენხუმში ტოპონიმდაც დაუდასტურებია და, როგორც აღნიშნავს, ეს სახელი „მიემართება კურორტ ლაშიჭალასაც და ლაჯანურის ხეობასაც ლაშიჭალიდან სათავემდე“,

ხოლო ლეხერულა რქმევია ღელეს, დიდი ლოკარეს შენაკადს (პ. ცხადაია, I, 2014, გვ. 9-22). ყოველივე ამან უბიძგა პ. ცხადაიას, სარეცენზიო ლექსიკონში ლეხერა გამოყენებინა ლაჯანა-კურცობის განაპირა დასახლებიდან მოყოლებული, ლაჯანურის ხეობაში მდებარე სახელდებული ობიექტების სალოკალიზაციო ერთეულად (იქვე, გვ. 22).

თვით ლაჯანური მდ. რიონის მარჯვენა შენაკადია. სათავეს იღებს ლეჩხუმის ქედის სამხრეთ კალთაზე, 2710 მ სიმაღლეზე. სიგრძე 32 კმ-ია, ხოლო აუზის ფართობი 296 კმ²-ს შეადგენს. მდინარის ქვემო დინების ვიწრო ხეობაში, სოფ. სურმუშთან, შექმნილია ოვალური ფორმის 3, 2 კმ სიგრძისა და 0,5-1 კმ სიგანის მაღალი თაღოვანი კაშხალი. წყალსაცავის უდიდესი სიღმე 70 მ, ხოლო საშუალო სიღრმე 30 მ-ია. ფართობი 1, 6 კმ²-ს შეადგენს. სწორედ ამ წყალსაცავით ხდება ლაჯანურჰესის წყლით უზრუნველყოფა (იხ. ქსე, ტ. VI, 1983, გვ. 151).

წიგნის წინასიტყვაობაში მკვლევარი მოკლედ მიმოიხილავს ლეჩხუმის საისტორიო გეოგრაფიას, სახელწოდება „ლეჩხუმის“ გარშემო სპეციალისტების მიერ გამოთქმულ თვალსაზრისს (ი. ყიფშიძე, გ. ძელიქიშვილი, მ. ალაგოძე, მ. ქაღანი, გ. გასვიანი...); ამასთანავე, შენიშნავს, რომ ტოპონიმური და ლექსიკური მასალების გათვალისწინებით ლეჩხუმურ კილოში სამი ფენა გამოიყოფა: სვანური, იმერული და შედარებით გვიანდელი – ზანური. პ. ცხადაიას აზრით, ამ საკითხთან დაკავშირებით ქართველ მკვლევართა დასკვნების დაზუსტება შესაძლებელია მხოლოდ ლეჩხუმის ტოპონიმის სრული აღწერისა და სვანური და მეგრული ენების სპეციალისტთა მიერ ტოპონიმური მასალის გამოწვლილვით შესწავლის შემდეგ (იქვე, გვ. 6).

სარეცენზიო წიგნში ადმინისტრაციული ერთეულების ტოპონიმები დალაგებულია ამ ერთეულებში შემავალი ცალკეული სოფლების მიხედვით. ლაჯანურის ხეობის ზემოთის – ლეხერის ტოპონიმიაც ამ პრინციპით, საერთო ანბანის რიგზეა წიგნში წარმოდგენილი. ინტერესს იწვევს ნაშრომის ის ნაწილი, სადაც ტოპონიმთა ანბანურ ნუსხას წინ უძღვის ცალკეული დასახლებული პუნქტების შესახებ მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის

შესავალი. ამას მოსდევს ტოპონიმური მასალის ჩაწერის თარიღი და რესპოდენტთა სია, მათივე ასაკის ჩვენებით.

3. ცხადაიას მიერ საველე ექსპედიციების გზით მოპოვებულ ტოპონიმურ მასალასთან ერთად სარეცენზიო წიგნში წარმოდგენილია სახელდებული ობიექტის მიკროლოკალიზაცია, მოტივაცია, ამოსავალი ფუძის ეტიმოლოგია და ისტორიული წყაროების მონაცემები (სადაც ეს შესაძლებელი იყო). უადრესად საგულისხმოა 3. ცხადაიას მსჯელობა ლაჯანურის ხეობის ოიკონიმთა ისტორია-ეტიმოლოგიის საკითხებზეც.

ლაჯანურის ხეობაში მოპოვებული ტოპონიმური მასალა იმდენად საინტერესო და მრავალფეროვანი ინფორმაციის შემცველია, რომ სარეცენზიო წერილის განსაზღვრული მოცულობის გამო ჩვენთვის საყურადღებო ყველა საკითხზე მსჯელობა, რასაკვირველია, გაგვიჭირდება. ამჯერად ზოგიერთ არსებითი ხასიათის საკითხზე შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას.

სალექსიკონო მასალის გულდასმითი ანალიზიდან ირკვევა, რომ ლაჯანურის ხეობის ტოპონიმიაში ინდიკატორად გამოყენებულია შემდეგი საზოგადო სახელები: **უბანი, კუთხე, ყანა (ყანები, ნაყანები), სათიბი (ნასათიბარი), გზა, ჩიხი, შუკა, ვაკე, მინდორი, ჭალა, ახო (ახუები), წყალი, წყარო, დღე, ტბა, ხეობა, ხევი, მთა, გორა, ტყე, ტევრი, ზურგი, ვენახი, სასაფლაო, სალოცავი, ეკლესია, ციხე, კოდი, ხიდი, ეზო, ნამოსახლი, შურო, მამული, ხრამი, ცაცხვი, ბუღე (შღრ. ტოპონიმი „ყანჩის ბუღე“), ფერდი, კლდე (კტე) და ა. შ.**

დასტურდება საკუთარი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმაზე -ს-ს დართვის შემთხვევები. აქვე დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს: **გიოსანის ჭალა** – ჭალა ლაჯანურის მარჯვენა ნაპირას (გვ. 13); **თომასანიკანი/თომა სანიკიდის ყანა** – საძოვარი რცხილაშის მთაზე; **აღდგომელასანი** – მიკროუბანი ქოლბანში. გვარად ბურჯალიანის შთამომავლები არიან აღდგომელასანი, რომელთა დასახლებაც მდებარეობს სოფ. ქვედა ორბელის ერთ უბანში (გვ. 40); **ლეკვიისანი** – ასევე ბურჯალიანთა შტოგვარის დასახლებაა ლაჯანურის მარჯვენა მხარეს, ქვედა ორბელში. ჯგუფური მეტსახელი მომდინარეობს პირსახელ ლეკვიესაგან.

სადოვარს **ლეკვისანში ლეკვისანის ნამოსახლი** ჰქვია (გვ. 44); **დავითისანი** – ბურჯალიანთა შტოგვარის უბანი ქვედა ორბელში (გვ. 40); **გიოსანები/გიოსანი კუთხე** – მიკროუბანი სოფ. ხოჯში, ფოჩიანსა და ლეშკელას შუა. გიოსანები არიან გვარად გოლეთიანები (გვ. 131);

გვართა დასახლებანი ლაჯანურის ხეობის ადმინისტრაციულ ერთეულებში წარმოდგენილია შემდეგი სახით: სასარაშვილები, გაბისიანების კუთხე, ბახსოლიანების კუთხე, დავითულიანების უბანი, მახარობლიძეები//მახარობლიძეების უბანი, ლაკვეხელიანები//ლაკვეხელიანების უბანი, ლეშკაშვილები//ლეშკაშვილების უბანი (2), მეგრელების უბანი, ყვირილიანების უბანი, აბაშიძეები//აბაშიძის კუთხე, სილაგაძეების კუთხე (2), ქლიბაძეების კუთხე//ქლიბაძეების უბანი, გიორგობიანები//გიორგობიანების უბანი (2), ახვლედიანების კუთხე, ასათიანების კუთხე//ასათიანების უბანი, გოლეთიანები//გოლეთიანების უბანი, გოლეთიანები(ს)კუთხე, გუგავები//გუგავების უბანი, გურულების უბანი, თვარაძეების კუთხე (2), თოთაძეები, მუკბანიანების უბანი, სიმსივეების უბანი, შეკიშვილები//შეკიშვილების ჩიხი, ხეცურიანების უბანი, ურთმელიძეების კუთხე, ფოჩიანების კუთხე, ასათიანები//ასათიანების კუთხე, გოლოძეების კუთხე, გოქაძეების კუთხე, ელიანოვის უბანი, ერბელიძეების კუთხე, სვანიძეები//სვანიძეების უბანი//სვანიძეების კუთხე, ჩაჩხიანების კუთხე//ჩაჩხიანების უბანი, ჩხეტიანების კუთხე, ანტონიშვილები, აქიმიშვილები, ახვლედიანები, ბაკურაძეები, ბასილაშვილები, გოქაძეები, თედორაშვილები, კობერიძეები, ობოლაშვილები, ობოლაძეები, ფინთიხაშვილების უბანი, ფრუიძეები//ფრუიძეების უბანი, ქარცელაძეების უბანი//ქარსელაძეების უბანი, ყურაშვილები, ჩარკვიანები//ჩარკვიანების უბანი, ჩიკვაიძეები, ჭარბაძეები, ჭელიძეები, გოდერიძეების უბანი, მიქაძეების კუთხე, ჩორგოლიანები//ჩორგოლიანების უბანი...

სა-ო ინფიქსით გვართა დასახლების რამდენიმე შემთხვევა ფიქსირდება. ამათგან ერთს მოეპოვება პარალელური ფორმატ. საილუსტრაციო მასალა: საგაბისიანო, სადავითულიანო, სალარცულიანო//ლარცულიანები.

სარეცენზიო წიგნში თავმოყრილი მასალის გაცნობამ დაგვანახა, რომ ლაჯანურის ხეობის ტოპონიმთა საწარმოებლად გამოყენებულია -ან, -არ, -ოურ, -ურ, -აურ, -ელა, -ილა, -ოულ, -სოულ, -ულა, -ერ, -ეთ სუფიქსები, სა- პრეფიქსი, ნა- -არ, ნა- -ებ, ნა- -ალ, ნა- -ევ, ნა- -ევ ინფიქსები.

საილუსტრაციო მასალა: ყვანგიანი, ბილვანი; თხმელარი/(რ)თხმელარი, მუჩნარი, იფნარა, გოტოულა/გოტოური, ლაჯანურა, ტიბიშური, კოკონოურა/კოკონაურა, ხუხნოურა, გუნური, ჭაპიანოური, ნაღმოური, მუქ(ვ)აული/მუქ(ვ)აური, ქვაყუნტელა, შეღობილა, გუჯიბოული//გუჯიგოული//გუჯიბოური, თურქოული, მუხანოულა, ვენიასოული, კორკოსოული, მოხოული, ბაბისოული, ლეხერულა, რობიანოული, ახვლედიანისოული, ჯიმაკოულა, შავბინულა, გუგუმიერი/გუგუნიერი, კიცხუნ(დ)ერი, მეხენდერი, საკახიერი, სუნანიერი, ჩოხაშიერი, ბადერი,წილაძიერი, უღუერი; ზაგალეთი, დარბალეთი, ნაკულეთი; საბზიანო, სათევზია, საკავე, საკანაფე დელე, სამოდე, სანადირო გზა, საორბელო, საუცხერო, საყორნია, საცილო,შუანა სახარო, სამაღრიანო, საპარასკეპო, სამაყრიანო, სასამო, გოგულის სახტომელა, სალემკედო, საყიფიანო; ნაბოსლევი, ნაკარვალი, ნალობიები, ნასამჭედლოები, ნასამჭედურები, ნაჯიხურები, ნაბუბურები...

პ. ცხადაიას სალექსიკონო მასალაში წავაწყდით შერ-, შულ-კომპონენტის შემცველ რამდენიმე მიკროტოპონიმსაც. ესენია: გველიშერი//ქვენიშერი, გოგიშული, ებოშერი, კინიშერი,ხარაშელა//ხარაშელი, გალაშერი//ლაგუბა, ყურმუშელი... ისტორიკოს თ. მიბჩუანის აზრით, შერა სვანურში საკუთრების ფორმის გამომხატველია (შდრ. ლეუშერი, ცხუკუშერი). მკვლევარი იმოწმებს სათანადო მაგალითებსაც: ბაპშერა (მიბჩუანთა ერთი შტოგვარი) – „ბაბიანთი, მღვდლის ოჯახი“, გაგიშერა (საკუთარი სახელისგან – გაგი), ავლათშერა (ნავერიანების ერთი შტოგვარი) – საკუთარი სახელიდან – ავლათ, და ა. შ. ამგვარად, თ. მიბჩუანის აზრით, ბაბუშერა სვანურად იგივეა, რაც „ბაბუის სამფლობელო ადგილი“ (ბაბუ „ბაბუა“) (თ. მიბჩუანი, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან. თბ., 1989, გვ. 260). პ. ცხადაია შენიშნავს, რომ დასავლეთ

საქართველოში საიჯარო მიწა შეიძლება ყოფილიყო თანაბარ-საზიარო, სამესამედო, სამეოთხედო. თანაბარსაზიაროდ, სანახევრო წილით დასამუშავებელი საიჯარო მიწა საშუალოდ იწოდებოდა. ამ სამეურნეო-სამიწათმოქმედო ტერმინის ამოსავალი ფუძე **შელ-**შინაარსით ქართული **ზიარ-** ფუძის შესატყვისია, მასალობრივად კი იმერულ „სეულ“ მორფემოიდს შეიძლება უკავშირდებოდეს (პ. ცხადაია, ძიებანი კოლხეთის ტოპონიმიდან. I, თბ., 1999, გვ. 95). მაშასადამე, შელი ზიარია, წილია. ამასთანავე, **-შერ** ვისიმე ოჯახისადმი კუთვნილებითობის გამომხატველი სუფიქსია სვანურში (კ. დონდუა, სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი. თბ., 2001: 336). პ. ცხადაია იმოწმებს **-შელ** ფუძის შემცველ კომპოზიტურ ტოპონიმებს სამეგრელოში: გუტიაშელი, გუტუიაშელი, კოჩაშელი, პაპაშელი, შელიაშელი (პ. ცხადაია, I, 1999: 95-96). როგორც ჩანს, **-შელ** საერთო ქართული ფუძეა.

დასტურდება **-ობა** ნაწილაკით ნაწარმოები მიკროტოპონიმი მიღმართობა. ასე ეძახიან ვენახებს, სათიბებსა და ტყეებს ლალაშის ღელის მარჯვენა მხარეს, სოფ. ღუში. ეს სახელი ადგილისთვის დაურქმევიათ ამ ღელის მარცხენა მხარეს მცხოვრებთ (გვ. 199). პ. ცხადაიას აზრით, „სუფიქსი -ობა ფუნქციით უტოლდება -ევ-ს“ (პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VIII, 2013, გვ. 196). ა. ქობალია შენიშნავდა, რომ -ობა დღეობის აღმნიშვნელი ნაწილაკია. შდრ. გერგობა, ელიობა (ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010, გვ. 529). ო. ქაჯაია მიიჩნევს, რომ **-ობა**, **-ობუა** სუფიქსები აწარმოებს აბსტრაქტულ სახელებს არსებითი, ზედსართავი და კუთვნილებითი ნაცვალ-სახელებისაგან (ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი. თბ., II, 2002, გვ. 417).

ორმაგი სუფიქსაციის ნიმუშია ტოპონიმი **თელნარანი**←თელ-ნარ-იანი-ი – სამოვარი თარიგონის კალთაზე (გვ. 15).

ტოლადშერწყმული ტოპონიმებია: **ტყევაკე**, **ფართოყანა**, **გზაბოძალი**, **ღელეობძალი**, **ქვაყუდებული**, **ღობიროვაკე/ვაკე-ღობირო**.

ჰაპლოლოგის ნიმუშს წარმოადგენს ტოპონიმები: **ბესარტყელა** (←ბესას სარტყელა) – სამოვარი მთის კალთაზე, სოფ. წილა-

მიერში. (გვ. 86); **ზევაკე** (←ზედავაკე) საძოვარი ნატბოიურის აღმოსავლეთით, სოფ. თაბორში (გვ. 167)...

სოფ. ლეშქედაში, სახაზოს გვერდით მდებარე საძოვარს **კტე-ქვეში** ჰქვია, ხოლო საძოვარს კტექვეშის გვერდით კტიძირს ეძახიან. კტიძირი//კტიძირი დამოწმებულია სახნავის სახელწოდებად ზედა კუთხეში, ხოჯის საზღვართან, სპათაგორში. ამავე სოფელში მდ. ლაჯანურაზე მდებარე საბანაოს **კტისძირი** რქმევია. აქ დღეს ცხენისწყლის გვირაბი გამოდის. სპათაგორშივე კლდის სახელწოდებად ჩაწერილია ხიროულის კდე (გვ. 96, 97, 100). **კტითავი** ვენახის სახელია სოფ. უსახელოში, ლავალიაშის წვერის კალტაზე (იქვე, გვ. 124) და ა. შ. **კტე** იგივეა, რაც კლდე. პროფ. ბესარიონ ჯორბენაძე შენიშნავდა, რომ „ტოპონიმი შედარებით მდგრადია და ამიტომაც იგი ფასეული აღმოჩნდება ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისითაც. ტოპონიმების მიხედვით შესაძლებელი ხდება აღნუსხვა ფონეტიკური ცვლილების ყველა იმ საფეხურისა, რომელიც ამა თუ იმ ფორმას გაუვლია“. თქმულის საილუსტრაციოდ მკვლევარი იმოწმებს **კლდე//კტე//კილდე//კილდო** ფორმას და სხვ. (იხ. ბ. ჯორბენაძე, ონომასტიკური გულანი, თბ., 1993, გვ. 29).

ლაჯანურის ხეობის ტოპონიმიაში შინაარსობრივი კლასიფიკაციის თვალსაზრისით შესაძლებელია გამოიყოს რამდენიმე ჯგუფი. რელიეფის თავისებურებას გამოხატავს ტოპონიმები: **გალმაგვერდი, ზედა კუთხე, სივიწროვე** (კლდეში გაჭრილი ვიწრო ბილიკი ხოჯის საზღვარზე, სოფ. სპათაგორში), **გორმაღალი, მიფენება, მრგვალყანა, უნაგირა, ყანაგძელა, განიგზა, გვერდი, ტაბაკა, ფართო ყანა, ღრადოყანა** (ღრადო ჩაღრმავებული ადგილია)...

პატრონიმულიტოპონიმები/ანთროპოტოპონიმები:ბიჭოური, გელოვანისეული, ვანოს ყანა, მოსეს ყანები, სანთელაძის ყანა, ჩანგოური, ჩაჩხანაური, ხეცურიანიყანა, საქორაო//ქორების გორა (ბაკურაძეების შტოგვარია ქორები), **გელვანისოული, კოსტას წყარო, მიქაძის ნაზიარები, ნიკოს ნაკარეში, შალვანაყანები, სვანობიძონაცვალი, ანეტას გადასახვევი, ერქედები** (თედორაძეების შტოგვარია; ბუბულაში//ერქედები ეწოდება ვენახს თედორაძეების უბნის ქვემოთ, ორშუალელის მარჯვენა მხარეს, სოფ. სურმუშ-

ში), **ტაზიაშვილების კუთხე//ტაზიაშვილები** (უბანი ლაჯანურის მარჯვენა მხარეს, ლაცორიაში, სპათაგორის საზრდვარზე. ტაზიაშვილები ახვლედიანების შტოგვარია), **ერბელიძის მარნები, ლუბას მიფენება//ლუბას ნავენახები.**

ფლორის ამსახველი ტოპონიმებია: **ვაშნარი, თელნარიანი, იფნარი, ნაცერცვალი, საინჭრია, საკანაფო, საჯინჭრია, ურთხველა, ყიყვიანი ხე, საბაწრია** (შდრ. ბაწარია – იმერულში მარწყვა ბალახი), **ნაბარდალი, ნათუთუნები, ნიგეზარა, სამარწყვია, სამაჭრია** (ვაზის ჯიშია ერთგვარი), ნაიონჯები...

ფაუნის ამსახველი ტოპონიმებია: **ძროხიბტყავა, ხარაჭირაღელე, გველითავი, გველითავისწყერი, თხიზურგი, საწუ(რ)ბლია, სამანჩვია, ყვავიანო, დათვის ბერო, დათვის წყარო//დათვიწყალი, სამტრედე გორა, სათევზია, საყორნია, გუგულის სახტომელა, გუგულის წყალი, დათ(ვ)იანო, დათვინატუკი, საძროხო...**

ისტორიულ ვითარებას ასახავს შემდეგი ტოპონიმები: ნაომარა, ნაომარის წყალი, ნაომრის გორა, ნამოსახლი//ნასახლარი, ნაფუზერები, პარტახი, სასახლე, დადიანის ნამოსახლი, ნასისხლი, ახალ(ი)დასახლება...

მითოლოგიური წარმომავლობისაა ტოპონიმი **ჭინკების ქვა**. ასე ეწოდება ქვას, საძოვარს ნასპერსა და უსქველიტას შუა, რიყილელის მარცხენა მხარეს, სოფ. თაბორში. ნაძრახი, აუგიანი, დანავსული, მოსარიდებელი ადგილისთვის მოსახლეობას **ნაძრახი ღელე//გოჯედანის ღელე//გოჯენდა//გოდევანი** შეურქმევია. ამჟამად ასე იწოდება ვენახი ქვედა ორბელში, სუნანიერს ქვემოთ (გვ. 40, 45).

რელიგიური, საკულტო წარმომავლობის გეოგრაფიული სახელწოდებებია: **ნასახტრი, კვირტობა, ანჩისხატი//ანჩისხატის ეკლესია, ბეგის სალოცავი//გიორგობის სალოცავი//ელიობის სალოცავი, გორმაღალის სალოცავი//გიორგობის სალოცავი//მეჯოგეთა სალოცავი, გრიგორიანული სალოცავი, ნასალოცავი, რიდამოს სალოცავი, საგორგოთო, სინაგოგა, ბჭყალის ეკლესია, დედახვთისა, კვინცხების სალოცავი, საელიო, სალოცავი მუხა, ციხეეკლესია, გიორგობიანების სალოცავი, ნასაყდრები, საამაღლობო, სასახლის სალოცავი, წიფეთელიაობის სალოცავი, საელიო**

ცაცხვი, შაორშაბათო//საორშაბათო, ცაცხვისალოცავი, ფარელის ცაცხვი, საწირავი//სალოცავი ცაცხვი...

ისტორიული საერო ნაგებობების – ციხე-სიმაგრეების სახელწოდებებია: **ლაშხიციხე, ლეშკაშის ციხე//სადადიანო ციხე, დიდი ციხე//ორბელის ციხე, პატარა ციხე//ქვედა ციხე//რაგვის ციხე//ჩონაშიერის ციხე, მახარობლიძეების ციხე, ქაჯის ციხე, სილაგაძის ციხე...**

მეტაფორული ტოპონიმებია: **იაკობის ზურგი** – 1. სახნავი საკავილელის ხეობაში (ლეხერა); 2. ტყე, ბორცვი ორბელის საზღვარზე, ლაჯანურის მარჯვენა მხარეს (ლაცორია). ზურგი მთის, ბორცვის ზედა ნაწილის აღმნიშვნელია; **ყანწის მთა** – მთა სასარაშვილის ღელის სათავესთან, სარაჭველოში, რაცლაჯანურის ზემოთშია. აქ მწყემსები ცხვარს დაკლავდნენ და დაილოცებოდნენ (გვ. 28-29); **კილომთვარე** – ჩამონაშალი კლდე ორბელი-ცაგერის საავტომობილო გზის ქვემოთ, აკავანამდე, სოფ. ორბელში (გვ. 42); **მეფისწყალი** – წყარო შუა ლეჩხუმის სერზე, ფარელში. გაედინება ცხენისწყლისკენ. საუკეთესო, გამორჩეული თვისებების მქონე სასმელ წყალს აღმ. და დას. საქართველოში მეფისწყალს//ნეფისწყალს უწოდებენ (გვ. 44-45, 60); **დედოფლის წყარო** – ლეშკაშელეებში, სოფ. ლაჯანაში (გვ. 71); **ავაკანა/აკავანა** – მინდორი ხარაშელის მარცხენა მხარეს, ლარცულიანების კუთხეში, სოფ. ლაცორიაში (გვ. 101)...

გვხვდება ფიტონიმის (მცენარის სახელის) კომონიმალ ქცევის მაგალითები. მაგალითად, ლუ, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით, რაჭულში აღნიშნავს ბუჩქს, რომელიც კლდეებზე ხარობს, მარადმწვანეა და რომლის შავ ნაყოფსაც წამლად ხმარობენ. მცენარის სახელი დარქმევია სოფელს. რაც მდებარეობს ლაჯანურის ხეობაში, ზ. დ. 710 მ-ზე, და ლაილაშის ადმინისტრაციულ ერთეულში შედის.

ლაჯანურის ხეობის მრავალი ტოპონიმის ეტიმოლოგიური ანალიზი შესაძლებელია, მაგრამ გაუმჭვირვალე, ბუნდოვანი სახელწოდებებიც ბევრია. ასე, მაგალითად, **კილომთვარე, დედაბრისთავი, ლაკიჩხია, ლაყვაბური, ნასპერა, უსკველიტა//უსქველიტა, ქონარეში, ბრაცყვილა, სპადერი, წუდილაში, უწკუპალი, ლაილაში,**

**წილამიერი, კურცობი, გაგულენი, გორამატყუარა, ხელო, ჯგი-
ლამესა, ჭუბულო, მოცხანდარი, მერქები//ნერქები...** ამ ტოპონიმთა
მოტივაციის დადგენა მომავლის საქმეა.

ხმოვანთა დისიმილაციის შემთხვევასთან გვაქვს საქმე ისეთ
ტოპონიმებში, როგორიცაა **ბლუანი** (←ბლიანი), **კალაშუანი, ნარ-
ლოვი** (←ნარღვევი), **მოხოული** (←მოხვეული)...

ლაჯანურის ხეობის ტოპონიმიაში წარმოდგენილია ნათე-
საობითი ბრუნვის ნიშნისეული -ს-ს გაქრობის ფონეტიკური
მოვლენა. დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს: **ბლიყანა** (←ბლის
ყანა), **ლანქორიღელე** (←ლანქორის ღელე), **ლაშივაკე** (←ლაშის
ვაკე), **ლაშიღელე** (←ლაშისღელე), **ლაშიჭალა** (←ლაშისჭალა),
ელიწვერი (←ელიის წვერი), **ციხიძირი** (←ციხისძირი), **კტი-
თავი** (←კტისთავი ←კლდისთავი), **ცაცხვისსალოცავი** (←ცაცხვის
სალოცავი), **ცაცხვიყელი** (←ცაცხვის ყელი), **გვერდიყანა, გო-
გიშვილიადგილი** (←გოგიშვილის ადგილი), **გადაღმაჭალიგორა**
(←გადაღმა ჭალისგორა)...

ს თანხმოვანი რეფლექსის სახით ?-ს გვაძლევს ტოპონიმში
კორტე?ლაშე, თუმცა პ. ცხადაიას წიგნში ეს ტოპონიმი წარ-
მოდგენილია **კორტილაშის** ფორმით. ეს პროცესი ძირითადად
დამახასიათებელია აღმოსავლური კილოსათვის (მაგ. ლომისა?
გზა ←ლომისას გზა, მაღალა? ღელე ←მაღალას ღელე... თუმცა
ანალოგიური ვითარება, ბ. ჯორბენაძის აზრით, „სპორადულად
ქართული ენის დასავლურ კილოებშიც დაჩნდება: ტყაპე? გვერდი
←ტყაპეს გვერდი, საკოტიე? თავი ←საკოტიეს თავი (ლექსუმი,
ცაგერის რ.)...“ (ბ. ჯორბენაძე, 1993, გვ. 140-141).

ტოპონიმთა მაწარმოებელი ფორმანტების ენობრივი რაობის
საკითხებზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია სიტყვათმეხა-
მების უნარიც. მაგალითად, ტოპონიმთა წარმოება **ზედა, ქვედა,
ზემო, ქვემო, მაღლა, დაბლა, ქვეში, შუა, გაღმა, გადაღმა, მიღმა,
გამოღმა, უკან, იქით, დიდი, პატარა, პირველი, მეორე, შიგნით,
შავი, თეთრი, წითელი, ძირი, გვერდი, თავი, წვერი, ყელი, მა-
ღალი, დაბალი...** მსაზღვრელებით. მაგალითები: **ზედა ორბელი//
ზედა უბანი, ზედა ციხე, ზედა კუთხე, ზედა ბანიკოდი, ზედა
მხრები//ზედა მხრეფი, ზედ(ა)უბანი, ზედაუბანიკოდი, ზელუბნის**

ვაკე, ზედა ლემკედა, ზედა კოდი, ზედა უსახელო...; ქვედა კუთხე, ქვედა კოდი, ქვედა ნაკულებითი, ქვედა უსახელო//დაბლა უსახელო, ქვედა ზოჯი...; მაღლა უსახელო; ქველბანი//ქვემო უბანი; ციხექვეშის ღელე, მსხალქვეში, კტიქვეში, კუნელქვეშ/კუნელაქვეშ; შუანა სახარო, ორღელეშუა, ორტყეშუა, ორშკასშუას წყალი, ორშ(უ)კასშუა, შუა სოფელი, შუა უბანი, ორშუაღელე...; გაღმა საკავე, გაღმა ჭალა, გაღმაგვერდი, გაღმა ბურღველაში, გაღმა ლემკედა...; გადაღმა ჭალიგორა, გადაღმა ახუები...; გამოღმა ჭალა, გამოგვერდი (←გამოღმაგვერდი), გამოღმა ბურღველაში...; მიღმართობა; კორღანსუკან, საყდრისუკან, წვერსუკან, წვერსუკანის გამოქვაბული...; იქითკუთხის კოდი...; დიდვაკე, დიდი ლოკარე, დიდი შურო, დიდშურო, გაგულერის დიდი ვენახი, დიდი ბურღველაში, დიდქვა, დიდღელე...; პატარა ლოკარე, პატარა შურო, პატარა ციხე, პატარა ბურღველაში...; პირველი ნამოსახლი; მეორე ნამოსახლი; შიგნიღელე; შავკადარი, შავღელე, შავტბა...; თეთრი ღელე, თეთველი (←თეთრველი); წითელკოჯი...; ცინიძირი, ცაცხვიძირი, კლიძირი, ჭალიგორისძირი, ფერიძირი...; გვერდი, სასტრიგვერდი, კლუბიგვერდი...; კტითავი, ჭალისთავი, შუკისთავი, ლაშითავი, საკაფსიონოსთავი, სახრავითავი, ჩხიროდითავი, გაგიშისთავი, სიპითავი, ნალობიეთავი, ახოსთავი, ქალაქისთავი//ბეგი, დედაბრისთავი...; ორბელისწვერი, სახოვი(ს)წვერი, უცხერისწვერი...; ცაცხვიყელი, ბლისყელი, ლაშიყელი...; მაღალყანა და სხვ. მრ.

სარეცენზიო წიგნის დანართში წარმოდგენილია ლერხუმის ტოპონიმების დაბეჭდილ და ხელნაწერ მასალებში მოცემული, ლაჯანურის ხეობის სოფლებში ჩაწერილი იმ მიკროგეოგრაფიული სახელწოდებების ჩამონათვალი, რომელთა შესახებ 2010 წელს ავტორს რესპოდენტთაგან საჭირო ინფორმაცია ვერ მიუღია. წიგნში სულ დასახელებულია 65 ასეთი მიკროტოპონიმი (გვ. 204-205).

3. ცხადიას ნაშრომი ქართული ონომასტიკური ლიტერატურის საჭირო შენაძენად უნდა მივიჩნიოთ. ამაში ადვილად დაერწმუნდებით, თუკი გავითვალისწინებთ შემდეგ გარემოებას: ცნობილია, რომ ბუნებრივმა და ისტორიულმაქარტეხილებმა შესაძლებელია გამოიწვიოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა ერთი ნაწილის დროთა განმავლობაში გაქრობა ან შეცვლა. ასე, მაგალითად, გასული

საუკუნის 30-40-იან წლებში – მ. ჩიქოვანის, 50-იან წლებში – მ. ლავიადის, ხოლო 60-იან წლებში – ალ. დლონტის მიერ ლავჯანურის ხეობის სოფლებში ჩაწერილმამრავალმა ტოპონიმმა, როგორც ითქვამის, კპოვა ასახვა პ. ცხადაიას წიგნში, ანუ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ბატონი პაატა ვერ შეხვდა ისეთ რესპოდენტს, რომელიც დაეხმარებოდა მას დასახელებულ მკვლევართა მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულნაშრომებში თავმოყრილი გეოგრაფიული სახელწოდებების ერთი ნაწილის, ლოკალიზაციის, სემანტიკისა და მოტივაციის დადგენაში; ე. ი. ამ მეცნიერთა სათვალსაწიერო, საკვლევი პერიოდი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ტოპონიმთა ერთი ნაწილის „სიცოცხლის ხანგრძლივობა“ ხანმოკლე ყოფილიყო; მეორე, სიცოცხლისუნარიან ნაწილს კი ფორმით ან შინაარსით შეცვლილი სახელი ჩანაცვლებოდა.

წიგნის ბოლოთქმაში მკვლევარი სამართლიანად შენიშნავს, რომ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ავტორის მიერ აღწერილ და უკვე დაბეჭდილ, ლეჩხუმის დღემდე გამოცემულტოპონიმურ-მასალას ახლავს უმთავრესი ნაკლი: ერთის მხრივ, ტოპონიმს აკლია დაწვრილებითი ლოკალიზაცია, რესპოდენტისეული მოტივაცია და ლექსიკური ახსნა-განმარტებანი, ხოლო მეორე მხრივ არაა მოცემული სახელწოდების ენობრივი და გარეენობრივი ანალიზი. ერთიც და მეორეც აუცილებელი ატრიბუტია ტოპონიმთა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზისათვის. „ყოველივე აქედან გამომდინარე, – დასძენს პ. ცხადაია, – აუცილებელია სვანური ენის ზედმიწევნით მცოდნე და დაინტერესებულმა მკვლევარმა გულდასმით და აუჩქარებლად დააფიქსიროს ლეჩხუმის მთელი დღევანდელი და საისტორიო წყაროებში დაცული ონომასტიკა (და არა მხოლოდ ტოპონიმია) და შეჰმატოს ქართულ ენათმეცნიერებას სრულყოფილი მონოგრაფია (და არა მხოლოდ მასალა)“ (გვ. 206).

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯი უკვე გადადგმულია: პაატა ცხადაიას წიგნი გარკვეულ სამსახურს გაუწევს ლეჩხუმის ტოპონიმის მომავალ ჩამწერს და ამ საკითხის კვლევით დაინტერესებულებს. ამასთანავე, ვფიქრობთ,

ცალკეულ გეოგრაფიულ სახელწოდებათა ისტორია-ეტიმოლოგიის საკითხებზე ცაგერის რაიონულ გაზეთში სხვადასხვა დროს დაინტერესებულ პირთა მიერ გამოქვეყნებული კორესპოდენციები ამ თვალსაზრისით საინტერესო ინფორმაციის შემცველია და გაზეთის გაყვითლებული ფურცლებიც ელის მჩხრეკელსა და შემსწავლელს.

თითოეული ტოპონიმი, დიდი თუ მცირე ობიექტის სახელი, პაატა ცხადაიას თქმით, წარსულის მატანაა. ტოპონიმი ინახავს არა მხოლოდ ლექსიკონებში ჯერ კიდევ დაუფიქსირებელ ენობრივ ერთეულებს, არამედ თვითონვე მოგვითხრობს ახლო თუ შორეულ წარსულზე, წარმართულ თუ ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებზე; გვაწვდის საინტერესო ინფორმაციას ეთნოგრაფიულ-სამეურნეო ყოფაზე. „დედამიწა ტოპონიმების ერთ გვესაუბრება და ჩვენ მზად უნდა ვიყოთ, გავიგოთ მისი ნათქვამი, გავითავისოთ მისი ინფორმაცია“ (პ. ცხადაია).

ამ აზრით, რწმენითა და შემართებით მოღვაწე მეცნიერი თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც გულდასმით აყურადებს და სწავლობს „დედამიწის ენას“, ითავისებს მეტყველი მიწა-წყლის ინფორმაციას. პაატა ცხადაიამ, ამ საოცრად ენერგიულმა და მოუსვენარმა კაცმა, მუხლჩაუხრელი შრომით თავი მოუყარა დიდძალ საველე-ტოპონიმიკურ მასალას. სოფელ-სოფელ, მთასა თუ ბარში, სიცივესა თუ პაპანაქება სიცხეში, ხშირად ალბათ მშიერ-მწყურვალი, „დაეძება“ და ნამცეცებივით აგროვებდა ადგილთა სახელებს, ვითარცა ობოლ მარგალიტებს. მან წარსულს გამოსტაცა და შთამომავლობას სათუთად შემოუნახა დასავიწყებლად ვერგამეტებული ეს უძვირფასესი საგანძური. სწორედ ამიტომ არის მისი ნაღვაწი ფასდაუღებელი და სამაგალითო. გაივლის ჟამი და შთამომავლობა უფრო მეტი მაღლიერებისა და პატივისცემის გრძნობით განიმსჭვალება ცნობილი მეცნიერის შეუწონავი და მართლაც საარაკო ნამუშავევის გამო.

დაიბეჭდა გაზეთ „ილორში“ (№337, 27. X – 3. XI, 2015, გვ. 8; №338, 3-10, 2015, გვ. 3); გაზეთ „ლეჩხუმში“, სათაურით – „ლეჩხუმის გეოგრაფიული სახელწოდებანი (ლაჯანურის ხეობა) (№11, ნოემბერი, 2015, გვ. 6; №1, იანვარი, 2016, გვ. 6; №2, თებერვალი, 2016, გვ. 6).

ტოპონიმიკა — ერთგვარი მეტრიკული მომთხაბი

(რეცენზია ქეთევან გოდერძიშვილის წიგნზე — „**ცხინვალის რეგიონის გეოგრაფიული სახელები**“, თბ., 2015)

ჯერ ორიოდე სიტყვით შევეხებით ქ. გოდერძიშვილის მო-
ნოგრაფიას — **„ქართველური ანთროპონიმიკის ძირითადი სა-
კითხები“**.

თუ გავითვალისწინებთ ონომასტიკის დარგის თვალსაჩინო
წარმომადგენლის, პროფესორ პაატა ცხადაიას სიტყვებს, რომ
აქ წარმოდგენილი წიგნის „ბადალი ონომასტიკის დარგში არ
მოგვეპოვებაო“, ამასთან, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც,
რომ ალექსანდრე ღლონტი იყო საქართველოში ანთროპონიმიკის,
როგორც მეცნიერების, ერთ-ერთი ფუძემდებელი, შეიძლება ითქვას:
ქეთევან გოდერძიშვილმა ამ დარგში გარკვეულწილად დააგვირგვი-
ნა თავისი დიდი მასწავლებლის, ალექსანდრე ღლონტის დაწყე-
ბული საქმე და მისი ღირსეული მოწაფის სახელი დაიკვიდრა.

ამჯერად ქეთევან გოდერძიშვილმა წარმოადგინა ნაშრომი
— **„ცხინვალის რეგიონის გეოგრაფიული სახელები“**, რომლის
დაბეჭდვა მაშულიშვილური საქმეა. იგი მნიშვნელოვანი დოკუ-
მენტი იქნება როგორც ქართული, ისე ოსური სივრცისათვის
და დროის გარკვეულ მონაკვეთში ორი ერის თანაცხოვრების
დასტურიც.

იმის მიუხედავად, რომ საქართველოს ტერიტორიული მთ-
ლიანობის აღდგენა და სამაჩაბლოს ოკუპირებული ტერიტორიის
დაბრუნება, ჯერჯერობით, ჩვენდა სამწუხაროდ, არ შესახება
ახლო პერსპექტივად, ისტორიული სამართლიანობის აღდგენა
უდავოდ პრინციპულ საკითხად უნდა ჩაითვალოს პოლიტიკოს-
თათვის, ისტორიკოსთათვის, საერთოდ, ჩვენი ქვეყნისათვის. ამ
პრობლემის მოგვარება კი შეუძლებელია ობიექტური მეცნიერული

აზრის, უტყუარი ისტორიული დოკუმენტების გათვალისწინების გარეშე.

ერთ ასეთ უტყუარ საბუთად თამამად ჩათვლება ფილოლოგიის დოქტორის, ქალბატონ ქეთევან გოდერძიშვილის მიერ წლების მანძილზე ნაბიჯ-ნაბიჯ, მისხალ-მისხალ ნაგროვები სიტყვიერი ძეგლები ტოპონიმების სახით, რომლებიც, ხატოვნად რომ ვთქვათ, ერთგვარი მეტრიკული მოწმობებია ქართული ეთნოსისა და კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრის – შიდა ქართლის ისტორიის, ისტორიული გეოგრაფიისა და სხვა პრობლემური საკითხების შესასწავლად და გასაანალიზებლად. ცხინვალის რეგიონის ტოპონიმების გამოცემა ნათელს მოჰფენს ბურუსით მოცულ ბევრ საკითხს.

სარეცენზიო ნაშრომი თანაბრად საინტერესო ინფორმაციის შემცველია არა მხოლოდ ენათმეცნიერთათვის, არამედ საქართველოს ისტორიის, ეთნოლოგიის, გეოგრაფიის, სოფლის მეურნეობის ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევართათვის. თქმულის საილუსტრაციოდ არაერთი მაგალითის დამოწმება შეიძლება წიგნიდან: ათანაგი, ალარდი, აწრევის საყარაულო კოშკი, ბარბალები, ბარზონდ ტუარ//მაღალი სალოცავი, ბეზაი ვასთირჯი, დანაკოშკარი, გოცირიძეების ეკლესია, დისიგინი, ნაქალაქევი, დიათი ყავ... ზოგი ადგილი ნასახლარად, ნასოფლარადაა ქცეული ან სხვა დანიშნულებით გამოიყენება, მაგრამ წარსულის ხსოვნის სალაროს გეოგრაფიული ნომენკლატურის სახით სათუთად დაუცავს ცნობები მათს შესახებ.

ისტორიულ ნაგებობათა, მაკრო- და მიკროტოპონიმთა ძირითად ნაწილს, ახლავს ცნობები ამა თუ იმ წყაროდან დამოწმებული; რაც მთავარია – ავტორის მიერ საველე ექსპედიციების დროს ჩაწერილი, ინფორმატორთა ხალხური მოტივაცია, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია.

ქეთევან გოდერძიშვილის წიგნი ცხადად და მიუკერძოებლად წარმოაჩენს თვითგამოცხადებულ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკად წოდებული რეგიონის შემადგენლობაში შეძავალი ცხინვალის რეგიონის ისტორიის უწყვეტ ჯაჭვს უძველესი დროიდან დღემდე. მიგვაჩნია, რომ ამ წიგნმა უახლოეს მომავალში უნდა იხილოს

დღის სინათლე, ვინაიდან, ერთ მეცნიერს რომ დავვესესხოთ, ეს წიგნი იქნება ერთგვარი ქვა, „ნასროლი მეცნიერული გულგრილობის მყუდროებაში“.

*დაიბეჭდა ქეთევან გოდერძიშვილის წიგნში –
„ცხინვალის რეგიონის გეოგრაფიული სახელები“,
თბ., 2015, გვ. 237-239.*

სანიტარესო ნიბნი ბაღდათის რაიონის მთის სოფლების გეოგრაფიულ სახელწოდებებზე

ბაღდათის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი, ბატონი ზურაბ თოლორდავა დიდი ხანია აღწესსავს და იკვლევს მშობლიური რაიონის ტოპონიმებს. კვლევის პირველი შედეგები ჯერ კიდევ 2002 წელს გამოცემული ბროშურის სახით იხილა საკითხით დაინტერესებულმა სპეციალისტმა თუ ფართო მკითხველმა საზოგადოებამ. „ზეკარის ხეობის ტოპონიმიკა“, – ასე ჰქვია ამ ფრიად საჭირო და საგულისხმო ნაშრომს.

კვლევის შემდგომი შედეგები, კერძოდ, ბაღდათის რაიონის (ამჟამად მუნიციპალიტეტის) მთის სოფლების – ხანის, აღისმერეთის, წყალთაშუის, დაფენილის, ნერგეთის, ზეგნის, საკრაულის, აგრეთვე ლაშურის, სქურის, ხანისწყლისა და წაბლარასწყლის ხეობების მთიანი ნაწილის 850-ზე მეტი გეოგრაფიული სახელწოდება, შესაბამისი მოტივაციური მსჯელობებით, ზ. თოლორდავამ 2014 წელს მცირე ფორმატის წიგნად გამოსცა (**„ბაღდათის მთის სოფლების ტოპონიმიკა“**).

ავტორი ტოპონიმიის ზოგად და თეორიულ საკითხებში კარგად ჩახედული მკვლევარი რომ არის, ეს ნათლად ჩანს თუნდაც იქიდან, რომ სარეცენზიო წიგნში თავმოყრილ გეოგრაფიულ სახელწოდებებს ხშირ შემთხვევაში ახლავს ლოკალიზაცია (ზუსტი გეოგრაფიული მიბმა), რაც აუცილებელი პირობაა ტოპონიმთა ენობრივი და გარეენობრივი ანალიზისათვის. თქმულის საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითს მოვიხმოთ „ბაღდათის მთის სოფლების ტოპონიმიკიდან“: ლეკის ჭალა – ქვ. ზეგნიდან ნასოფლარ კორიშისაკენ მიმავალი გზა (გვ. 45); ნაშუების ლელე – ლელე; მდ. საკრაულას მარცხენა შენაკადი (გვ. 46); სვირის წვერი – მთა. ზედა ზეგნისა და სოფ. მეორე სვირის

(ზესტაფონის მუნიციპ.) მთაგამყოფი (ზელა ზეგანი) (გვ. 48); ყინვა გორა – მილაზურისკენ მიმავალი გზის მონაკვეთი (ქვ. ზეგანი) (გვ. 49); კინკილეთი – ტყიანი, ვაკე ადგილები და ნასოფლარი ლაშურის ხეობაში (გვ. 54); მოგვერველი – მდ. საკრაულის მონაკვეთი, მცირე კანიონი, სადაც მდინარე მცირე მონაკვეთზე რამდენჯერმე უხვევს (გვ. 55) და სხვ. მრ.

წიგნის რედაქტორის – ნუგზარ კუჭუხიძის სავსებით ზუს-
ტი შეფასებით, ნაშრომს მკვლევრის მეცნიერულ ჟინთან ერთად
აშკარად ეტყობა მშბლიური მხარის სიყვარული და საქმისად-
მი ერთუზიანობა. „ტოპონიმებისადმი ემოციური დამოკიდებულება
არა მარტო მკვლევარებს, არამედ რიგით ადამიანებსაც ძალუმაღ
მოიცავს. თითქოს რაღაც ამოუცნობ სიხალისეს, აღტაცებასა
და ზოგჯერ სევდასაც კი იწვევს ესა თუ ის ტოპონიმი და
მასთან დაკავშირებული ისტორიული, ყოფითი ან სოციალური
მოვლენები და ფაქტები. მჯერა, არავინ გახდის საკამათოდ იმ
აზრს, რომ კარგი იქნებოდა, გვექნოდა საქართველოს ყოველი
რაიონის ტოპონიმთა ამგვარივე წიგნი. ეს ნაშრომი არა მარტო
გულანთებულ პატრიოტებს გაახარებს, არამედ გლობალიზაციით
ტვინამდურეულ და ოკეანედალეულ გაუცხოებულ სნობებსაც არ
დატოვებს გულგრილს“ (გვ. 4).

ჭეშმარიტად!

აქ მხოლოდ იმას დავამატებდით, რომ ყველა რაიონს, ყველა
კუთხეს ბატონ ზურაბ თოლორდავასნაირი, ონომასტიკის პრობლე-
მური საკითხების კვლევა-ძიებით დაინტერესებული თითო-ორო-
ლა ერთუზიანსტი რომ ჰყავდეს, საქართველოში, განსაკუთრებით
ონომასტიკური მასალის შედარებით სრული აღწერა-აღნუსხვის
მიმართულებით, უკვე ბევრი რამ იქნებოდა გაკეთებული.

წიგნში თავმოყრილ მიკროტოპონიმთა ეტიმოლოგიაზე ავტო-
რის დასკვნები ძირითადად მისაღები და გასაზიარებელია, თუმ-
ცა ონიმის წარმომავლობა, მისი თავდაპირველი (ონიმამდელი)
მნიშვნელობის კვლევა ანუ ეტიმოლოგიზება, ამოსავალი ლექსე-
მის (საზოგადოსი თუ საკუთარის) ფორმისა და მნიშვნელობის
(შედლებისდაგვარად, ისტორიისაც) დადგენა და სწორად გააზრება
ზოგ შემთხვევაში საკმაოდ ჭირს. მაგალითად, ტოპონიმებს –

ადამეეთის სერს, ბოგირს, კლდებაწარას, დიდგორს, ზრამადელეს, გორიასოულს, ვაკესერს, ვასლარის, ვერხნალს, წყალთაშუას და სხვებს, გამჭვირვალე სემანტიკური და მორფოლოგიური სტრუქტურა აქვს და ნომინაციის მოტივის დადგენა შესაძლებელია. წარმოქმნის მომენტში მოტივირებული ზოგიერთი ტოპონიმის მოტივაცია დროთა განმავლობაში გაუჩინარებულა. მაგალითად, ზ. თოლორდავას განმარტება, რომ „ბარნალი ქვემო და ზემო იმერულ დიალექტში ჰქვია მთიან ადგილას მდებარე ვაკე ადგილს“ (გვ. 5), ჩვენი აზრით, შეუძლებელია ტოპონიმ „ბარნალიას“ წარმომავლობის დასადგენად გამოგვადგეს. სახელდებული ობიექტის უწინდელი სახელწოდება უნდა ყოფილიყო **ბალნარი**→**ბალნარი-ა**. სხვათა შორის, **ბარნალა** ეწოდება ტყეს ვანის სატყეოში, ხოლო **ბარნალა/ბარნალები** – ბალს სოფ. ძულუხში (ვანის მუნიციპ.). **ბარნალი** ჰქვია სახნავს სორმონში, ტყეს ოჯოლაში, ღელეს კიროვში (ტყიბულის მუნიციპ.), **ბარნელა** კი ტყის სახელწოდებაა სოფ. თავასაში (თერჯოლის მუნიციპ.)...

ზ. თოლორდავას დაკვირვებით, ზეგნისა და საკრაულას მიკროტოპონიმიაში დამოწმებული ადგილთა სახელწოდებების – **ატამანას** (მთა, საძვარი), **ატვანასა** (სახნავი) და ატვანის ღელის (ღელე) ამოსავალი ფორმა უნდა იყოს აკვანის დიალექტური ფორმა აკვანი (გვ. 9), მაგრამ ასეთ შემთხვევაში ახსნას საჭიროებს კ და ტ თანხმობების მონაცვლეობა. ქვემო იმერეთის სოფლებში დამოწმებული ტოპონიმების – **ატვანას/ატმანას** (საძოვარი, სახნავი საკრაულაში), **ატვანის/ატმანის** (მთა, ტყე ონჭეიშში), **ატმანას** (ბუჩქნარი და საძოვარი წიფაში, საკარმიდამო ხომულში), **ატმანის** (სახნავი ბენტოქოულაში, ტყე ჟონეთში), **ატმანის კალოს** (საძოვარი, ტყე წიფაში), **ატმანის სერის** (ტყე ნამოხვანში) ამოსავალი ფორმა, ჩვენი აზრით, უნდა იყოს **ატმინა**, **ატმინი** „ადგილი, სადაც მრავლად ხარობს ატმის ხე“.

ასევე შესაძლებელია ტოპონიმ „ღართაფლნარის“ სხვაგვარი გააზრებაც. ზ. თოლორდავა ფიქრობს, რომ კომპოზიტივის პირველი სიტყვაა თაფლისათვის საჭირო ნექტრის აღმნიშვნელი სიტყვა **ღალა**, ხოლო მეორე – **თაფლი**: „იმის გამო, რომ კომპოზიტივის მეორე სიტყვის (თაფლი) სიღრმისეულმა სონორულმა

თანხმოვანმა „ლ“-მ განიმსგავსა კომპოზიტის პირველი სიტყვის, ასევე სონორული თანხმოვანი „ლ“, დალთაფლნარი-ს ნაცვლად მივიღეთ ღართაფლნარი“ (გვ. 15). საგულისხმოა ის გარემოება, რომ ვანის მუნიციპალიტეტის სოფ. მთისძირში გორის სახელწოდებად დამოწმებულია **დალტაპო//დანტაპო//ღართაპო**. ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფ. ლაფეთში სახნავსა და ტყეს ეწოდება **დალტაფი**, ხოლო **დალტაფი//ღართაფი** ტყის სახელია თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. ნაგარევეში. ამ ტოპონიმებისა და ზ. თოლორდავას წიგნში დამოწმებული ტოპონიმის – **ღართაფლნარის** ამოსავალია კლდეღრებიანი, ღრანტეებიანი ადგილის აღმნიშვნელი სიტყვა **ღართაფი**. მამასადამე, **ღართაფნარი→ღართაფლნარი**.

წიგნში, მართალია, დამოწმებულია რამდენიმე მეგრული მიკროტოპონიმი (**დიდი რზენი** „დიდი ვაკე“, **ნაოზვამი** „ნაეკლესიარი“, პატარა ჩამფონია, ჩამფონია (**ჩამფა, ჩამქვა, ჩამჭვა** „მაღალმთის ბოკვი“), **შქერონია** „შქერნალი“, **ცხიმურონი** „რცხილნარი“, ხურგონია „ხერგი, ხერგილი; ზღვარი, მიჯნა“...), მაგრამ, ჩვენი აზრით, მიუღებელია წაბლარის ხეობაში ნასოფლარის სახელწოდებად დამოწმებული „ასკაპურას“ მეგრულ-ზანურ სიტყვა „ნაცქაფურასთან“ დაკავშირება (გვ. 60).

ზურაბ თოლორდავა ფიქრობს, რომ ნასოფლარის სახელწოდებად დაფიქსირებული „საჩხარაზოს“ ფუძე სიტყვაა „ჩხარი“, რაც უნდა გავიაზროთ როგორც „არახშირი, მეჩხერი ხე-მცენარეების, ეკალ-ბარდის, ბუჩქნარის ადგილი“, ან „ჩხერმრავალი, წყლის ჩანჩქერებიანი მხარე“ (გვ. 26, 69). **საჩხარაზოს** ლელე ეწოდება ლელეებს საირმისა და წყალთაშუის სატყეოებში, ხოლო საჩხარაძო საძოვარია წყალთაშუაში. საქმე ისაა, რომ **ჩხარაზი** ვაზის ჯიშის სახელწოდებაა მეგრულში. ჩხარაზს ეძახიან აგრეთვე მოცხარსაც (იხ. ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010, გვ. 678). ო. ქაჯაიას „მეგრულ-ქართული ლექსიკონის“ მიხედვით ჩხარაზი ეწოდება მაგარი და დაბალი ტანის ხეს, რაც იზრდება შუშელისა და ჯალონის (ტყის) გასაყარზე (ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. III, თბ., 327).

ამასთანავე, სასურველი იყო ავტორს სოფლების, მდინარეებისა და მათი ხეობების სახელწოდებების წერისას დაეცვა „საქართ-

ველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონში“ მოცემული დაწერილობა სახელის ფუძის ბრუნებისას (მაგალითად, ლაშურის, წყალთაშუის, საკრაულის, ზეგნის...).

უნდა ითქვას, რომ აკად. ნიკო ბერძენიშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს ნასოფლარების ისტორიის მეცნიერულ შესწავლას კომპლექსური მეთოდების გამოყენების გზით, ვინაიდან ამ პრობლემის გადაჭრის გარეშე შეუძლებლად მიაჩნდა საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორიის სრულყოფილი ასახვა (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. I, თბ., 1964, გვ. 178, 354). სარეცენზიო წიგნი მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ნასოფლარებზე და დაინტერესებულ პირს დიდ დახმარებას გაუწევს ასეთი ნამოსახლარების ზუსტი სიებისა და ადგილმდებარეობის დადგენაში. წიგნში ნასოფლარების სახელებად გვხვდება **კინკილეეთი, ნაქალაქარი, ნიქაბეეთი, სქურა, ნამარნევი, სიწამულა, სორტიული, ტუბათი, ქვედა ნოღა, ზვირთა, ბერიეთი, თედორეეთი, კაპარჭიკეეთი, კილეეთი, კორიში, მანცალეეთი, მოძღვარეთი, ნაფიცარა, საკორიშო, ფრინეეთი, გოთეთი, მამანეთი, ნაბოსტნები** და სხვ.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მთის სოფლების ტოპონიმიაში ფიგურირებს შტოგვარები და საგვარეულო ჯგუფური მეტსახელები. მაგალითად, **იაკოფაშვილების უბანი** ეწოდება უბანს სოფ. საკრაულაში. ავტორი გვაუწყებს, რომ იაკოფაშვილები, კოსტაშვილები, მერაბიშვილები, ნაცრიშვილები და პაატაშვილები საკრაულელი კიკნაველიძეების შტოგვარებია (გვ. 53). სოფ. ხანში მცხოვრები ნატრიაშვილების გვარის ჯგუფური მეტსახელი ფიგურირებს ტოპონიმ **ჩერქეზების წყაროში** (გვ. 9) და ა. შ.

უნდა ითქვას, რომ ქვემო იმერეთის, მათ შორის ბაღდათის რაიონის ტოპონიმების მასალების გამოცემა ადრეც განხორციელდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული პროფ. ფარნაოზ ერთელიშვილის სახელობის ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ (იხ. საქართველოს ტოპონიმია (მასალები), ტ. III, ქვემო იმერეთი.

შემდგენლები: შ. აფრიდონიძე, ვ. ჯოჯუა, მ. კეპულარია, თბ., 2003). ამ წიგნისა და ზ. თოლორდავას მიერ ათ წელზე მეტი ხნის შემდეგ გამოცემული ტოპონიმიური მასალის ურთიერთშედარებით საკითხით დაინტერესებული პირი მრავალ განსხვავებას აღმოაჩენს. ასე, მაგალითად, ქვემო იმერეთის ტოპონიმის მასალებში დასახელებულია ტოპონიმები – დუბია და საჭი(რ)ის დღე, ხოლო ზ. თოლორდავა ასახელებს ვარიანტულ ფორმებს: დუბიები და საჭირღეღე. სარეცენზიო წიგნში დასახელებული არ არის სოფ. ხანისა და მისი შემოგარენის ის ტოპონიმები, რომლებიც თავმოყრილია 2003 წლის გამოცემაში. მაგ., **გელზვიძეების წისქვილი** (წისქვილი), **ტაბეშაძეების ორეში** (საბანაო ადგილი), **ტაბეშაძეების წისქვილი** (წისქვილი), **ტპიკარი//ქველა ტბა** (სათიბი, საძოვარი), **უზნარი** (სათიბი, ტყე), **ტუბათის წყარო, ტყელა//ტყელაკე** (სათიბი, სალოცავი, საძოვარი), **ტყისუბანი** (სათიბი, ტყე) და სხვ. ზ. თოლორდავა სოფ. ხანის სამხრეთით მდებარე მთის სახელწოდებად ასახელებს ვაიეთს (გვ. 7), რაც შეტანილი არაა ქვემო იმერეთის ტოპონიმის მასალებში... ასეთი მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება.

აღიარებული ჭეშმარიტებაა: მთავარია ცალკეული რაიონების, ქალაქების, სოფლებისა თუ ხეობების ონომასტიკური მასალის გარშემო არსებული ინფორმაცია ზუსტად და ამომწურავად იყოს ჩაწერილი და თვით მასალის ისტორიულ-ეთნოლოგიურ, ლინგვისტურ და ექსტრალინგვისტურ ანალიზს კვლევა-ძიების შემდგომ ეტაპზე სხვებიც შეეცდებიან. ამიტომაც წერდა ჩეხი ტოპონიმისტი ვ. შმილაუერი: „მასალის თავმოყრა მის ახსნაზე უფრო მნიშვნელოვანია. ახსნა ხშირ შემთხვევაში ჰაპოთეზაა, ხოლო კეთილსინდისიერად ნაგროვები მასალა კი – ფაქტი. ამიტომ ზოგჯერ სავსებით საკმარისია მასალის შეგროვება, ხოლო დასკვნები თავისთავად ამოტივტივდება ზედაპირზე“ (V. Smilauer, *Uvod do toponomastiky, Praha, 1963*: 62).

ბატონი ზურაბ თოლორდავა იმ იშვიათ და ბედნიერ გამო-ნაკლისთა რიგში დგას, რომელიც მშობლიური რაიონის მთებსა და ველებზე, ტყეებში, ხეობებში, ჭალებში მისხალ-მისხალ აგროვებს დასავიწყებლად, მისაჩქმალავად ვერგამეტებულ ობოლ

მარგალიტებს და დაინტერესებულია კეთილსინდისიერად ნაგროვებ
გეოგრაფიულ სახელწოდებათა ეტიმოლოგიური ძიებებითაც.

ასეთი ღირსეული, გულისხმიერებით აღსავსე ადამიანების მი-
მართ უღრმეს პატივისცემას მხოლოდ მაღლობის თქმით და
მაღლიერებით თუ გამოვხატავთ.

ონომასტიკური ლიტერატურის საჭირო შენაჩენი

(რეცენზია დოღო ქიტუაშვილის წიგნზე –
„ნიჩბისის ხეობის ონომასტიკონი“. თბ., 2015)

შიდა ქართლის ერთ-ერთი უძველესი დასახლების – ნიჩბისის ხეობის ონომასტიკური მასალა – გეოგრაფიული სახელწოდებანი, გვარები, ინდივიდუალური და ჯგუფური მეტსახელები აღნუსხა, მოტივაციური თვალსაზრისით გააანალიზა და ცალკე წიგნად გამოსცა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის ინსტიტუტთან არსებული ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის თანამშრომელმა, ქალბატონმა **დოღო ქიტუაშვილმა**. 2014 წლის აგვისტოში ხეობის სოფლებში – ახალ ნიჩბისში, ზემო ნიჩბისში, ქვემო ნიჩბისსა და სასხორში ავტორის მიერ ჩაწერილი ონომასტიკური მასალის მეცნიერული დამუშავებისას გათვალისწინებულია ალ. ლლონტისა და ს. მელიქიძის მიერ მოპოვებული და მათივე წიგნებში თავმოყრილი მასალა.

დ. ქიტუაშვილის წიგნი „ნიჩბისის ხეობის ონომასტიკონი“ გამოიცა 2015 წელს. წიგნის რედაქტორია **პატიკო ცხადაია**, ხოლო რეცენზენტი – **იგორ კეკელია**. წინასიტყვაობაში ავტორი აღნიშნავს, რომ აქამდე არ მოგვეპოვებოდა ცნობები ნიჩბისის ხეობის ანთროპონიმის შესახებ. სწორედ დ. ქიტუაშვილის დამსახურებაა ამ კუთხით წარმოებული საველე კვლევა-ძიების შედეგად ხეობაში მცხოვრები 47 გვარისა და 95 ინდივიდუალური მეტსახელის სემანტიკური და მორფოლოგიური სტრუქტურის დადგენა.

წიგნში მკითხველის ინტერესს აღძრავს ნიჩბისის ხეობის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა, რაც ცალკე თავად არის წარმოდგენილი. ფიზიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით ნიჩბისის ხეობა მცხეთის მუნიციპალიტეტში შედის. ხეობის ისტორიულ

მნიშვნელობას, ავტორის თქმით, მცხეთასთან სიახლოვე და შიდა ქართლის ერთ-ერთ მთავარ გზაჯვარედინზე მდებარეობა განსაზღვრავდა.

აკად. ნიკო ბერძენიშვილი ცდილობდა დაესაბუთებინა, რომ სახელწოდება „ქართლი“ გარკვეულ პერიოდში მოიცავდა მთელს ქვემო ქართლს. ამ ქართლმა თავისი ჰეგემონობა გაავრცელა შემდეგი დროის შიდა ქართლზე, ზენა სოფელზე, პირველად, საფიქრებელია, მტკვრის მარჯვენა მხარეს მდებარე კარსან-ქართლზე, ძეგვზე, ნიჩბისზე, კავთისხევზე, თემძის ხევზე, ტანისა და ძამის ხეობებზე, ანუ იმ ტერიტორიაზე, რაც ადვილად მისადგომი იყო ქვემო ქართლიდან, ანუ თრიალეთ-მანგლისიდან (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. თ., 1990: 225). სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის მაგისტრალი მცხეთიდან თრიალეთ-ჯავახეთისკენ, სწორედ ნიჩბისის წყალზე გადიოდა (იქვე: 324). მამასადამე, შიდა ქართლი სამხრეთ საქართველოს, სხვა ხეობებთან (მტკვრის, ძამის, ტანის, თემძის, კავთურის, ძეგვის) ერთად, ნიჩბისის ხეობაზე გამავალი გზით უკავშირდებოდა.

ნიჩბისის ადმინისტრაციული ერთეული, როგორც აღვნიშნეთ, ოთხ სოფელს აერთიანებს: ზემო ნიჩბისს, ქვემო ნიჩბისს, ახალ ნიჩბისს და სასხორს. ახლანდელი ქვ. ნიჩბისი ისტორიული სოფ. ნიჩბისი უნდა ყოფილიყო. იგი მდებარეობს თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ მთისწინეთზე, ნიჩბისის სერის ძირას, ზ. დ. 580 მ-ზე. 1072 წლით თარიღდება სიგელი, რომლითაც მეფე გიორგი II-ს ეს სოფელი შიომღვიმის მონასტრისთვის შეუწირავს, ხოლო სოფელზე მონასტრის შეუვალობის სიგელი 1170 წლისათვის განუახლებიათ. 1615 წელს მეფე ლუარსაბს ნიჩბისი ქაიხოსრო და მერაბ ციციშვილებისთვის უბოძებია. XVIII საუკუნიდან ლეკთა გამუდმებული თარეშის შედეგად სოფელი იმდენად გაჩანაგდა, რომ ამავე საუკუნის მიწურულისთვის აქ მხოლოდ 7 კომლი ცხოვრობდა.

დ. ქიტუაშვილს დამოწმებული არა აქვს, მაგრამ ნიჩბისს და ნიჩბისისწყალს მოიხსენიებს XVIII ს. დიდი ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი: „ნიჩბისს არს შენობა დიდი და მონასტერი მცირე, აწ ხუცის სამარ. ამ ნიჩ-

ბისისწყლის შესართავზედ, მტკვარზედ, არს კოწახურას ფონი, მუხრანს გამსვლელი. ნიჩბისის დასავლით ხევი კავთისა, გამოსდის დიდგორს“ (ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია. თბ., 1997: 57). ვახუშტის ნაშრომს დართული აქვს საძიებელი „ანბანსა ზედა ქმნული ამ წიგნსა შინა წერილნი სახელნი ადგილთა და ქვეყანათა და მეფეთა“. სოფლების სიაში ნიჩბისის პროვინცია ხუთი სოფლით (საკუთრივ ნიჩბისი, ოხერა, თელადგორი, გომიჯვარი, ლავრა) გაერთიანებულია მცხეთასთან (იქვე: 2012). მეცნიერს მცხეთაში შემაჯავლი სოფლების (სულ 15 სოფელი) ნუმერაცია ცალ-ცალკე აქვს გაკეთებული; ასევე ცალკე გამოყოფს ნიჩბისის პროვინციას რუკაზე და ტექსტში („ნიჩბისისათვის“).

XIX-XX სს. ნიჩბისის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით საინტერესოა დ. ქიტუაშვილის მიერ ნაშრომში დამოწმებული კავკასიის მხარის 1886 წლის კომლობრივი აღწერის, 1925, 1926 და 2002 წლების მოსახლეობის აღწერის მონაცემები, რომლებიც გვაწვდის ცნობებს ნიჩბისის ხეობის მოსახლეობის კომლობრივი და სულადობრივი რაოდენობის, აგრეთვე აღმ.-ტერიტ. დაყოფის შესახებ (ქიტუაშვილი, 2015: 7-8).

ნაშრომი ორი ძრითადი ნაწილისგან შედგება. პირველში საერთო ანბანის რიგზე დალაგებულია ნიჩბისის ხეობის ტოპონიმები. ავტორი ცდილობს, მკითხველს მიაწოდოს ამომწურავი ინფორმაცია ტოპონიმთა ლოკალიზაციის, წარმომავლობისა და შედგენილობის საკითხებზე. ეტიმოლოგიურ ძიებებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ხალხში გავრცელებულ თავისებურ ახსნა-განმარტებებს მნიშვნელობაგაუჩინარებული (დეეტიმოლოგიზებული) ონიმებისას. მართალია, ხალხური ეტიმოლოგია მხოლოდ ბევრათა შემთხვევით მსგავსებაზეა დამყარებული და არ ითვალისწინებს ფონეტიკურ გადასვლათა კანონზომიერებებს, მორფოლოგიურ სტრუქტურას თუ ისტორიულ-გეოგრაფიულ რეალიებს, ამის მიუხედავად, ხალხური განმარტებები მნიშვნელოვანია სახელდების მომენტში „ადგილის ნათლის“ სოციალური, სულიერ-კულტურული, ისტორიულ-საყოფაცხოვრებო, ფსიქოლოგიური და სხვა ფაქტორების გასათვალისწინებლად. თქმულის საილუსტრაციოდ მოვიხმობთ ორიოდე მაგალითს: „1121 წელს დავით აღმაშენებელი დიდგორის ველზე

ნიჩბისის ხეობიდან ავიდა. დაბლა, მინდორში შიკრიკი დატოვა და დაავალა, როცა მტერი გამოჩნდებოდა, მაშხალა აენთო. საუბედუროდ, შიკრიკი ვიდაცამ გასცა. ქართველებმა გვიან გაიგეს მტრის მოახლოება. ომის დამთავრების შემდეგ დავით აღმაშენებელმა კაცები გააგზავნა შიკრიკთან. ის მიძიმედ დაჭრილი იწვა მინდორზე, ისარი გულში ჰქონდა მოხვედრილი. ჰკითხეს: რატომ არ აანთე მაშხალაო? შიკრიკმა წაილულლულა: ვანთებდიო, და სული დალია. ამის შემდეგ მინდორს ვანთები დაარქვეს“ (იქვე: 16); „ერთ-ერთ კვერცხიშვილს, იმ ადგილიდან, სადაც ახლა სალოცავია, შემა წამოუღია ურმით. გზაზე თეთრებში ჩაცმული ქალი შეხვედრია და საყვედურით უთქვამს: შე კაცო, სხვა ადგილი ვერა ნახე, აქ რომ არ მოგეჭრა შეშაო? კაცმა ყური არ დაუგდო და გზა გააგრძელა. როგორც კი სახლში მისულა, ურმიდან ვეღარ გადმოსულა, ორივე ფეხი წართმევია. ოჯახის წევრები ვერ მიხვდნენ, რა დაემართა კაცს. ბოლოს ერთ ნათელმხილველს უთქვამს: ის შეშა, ურემზე რომ გიდევს, საიდანაც მოიტანე, ისეე იქ მიიტანეო. შესვეს კაცი ურემზე და შეშა უკან წაიღეს. კაცი განიკურნა და თავისი ფეხით წამოვიდა შინ. თეთრებში ჩაცმული ქალი მარიამ ღვთისმშობელი ყოფილა. მადლობის ნიშნად, იმ ადგილას კაცმა სალოცავი აავო. სალოცავი ხეების ქვეშ, ჩრდილშია მოქცეული, მზე არასოდეს უდგება. ამიტომ ეძახიან უმზეურს“ (იქვე: 38).

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ გეოგრაფიულ სახელწოდებებში შემონახულია ფრიად მნიშვნელოვანი ცნობები რელიგიური, საკულტო წეს-ჩვეულებათა აღსრულების ადგილის, მათ შორის – ეკლესიის, ნიშის, სახატის, საჯვარის, ცალკე მდგომი საკურთხევლისა და სხვათა, შესახებ. ნიჩბისის ხეობაც მდიდარია ეკლესიონიმებით. დ. ქიტუაშვილი ასახელებს 30-ზე მეტ მაგალითს: **ბერუახევი** (ბერუაშვილთა სალოცავი. შემორჩენილია ეკლესიის ნაშთი), **გერისთავის ნიში** (ნიში სასხორ-ნიჩბისის გზაგასაყარზე), **გორიჯვრის ნიში** (სალოცავი ნიში ზემო და ქვემო ნიჩბისის საზღვარზე), **ელისა ეკლესია** (ეკლესიის ნაშთი ქვ. ნიჩბისში), **ვანთები** (ღვთისმშობლის ეკლესია ზ. ნიჩბისში), **თეთროსანის ეკლესია** (წმ. გიორგის ეკლესიის ნაშთი ზ. ნიჩბისში), **ივანე**

მახარობელი (ნიში), იოვანე მახარებელი (გვიანფეოდალური ხანის დარბაზული ეკლესია, მხედრული წარწერით. აუგიათ ელიო-ზიძეებს, სასხორის სასაფლაოზე), **კვირაცხოველი** (სალოცავი ზ. ნიჩბისში), **კიკოლანთ ეკლესია//ღვთაების ეკლესია** (X ს-ის დარბაზული ეკლესია, ნუსხური წარწერით, ქვ. ნიჩბისში), **მარინე** (ეკლესია ზ. ნიჩბისში), **მთავარანგელოზი** (დარბაზული ეკლესია ძვ. სასხორის სამხრეთით, აგებული 1704 წელს, ნიკოლოზ მაღალაძის მიერ, თავისი დის – ხვარაშანის საფლავზე), **ნიკოლოზი//წმინდა ნიკოლოზი** (ეკლესია ქვ. ნიჩბისში), **უკუღმა ეკლესია** (VIII-IX სს. დარბაზული ეკლესია სასხორში, ციცაბო ფერდობზე), **უმწყური//ღვთისმშობელი** (IX-X სს. ბაზილიკა ზ. ნიჩბისში), **ღვთაება** (VII ს-ის ბაზილიკა ზ. ნიჩბისში), **ღვთისმშობელი** (X-XI სს. დარბაზული ეკლესია ქვ. ნიჩბისში), **ყვავის საყდარი** (ბაზილიკა ახალ ნიჩბისში), **წერათხევის საყდარი** (ნასაყდრალი ზ. ნიჩბისის სამხრ.-აღმ. ნაწილში), **წმინდა გიორგი** (ერთნავიანი ბაზილიკა ზ. ნიჩბისში), **წმინდა გიორგის ეკლესია** (გვიანფეოდალური ხანის დარბაზული ეკლესია მთაზე, სასხორის მთავარი სალოცავი), **წმინდა გიორგის ნიში** (ნიში სასხორის სამხრ.-დას. ნაწილში), **წმინდა გიორგის სალოცავი** (ეკლესიის ნაშთი ძველ სასაფლაოზე, ქვ. ნიჩბისში), **წმინდა ელიას ეკლესია** (ეკლესია სასხორში), **წმინდა მარიამის ეკლესია** (ეკლესია სასხორში), **წმინდა მარინე** (ეკლესია ზ. ნიჩბისში), **წმინდა ნიკოლოზი** (გუმბათოვანი ტაძარი ქვ. ნიჩბისში; აგებულია 1671-1675 წლებში, სახლთუხუცეს ზაზა ციციშვილის მიერ), **წმინდა ოსანა//თეთროსანი//წმინდა გიორგი** (ეკლესიის ნაშთი ზ. ნიჩბისში), **ჭინჭრიანი ხევის ეკლესია** (ნაეკლესიარი ქვ. ნიჩბისში), **ხვთისმშობელი** (სალოცავი ძველ სასხორში), **ჯვარიცხოველი** (სალოცავი სასხორის სამხრეთ ნაწილში, მთაზე).

საერო ნაგებობებიდან წიგნში დასახელებულია **ბატონის სასახლე//ციხესიმაგრე, დამწვარნიღები, დიდგორის ხიდი, კოშკები, სასხორის კოშკი, ციციშვილების ციხე...**

წიგნში ნასოფლართა სახელწოდებებად დამოწმებულია ახალსოფელი//ნიჩბურა, ზენუბანი//ზეობანი, თავაკაპიწა, ლელობი, ნატბური, ნატყეური, ძველი სასხორი.

ნაშრომის მეორე ნაწილი ეთმობა ნიჩბისის ხეობის გვარსახელებისა და მეტსახელების განხილვას. აღნიშნულია, რომ ანთროპონიმთა პარალელურად გავრცელებული მეტსახელი ამა თუ იმ ნიშან-თვისების მიხედვით ახასიათებს პიროვნებას და ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავს კიდეც მის „ცნობადობას“. შესაძლებელია მეტსახელი დაერქვას ამა თუ იმ რეგიონში მცხოვრებ მთელ გვარს, მისი ძირითადი მოსაქმეობის, საერთო ნიშან-თვისების, ეპონიმის ან სხვ. მიხედვით (პ. ცხადაია).

მკვლევარი ასახელებს ხეობაში გავრცელებულ ხუთ ათეულამდე გვარს. ცალკე ქვეთავებად არის წარმოდგენილი ინდივიდუალური საგვარეულო (როგორც საოჯახო, ისე ჯგუფური) და საოჯახო მეტსახელები. უმეტეს შემთხვევაში მეტსახელებს ახლავს რესპოდენტთა ხალხური განმარტებანი. მაგალითად, ავტორი ასახელებს გოჩიაშვილთა რამდენიმე შტოგვარს (ბესაანი, იასიანი, კიკოლაანი, ყიასანი, წილიანი, ჭვრიტიანანი, ჯიჯღვინაანი). რესპოდენტის განმარტებით, სვიმონ გოჩიაშვილის შთამომავლებს ჭვრიტიანთ უწოდებენ. მათი ეპონიმი გონებამხავილი კაცი იყო და ყველაფერს წინასწარ ჭვრეტდა. ბაზრობიდან მომავალი გზაზე ფულის გამო მოუკლავთ. ჯიჯღვინაანთ წინაპარი ბუზლუნა ყოფილა. სავარაუდოდ, აქედან მოდის მეტსახელი ჯიჯღვინაანი (იქვე: 61-62).

ზოგიერთ გვართან წარმოდგენილია თითო, ზოგთან რამდენიმე შტოგვარი. ზოგიერთ გვარზე მსჯელობა კი (გაბიდაურები, გალუსტაშვილები, გვრიტიშვილები, გოგიაშვილები, ირემაშვილები...) სულაც მეტსახელების გარეშეა მოცემული. ნაშრომში ჩამოთვლილია ხეობაში ჩაწერილი ის გვარებიც, რომელთა მხოლოდ ერთი საოჯახო მეტსახელის მოპოვება განდა შესაძლებელი. მაგალითად: ახალკაცი (სესიკაანი), ბულაცაშილი (ოსიანი), გოგილაშვილი (დუთაანი), გოჩოშვილი (თავკიაანი), ლომოური (იტლანი), მუსერიძე (მარკოზაანი), ჯალაბაძე (ასრატაანი) და ა. შ. ავტორს ნაშრომში შეუტანია შინაარსობრივად გაუმჭვირვალე 43 ინდივიდუალური და ჯგუფური მეტსახელი (იქვე: 75-76).

წიგნში თავმოყრილი ონომასტიკური მასალა ავტორს ჩაწერილი აქვს 12 რესპოდენტისაგან, რომელთა ვინაობაც (ასაკის

მითითებით) ნაშრომის ბოლოში, სიის სახით არის მოცემული. წიგნს ერთვის გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სიაც (იქვე: 77-79).

წიგნის მიმართ გვაქვს რამდენიმე შენიშვნა-სურვილი: 1. მკვლევარი ნიჩბისის ხეობის ტოპონიმთა ნუსხაში ასახელებს ნასტაგ(კ)ისს – მინდორს მტკვრის მარცხენა ნაპირას, მდ. ქსნის შესართავთან, სოფ. ქსნის რკინიგზის სადგურთან. „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობიდან“ ირკვევა, რომ ნასტაკისის ნამოსახლარი მდებარეობს ნასტაკისის ველის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, ქსნის მარცხენა ნაპირზე, ქსნის რკინიგზის სადგურის ჩრდილოეთით და არა ნიჩბისის ხეობაში. აღნიშნული მრავალფენიანი ძეგლი თარიღდება პერიოდით – ბრინჯაოს ხანიდან ადრინდელ ფეოდალურ ხანამდე. იმავე აღწერის მიხედვით ნასტაგისი//ნასტაკისი არქეოლოგიური ძეგლია და მდებარეობს სოფ. ქსნის ჩრდილოეთით, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ნასტაგისის ველზე. ნასტაგისის ველი მოქცეულია შემდეგ საზღვრებში: ჩრდილოეთით – სავანეთის ქედი, სამხრეთით – მდ. მტკვარი, დასავლეთით – მდ. ქსანი, აღმოსავლეთით – ნასპარხევის ხევი (სიკა, 5, 1990: 313); ასევე ს. მელიქიძის წიგნში ტოპონიმი ნასტაკისი//ნასტაკისი მითითებულია ვებლორცვიანი ადგილის სახელწოდებად მტკვრის მარცხენა მხარეს, სოფ. ძეგვში, ხოლო ტოპონიმი **ნასტაკისის ვენახები** – ვენახების სახელწოდებად სოფ. ქსანში (ს. მელიქიძე, მცხეთის რაიონის ტოპონიმი, თბ., 2007: 102); ამასთანავე, ქსანი ძეგვის ტერიტორიულ ორგანოში შემავალი სოფელია; 2. მკვლევარი იმოწმებს ცნობას ნიჩბისში 1961 წელს აღმოჩენილი განძის შესახებ (ქიტუაშვილი, 2015: 29). განძის შემადგენლობაში იყო 1426 ცალი ქართული მონეტა და 34 ცალი შირვანული, ილდეღიზიდური და დარუბანდული მონეტა. ქართული მონეტები მოუჭრიათ მეფეებს – დემეტრე I-ს, გიორგი III-ს, გიორგისა და თამარს, თამარს, ლაშა-გიორგის. 15 ქართული მონეტის ატრიბუცია დადგენილი არ არის. ფიქრობენ, რომ განძი სავარაუდოდ, რუსუდანის მეფობის ჟამს, 1122-1126 წლებში უნდა დაეფლათ (იხ. გ. ლუნდუა, ნიჩბისის განძი, სიკა, 5, 1990: 311, და იქვე მითითებული ლიტერატურა). წიგნის 33-ე გვერდზე

ცალკე ტოპონიმად დასახელებულია „სამაროვანი“, რასაც ახლავს მცირე ზომის ინფორმაცია სიკმა-დან: სამაროვანი დათარიღებულია ადრინდელი ფეოდალური ხანით. გათხრებს აწარმოებდა ა. აფაქიძე. აღმოჩენილია მიწაში 0,45-1,15 მ სიღრმეზე ჩადგმული, უხეშად დამუშავებული ქვიშაქვის ფილებისაგან შედგენილი ქვაყუთები. უმეტესად საოჯახო-კოლექტიური ხასიათის უინვენტარო სამარხებში მიცვალებული ქრისტიანული წესით დაუმარხავთ. თ. ბიბილურის სტატია დ. ქიტუაშვილის მიერ მითითებულია, როგორც სიკმა-ს 315-ე გვერდიდან ციტირებული. სინამდვილეში ზემო ნიჩბისის სამაროვანზე მსჯელობა სიკმა-ს 288-ე გვერდზეა დაბეჭდილი. ამასთანავე, რამდენადაც ნიჩბისის განძი და ზემო ნიჩბისის სამაროვანი ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლებია და არა ტოპონიმები, სასურველი იყო ორივე მათგანზე მსჯელობა ნიჩბისის ხეობის ფიზიკურ და ისტორიულ-გეოგრაფიულ მიმოხილვაში; 3. ჩვენი აზრით, მექანიკურ შეცდომად უნდა ჩაითვალოს ქვემო ნიჩბისის ღვთისმშობლის სახელობის დარბაზული ეკლესიის 1871 წლით, ხოლო ღვთაების ეკლესიის//კიკოლაანთ საყდრის IV საუკუნით დათარიღება (ქიტუაშვილი, 2015: 39). თ. დვალის ცნობით, სოფლის განაპირას, სამხრეთით, სასაფლაოზე მდგარი ღვთისმშობლის სახელობის დარბაზული ეკლესია, დასავლეთის ფასადზე, სარკმლის ქვემოთ ჩასმულ ქვაზე შესრულებული მხედრული წარწერის მიხედვით, 1817 წელს, სომხების მიერ არის აგებული (დვალი თ., ღვთისმშობლის ეკლესია, სიკმა, 5, 1990: 311). სხვათა შორის, დ. ქიტუაშვილს ნაშრომის 41-ე გვერდზე ეკლესიის აგების ზუსტი თარიღი – 1817 წელი აქვს მითითებული. რაც შეეხება კიკოლაანთ საყდრის თარიღს, თ. დვალი შენიშნავს, რომ მთის ფერდობზე, სხვადასხვა ზომისა და ფორმის ქვით აგებული არქიტექტურული ძეგლი, დარბაზული ეკლესია, თარიღდება X საუკუნით (იქვე: 311); 4. მიუხედავად იმისა, რომ ავტორს გულდასმით უცდია ნიჩბისის ხეობის ტოპონიმთა მეტ-ნაკლებად სრულყოფილი აღწერა, წიგნის წინასიტყვაობაში, სავსებით სამართლიანად, მაინც შენიშნავს, რომ ნაშრომი სრულყოფილი არ არის. ამის დასტურად კი შეიძლება დაგვესახელებინა ტოპონიმი „მოურავის გორა“, რაც წიგნში შეტანილი არ არის.

ამ ტოპონიმს არც სერგო მელიქიძე ასახელებს, თუმცა მასზე მცირე ინფორმაციას გვაწვდიან ისტორიკოსები – ჯ. გვასალია და გ. ცქიტიშვილი: არქეოლოგიური ძეგლი ამ სახელწოდებით მდებარეობს ქვემო ნიჩბისში, თბილისიდან ახალქალაქისაკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს, ოხერასხევის მარჯვენა ნაპირას, იქ, სადაც ხევი კვეთს გზას. გორის ზედაპირზე უხვად მოიპოვება წითლად მოხატული ჭურჭლისა და კრამიტის ნატეხები (სიკმა, 5, 1990: 311). ნაშრომში ასევე არაა დასახელებული შემდეგი ტოპონიმები: **ამირანის კლდე, განიგზა, გრძელმიწები, დიდბორევი, ველები, ზეუბნის წყარო, თელაწყარო** და ა. შ. (იხ. ს. მელიქიძე, მცხეთის რაიონის ტოპონიმია, თბ., 2007: 20, 37, 45, 53, 58, 62, 65...); საერთოდ, უნდა ითქვას, რომ სერგო მელიქიძის წიგნში თავმოყრილი ტოპონიმური მასალის გულდასმით გაცნობა დ. ქიტუაშვილს აღმოაჩენინებდა მის მიერ ჩაწერილი ტოპონიმების ისეთ პარალელურ ფორმებს, როგორცაა: **ამალალის კლდე, ბერდიას სახტომელა, გარველები, დათვის საგებელა, დათუას წვრიმალები, ეშმაკანთ ნასაბლარი, ზევაძიანთ მიწა, ზევით უბანი, ზეუბანი** და სხვ., რომელთა დასახელებაც სასურველი და აუცილებელიც კი იყო სარეცენზიო წიგნში; 5. სასურველი იყო, ავტორს ნაშრომზე მუშაობისას გაეთვალისწინებინა ვ. ბერიძის სტატია: „წინარეხი – გომისჯვარი – სასზორი“. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. 4, №6, თბ., 1943, და დავით ნინიძის ნაშრომი „ნიჩბისი“ (**დაიბეჭდა კრებულში – „მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის“**).

ქალბატონ დოდო ქიტუაშვილის მცირე ზომის წიგნი ონომასტიკური ლიტერატურის ერთ-ერთი საყურადღებო და საჭირო შენაძენია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მისი ავტორი ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის თანამშრომელია, ცენტრის არქივში კი დაუნჯებულა რამდენიმე ასეული ათასი ონომასტიკური ბარათი. მათი უმეტესი ნაწილი ფაქტობრივად უცნობია საკითხით დაინტერესებული მეცნიერებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

იმედი გვაქვს, ქალბატონი დოდო ქიტუაშვილი მომავალშიც გააგრძელებს აქტიურ ონომასტიკურ კვლევა-ძიებას და ცალკეუ-

ლი სოფლების, ქალაქების, მუნიციპალიტეტებისა თუ ხეობების ონომასტიკური მასალების შესწავლისადმი მიძღვნილი არაერთი სტატიითა და წიგნით გაამდიდრებს ჩვენი ბიბლიოთეკის თაროს. წარმატებებს ვუსურვებთ მას ონომასტიკური კვლევა-ძიების მეტად რთულ ასპარეზზე.

რეცენზია პაატა ცხადაიას ნიშნზე –

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული სახელწოდებანი“,
თბ., 2015

თსუ ქართული ენის ინსტიტუტთან არსებული ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა პაატა ცხადაიამ ოცწლიანი (1969-1989 წწ.) საველე-საექსპედიციო მუშაობის შედეგად დასავლეთ საქართველოს მთასა და ბარში მოპოვებული დიდალი ტოპონიმური მასალის ცალკეულ ნაკვეთებად გამოქვეყნება 2003 წლიდან დაიწყო. პირველად გამოქვეყნდა „სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი“ (თანავტ. ვილენა ჯოჯუა), ხოლო 2004 წელს სერიის – „სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი“, პირველ წიგნში ავტორმა თავი მოუყარა წალენჯიხის რაიონში აღნუსხული 5000-ზე მეტი დიდი თუ მცირე ობიექტის სახელწოდებიდან შერჩეულ მხოლოდ ისეთ ერთეულებს, რომლებიც ფონეტიკური, ლექსიკური, სიტყვაწარმოებითი, მოტივაციური თუ ისტორიულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით დაინტერესებდა ტოპონიმის მკვლევარსა თუ მკითხველს.

2015 წელს გამოცემულ წიგნში – „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული სახელწოდებანი“, – შევიდა მკვლევრის მიერ 45 წლის წინ მშობლიურ რაიონში მოპოვებული მთელი მასალა. თუკი პირველ წიგნში სალექსიკონო ერთეულები შიდაენობრივი ასპექტით იყო გაანალიზებული, განვილილ პერიოდში ენათმეცნიერების, ისტორიისა და ეთნოგრაფიის დარგებში გამოცემულმა გამოკვლევებმა, აგრეთვე მეგრული ენის ფუნდამენტურმა ლექსიკონებმა, მკვლევარს მისცა დამატებითი შესაძლებლობა, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტოპონიმები გარეენობრივი ასპექტითაც შეესწავლა. ესაა დიდი ფორმატის, 320-გვერდიანი

წიგნი, რაც შედგება წინასიტყვაობის, ორი ძირითადი ნაწილის, დანართებისა და ლექსიკონში დამოწმებული წყაროებისა და ლიტერატურის სიისაგან.

მკვლევარმა მშობლიური სანახებისადმი სიყვარული და მოწიწება იმით გამოხატა, რომ წიგნის პირველი და მეორე, შევსებული გამოცემა უძღვნა ქალაქ ჯვარის მელიტონ ქანთარიას სახელობის საშუალო სკოლის პედაგოგთა ხსოვნას. მათ „არ დაიშურეს ცოდნა და გამოცდილება, რათა ჩაენერგათ ჩვენთვის მაღალზნეობრიობა, კაცურკაცობა, სამშობლოს სიყვარული, ადამიანის პატივისცემა და დღეს კი იმქვეყნიურ საუფლოში განისვენებენ ვალმოხდილნი“ (ცხადაია 2015: 3).

წიგნის რედაქტორია **პროფ. მერაბ ჩუხუა**, ხოლო რეცენზენტები არიან **შუქია აფრიდონიძე**, **მანანა ბუკია** და ამ სტრიქონების ავტორი.

ლექსიკონის წინასიტყვაობაში ავტორი მოკლედ მიმოიხილავს წალენჯიხის რაიონის (ამჟამად მუნიციპალიტეტის) ფიზიკურ-გეოგრაფიულ მდებარეობას და აღნიშნავს, რომ სამეგრელოს რეგიონში, ტერიტორიული მოცულობის თვალსაზრისით (647, 1 კმ²) საკვლევი რაიონი მეოთხე ადგილზეა, მარტვილის, ზუგდიდისა და ხობის რაიონების შემდეგ. 1987 წლის მდგომარეობით წალენჯიხის რაიონში 2 საქალაქო, 12 სასოფლო საბჭო და 39 დასახლებული პუნქტი იყო (ორი ქალაქი – წალენჯიხა და ჯვარი, 37 სოფელი). მათგან სამ საკრებულოში (ჭალის, მუჟავისა და ფახულანისა) შემავალი 10 სოფელი, პ. ცხადაიას ცნობით, „მდებარეობს ენგურის მარჯვ. მხარეს და აღწევს მდ. ერისწყლის ზემო წელამდე“ (ცხადაია 2015: 4). დანარჩენი სოფლები ენგურის მარცხენა მხარესა და აღწევს ხობისწყლის მარჯვენა შენაკადამდე – მდ. სქურჩამდე (სოფლები: ულურია, ლეჯოლიხე, ლეთკანთი).

ლექსიკონში ავტორი სოფლების ადგილმდებარეობას საკრებულოების მიხედვით უთითებს, ხოლო სხვა ობიექტებისას – სოფლებისა და სატყეოების მიხედვით. „სატყეოსთან“ დაკავშირებით კი შენიშნავს, რომ ეს ტერმინი პირობითია და ლექსიკონში გამოყენებულია მთის დაუსახლებელი ტერიტორიის აღსანიშნავად,

სადაც შეიძლება იყოს როგორც ტყე და ალპური საძოვარი, ისე ნასოფლარიც. წალენჯიხის რაიონის ტერიტორიაზე 5 სატყეო ზონა ყოფილა – ჭალისა, ხუდონისა, მაგანისა, ჯვარისა და სქურისა. მოცემულია თითოეული მათგანის საზღვრები (იქვე: 5).

ტობონიძური მასალის ველზე მოპოვება-ჩაწერა, მით უმეტეს, მთიან და მთისწინა რეგიონში, დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული. პ. ცხადაიას, რომელმაც გასული საუკუნის 60-80-იან წლებში სოფელ-სოფელ, უბან-უბან, ტყე-ხეობათა თუ ალპურ საძოვართა ნაბიჯ-ნაბიჯ დავლისა და, რაც შეიძლება, მეტი რესპოდენტის გამოკითხვის გზით, გულმოდგინედ ცდილობდა ბუნებრივი თუ ხელოვნური, დიდი თუ მცირე ობიექტების სახელწოდებათა აღნუსხვას, საველე მუშაობის სტილთან დაკავშირებით წიგნის წინასიტყვაობაში მოჰყავს 1970 წლის 30 აპრილს სამუშაო რეველში გაკეთებული შემდეგი შემაჯამებელი ჩანაწერი: „ნაგურუსა და კუხეშში ვიპოვე ოთხი დღე. უბნების მიხედვით მარშრუტი ასეთი იყო: 27. 04 – ლეჩიქანე → ლეგვილე → ლეშეროზე → ლეაბრალე; 28. 04 – ლეჯღანჯღე → ლეჭიჭაღე → ლეხვიჩე → ლემორგოშე; 29. 04 – ლეწულაიე → ბურდეფი → ლემალაზონიე → ლეგობერიე; 30. 04 – ლეარდიე → ლეჩიჩე → ლეფიფიე → ლებუე → ლეობხუე. შევხვდი 40-მდე ინფორმატორს. დამრჩა ორი უბანი – ნოჟალი და ლეკაკალე“ (იქვე: 6). თითოეული სოფლისა და შემოგარენის ადგილთა სახელების ჩაწერისას ავტორის რესპოდენტები იყვნენ 11-15 წლის მოზარდებიც და ხანდაზმულებიც – საუკუნეს გადაცილებულნი. მათი სია, მასალის ჩაწერის წლისა და ჩაწერისას რესპოდენტთა ასაკის მითითებით, მოცემულია ცალკეული დასახლებული პუნქტების მიხედვით, ლექსიკონის II დანართში (იქვე: 288-305). ხანდაზმულ რესპოდენტთაგან აქვე დავასახელებთ წალენჯიხელ რაჟდენ კოწიას ძე კალანდიას (1969 წლისათვის 100 წლისა ყოფილა), მუჟაველ ალექსი ფიფიას (110 წლისა), კუხეშელ ეგნატე ანტონის ძე ლომიას (101 წლისა, 1970 წ.), ნაგურულელ ჯოგო სოსელას ძე აბრალავას (103 წლისა, 1970 წ.), მოზარდებიდან – ლესალელ მაია ჟორას ასულ კვარაცხელიას (11 წლისა, 1970 წ.), ჩქვალერელ ქეთინო დავითის ასულ ფი-

ფიას (10 წლისა, 1969 წ.), ფახულანელ სერიოჟა ვარლამის ძე ქარდავას (11 წლისა, 1969 წ.), საჩინოელ რევაზ მელენტიძის ძე გულორდავას (11 წლისა, 1970 წ.) და სხვანი.

ლექსიკონში დასახელებული რამდენიმე ასეული რესპოდენტიდან დღეს ცოცხალთა შორის უმეტესობა აღარ არის. ისინი უმჯობეს ქვეყანაში განისვენებენ, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ 2015 წელს პ. ცხადაიას ავტორობით გამოცემული წიგნის ფურცლები მათი სახელისა და ნათელი ხსოვნის ერთგვარი სამყოფელია.

წიგნის ხელახალი გამოცემა, 2004 წლის გამოცემასთან შედარებით, ავტორის თქმით, რამდენიმე ნიშნითაა განსხვავებული: ჯერ ერთი, მასში პ. ცხადაიამ თავი სრულად მოუყარა 45 წლის წინათ წალენჯიხის რაიონის ტერიტორიაზე აღნუსხულ ტოპონიმურ მასალას, მეორეც – შეეცადა, რომ უფრო ღრმად და შეძლებისდაგვარად სრულად წარმოედგინა ენობრივი და გარეენობრივი ანალიზი.

ლექსიკონი, როგორც აღვნიშნეთ, ორი ძირითადი ნაწილისგან შედგება. ზპირველი ნაწილი მიზნად ისახავს ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულებისა და სოფლების ისტორიულ-გეოგრაფიულ დახასიათებას, არსებული ისტორიული წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის გაანალიზების საფუძველზე. აქვე მოცემულია დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა ენობრივი და გარეენობრივი ანალიზი.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ფიზიკურ გეოგრაფიაზე მსჯელობისას ლექსიკონში დამოწმებულია ქსე-ს ცნობა მუნიციპალიტეტის ფარგლებში, ეგრისის ქედის ერთ-ერთი მთავარი განშტოების – ღვამანდრას მდებარეობის შესახებ (ქსე XI, 1987: 286). პ. ცხადაია აზუსტებს საენციკლოპედიო ცნობას და აღნიშნავს, რომ ჭანისწყლის ზემოთში, „ლაკადასა და ლაკადისძირა სოფლებში ეგრისის ქედის იმ შტოქედს, რომელშიც შედის ყვირა და გაუჩა...; ეწოდება გვამარდა (და არა ღვამანდრა)“ (იქვე: 10). იქვე დაზუსტებულია ქსე-ს ცნობა მდ. ჯუმათან და ოჩხამურთან დაკავშირებით, რომლის თანახმად, თითქოს, წალენჯიხის რ-ნის ტერიტორიაზე მიედინება ჯუმი და ოჩხომური (ზემო დინებით)

(ქსე XI, 1987). სინამდვილეში, მდ. ჯუმი მიედინება ზუგდიდის რ-ნის ტერიტორიაზე, ხოლო წალენჯიხის რაიონში მისი მხოლოდ ორი სათავე-მდგენელი – ზღვია და ლიარსანია; ოჩნოპური კი, – ხობისწყლის მარცხენა შენაკადი, შეუძლებელია ზემო დინებით წალენჯიხის რ-ში იყოს. „როგორც ჩანს, – დასკვნის მკვლევარი, – საენციკლოპედიო სტატიის ავტორები გულისხმობენ მდ. ჩხოუშიას, რომელიც მართლაც იწყება წალენჯიხის რ-ნის სოფ. პ. ეწერში“ (იქვე: 10).

საინტერესოა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ისტორიის პ. ცხადაისეული მიმოხილვა, ოდიშის მთავარ დავით დადიანის მიერ XIX ს-ის 40-იან წლებში განხორციელებული დაყოფიდან მოყოლებული, 2002 წლის ჩათვლით (იქვე: 10-12).

ჯვარის საქალაქო ადმინისტრაციული ერთეულის ფიზიკური და ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათებისას პ. ცხადაია შენიშნავს, რომ პირველი წერილობითი წყარო, სადაც აღნიშნული დასახლებული პუნქტი მოიხსენიება, თარიღდება 1639 წლით. ესაა რუსეთის მეფის ელჩების – ელჩინისა და ზახარევის ელჩობის რუსულენოვანი აღწერილობა. აქვე ყურადღება გამახვილებულია ე. წ. „ჯვარულ თქმაზე“ და დამოწმებულია ალ. ცაგარელის თვალსაზრისი ზუგდიდურ-სამურზაყანული დიალექტის ჯვარული თქმის ერთ თავისებურებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ესაა დ→ჯ ფონეტიკური პროცესი: რაგადი→რაგაჯი, უბელური→უბეჯური. ი. ყიფშიძე დ→ჯ ფონეტიკური პროცესის საფუძველზე „ჯვარული თქმის“ გამოყოფას გაუმართლებლად მიიჩნევდა. პ. ცხადაია იმოწმებს ხანდაზმულთაგან გაგონილს, „რომ ზუღონელები „ჯუჯალანდეს“. ამის გადმონაშთად ავტორი ზუღონის პარალელურ ფორმად დღესაც გავრცელებულ „ხუჯონს“ მიიჩნევს, თუმცა იქვე იმოწმებს მკვლევართა ჯგუფის თვალსაზრისს: „თანამედროვე ენობრივი სიტუაციის გათვალისწინებით, მეგრულის ზუგდიდურ სამურზაყანულ დიალექტში ე. წ. ჯვარული თქმის ცალკე გამოყოფის რაიმე ლინგვისტური საფუძველი არ არსებობს“ (კარტოზია და სხვ. 2010: 33-34).

ისტორიული ვითარების გათვალისწინებით მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის პ. ცხადაის ერთ-ერთი რესპოდენტი, ლიის

ადმინისტრაციულ ერთეულში შემაგალი სოფ. პალურის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით: „გაუვალი, ანუ პალიასონი ტყე-ჭაობი ყოფილა. ამიტომაც დარქმევია პალური“; „თქუანდეს – პალურს მუ გოკონია, უღამური ტყა რენია. ათე ტყას აფხაზი ყურსალეფი ტყობუდეს, მარგალეფს იხვამილუანდეს დო ინგერიშ მელე გემოჩანდეს.. ჩქენი ჯვემეფი იშო-იშო მიკათანჯანდეს ჯალეფს დო თაში გაიშურთუმუნა ინგირიშა. ეიშა ხალხი ხვალე სუკეფს მიკახორანდეს“. პ. ცხადაის განმარტებით, მეგრულში პალურსიტყვას რამდენიმე მნიშვნელობა მიუღია: ა. მღორე, მყუდრო, ღრმა წყალი, სადაც თევზს საკვებს უყრიან, რათა შემოიჩვიონ; ბ. გაუვალი ტყე-ჭაობი, უღრანი ტყე; გ. ნაყოფიერი შავი მიწა მდინარისპირებზე“ (იქვე: 24). რასაკვირველია, ამ მნიშვნელობათაგან ერთ-ერთი თავისუფლად შეიძლება სოფლის სახელდების მიზეზი გამხდარიყო.

მიქავა, პ. ცხადაის ცნობით, სოფელი და ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრია და წალენჯიხიდან 6 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. სოფლის უწინდელი სახელწოდებაა ფუქი, რაც, რესპოდენტთა განმარტებით, მიწის სახეობაა: არც ძალზე მაგარი, არც ძალზე რბილი, ტკილნარევი მიწაა. სხვა განმარტებით, ფუქს ეძახიან ხავსს, რაც ხეებსა და კლდეებზე იზრდება, ტენიან ადგილებს ეტანება და მწვანე ფერი აქვს. 1939 წელს, სამეგრელოს გლეხთა 1856 წლის აჯანყების მეთაურის – უტუ მიქავას სახელის უკვდავსაყოფად, სოფლისთვის მიქავა უწოდებიათ. მამასადამე, ეს სახელწოდება თავისი შინაარსით აღნიშნავს საკუთარ სახელს, რომლის დენოტატიც გონებრივი, კერძოდ, იდეოლოგიური, მუშაობისა თუ მოღვაწეობის შედეგია, იდეური ოიკონიმია.

მკვლევარი ოიკონიმ „მუჟავას“ ეტიმოლოგიაზე მსჯელობისას არ იზიარებს ავტორთა იმ ჯგუფის თვალსაზრისს, რომლებიც მუჟავას სპეციალური მაწარმოებლების გარეშე წარმოქმნილ ტოპონიმთა შორის ასახელებენ (ქირია და სხვ. 2015: 190). ამ ვარაუდს, პ. ცხადაის აზრით, ის გარემოება უშლის ხელს, რომ ზეპირსიტყვიერებასა და საისტორიო-საეკლესიო ძეგლებში პირსახელი თუ გვარსახელი მუჟავა არ ჩანს. ვფიქრობთ, დამა-

ჯერებლობა აკლია რედაქტორის – მ. ჩუხუას შენიშვნასაც, რომ, თითქოს, მუჟავა გუდა-ვას ტიპის გვარსახელური წარმომავლობის ტოპონიმი: მუჟა-ყმა → მუჟა-?ვა → მუჟავა (იქვე: 28).

საგულისხმო და დამაჯერებელია ავტორის მსჯელობა სახელწოდება „ულურიას“ სემანტიკასა და მოტივაციასთან დაკავშირებით, რაც ლექსიკონში შემდეგი სახით არის ჩამოყალიბებული: ოიკონიმის თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფილიყო ორული „სამარულო (ადგილი)“. ბგერათგადასმისა (რ-ლ) და ასიმილაციის (ო-უ→უუ) ფონეტიკური პროცესის შემდეგ ორული ფორმას დაერთო სპეციალური მატოპონიმებული -ა სუფიქსი, რამაც მოგვცა ულურია ფორმა (იქვე: 30-31).

ოიკონიმ „ქალაღალის“ მოტივაციაზე მსჯელობისას ავტორი შენიშნავს, რომ პ. გაბისონიას დასკვნა – „საკუთრივ ქალაღალიდან „ღალ“ ღელეს ნიშნავს, „ქალას“ წარმომავლობა უცნობია“, სიზუსტეს მოკლებულია: მდინარის პირას ძმებს – თოდუებს ღუქნები ჰქონიათ. სწორედ აქედან მოდის მდინარის სახელწოდება ქალაღალი (←ქალაქიმ ღალი „ქალაქის ღელე“), რაც მოგვიანებით დასახლებული პუნქტის სახელწოდებად ქცეულა. სამეგრელოში „ქალაქ“-ფუძიანი ტოპონიმები იშვიათი როდია. თვით ქალაღალი – სოფელი ფახულანის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, ერისწყლის მარცხენა შენაკადის – ქალაღალის ხეობაში, ზ. დ. 350 მ., წალენჯიხიდან 35 კმ-ის დაშორებით მდებარეობს (იქვე: 39).

ქართ. წყალ- ფუძის მეგრული შესატყვისის – წყუ-ს ფონეტიკურ გარდაქმნათა გზა პ. ფენრიხსა და ზ. სარჯველაძეს შემდეგი სახით აქვთ წარმოდგენილი: ქართ. წყალ: მეგრ. წყაუ→წყოუ→წყუუ→წყუ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 657). პ. ცხადაია ოიკონიმ „წყოუშს“ ერთ-ერთი იმ ფონეტიკური ეტაპის დადასტურებად მიიჩნევს, მაგრამ არ გამოორიცხავს სახელწოდების სხვაგვარი გააზრების შესაძლებლობასაც; კერძოდ, „მეგრულში წყოუ აღნიშნავს შქერს (მცენარესა და ნაყოფს). ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ მეგრ. წყოუ-ში და სვან. წყაუ-აშ ერთი და იმავე ძირისა და შინაარსის შემცველი ტოპონიმებია და ნიშნავს: „წყავისა“ ან „წყლისა“. მკვლევარი იქვე იმოწმებს განმარტებებს

ალ. ქობალიას „მეგრული ლექსიკონიდან“: „წყოუ წყავი; წყოუმი – წყავიანი; წყაროვანი; წყლისპირა ზოლი“ (ცხადაია 2015: 40).

ინტერესს იწვევს გადმოცემა უზარმაზარი ძალ-ღონის პატრონ, ჩერქეზ თუ აფხაზ *არამხუტუზე*, რომელსაც შეეძლო ხის გრძელი ჯოხით – ლაბაშათი გადახტომა ხევიდან ხევზე. ერთ-ერთი თქმულების მიხედვით, არამხუტუ ჯვარში ცხოვრობდა და ადგილობრივი მეჯოგის მწყემსი ყოფილა. მასთან კონფლიქტის გამო ოხანჩქუეს მღვიმეში დაბინავებულა და იქიდან უშენდა უზარმაზარ ქვებს ჯვარელთა კარ-მიდამოს. ბოლოს არამხუტუმ აქაური ქალიც მოიტაცა. ჯვარელებმა იგი ლემამუგეს ეკლესიის წმ. გიორგის ხატს გადასცეს. „ლემამუგელები XIX საუკუნეშიც კი უჩვენებდნენ არამხუტუს ნასროლ ქვას და მისეული ლაბაშის ნამსხვრევებს“ (იქვე: 43).

თუკი დევგმირ *არამხუტუს//ერემხუტუს* რეალურად არსებულ პიროვნებად მივიჩნევთ, მისი ეთნიკური კუთვნილების (ჩერქეზი ან აფხაზი) გათვალისწინებით, მასზე შემორჩენილი გადმოცემები, როგორც იშვიათი ძალ-ღონის პატრონზე და ჯვარელთა დამწიკებელზე, იმ დროის გამოძახილი უნდა იყოს, როცა იწყება ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მთიელი ტომების გახშირებული თავდასხმები, რომლებმაც საფრთხე შეუქმნეს ოდიშის სამთავროს მთიან მხარეს (XVII-XVIII სს.). ამის დასტურია პ. ცხადაიას ერთ-ერთი რესპოდენტის ჩვენ მიერ ზემოთ დამოწმებული გადმოცემა, რომ პალურის ტყეში დამალული აფხაზები მეგრელებს იტაცებდნენ და ენგურსგადმა ყიდდნენ. ჩვენი აზრით, არამ-ხუტუ სწორედ XVII-XVIII საუკუნეებში მცხოვრები ჩერქეზი თუ აფხაზი მწყემსი უნდა ყოფილიყო. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ტოპონიმ *არამხუტუმ ქუალეფი*-ის „არამხუტუს ქვების“ დამოწმება ჯვარის სატყეოში. ასე ეწოდება სამ ქვა-ლოდს ყვირას მთაზე (მაგანის ხეობისა და ჭანისწყლის ზემოთის წყალგამყოფი ქედი). პარალელური სახელწოდებაა *ქვაქანცალა//ქუაოქანცაია//ქუაოქანცალაია*, რაც მეგრულში „მერწევ, მერხევ, მოქანავე ქვას“ ნიშნავს. ერთი ქვა-ლოდი ზემოდან ადევს ორ ქვას და მცირე შეხებაზეც კი ირყევა, ირხევა. გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატის – ბორის გერგელავას აზრით, ყვირას უტყეო ზონაში, მდ. ინწი-

რას სათავეში, ზ. დ. 800 მ სიმაღლეზე მდებარე, 10-11 ტონის ქუაქანცალია დღეისათვის საქართველოს ტერიტორიაზე მიკვლეული ერთადერთი მოქანავე ლოდია, რომელიც თითის მიბჯენითაც ქანაობს და გამოსცემს კაკუნის ხმას. ლოდის ოთხი საყრდენი წერტილიდან ერთი მათგანი ყოველთვის თავისუფალია (გერგელავა „აია“, 7, 1999: 196). ეს ინფორმაცია დაზუსტებას საჭიროებს: მოქანავე ლოდი ქვაყუნტიას//ქვაკუნტიას სახელწოდებით ცნობილია ზემო იმერეთშიც, კერძოდ, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. ზედა რვანის ტერიტორიაზე (შდრ.: *ქვაყუნტი* – მთა სოფ. იტრიაში, *ქვაყუნტი(ს) სერი//ქვაკუნტი(ს) სერი* – საძოვარი, სერი სოფ. ჭალოვანში (იხ. ტოპონიმია I, 1987: 207).

ლექსიკონის მეორე და ძირითად ნაწილში, საერთო ანბანის რიგზე დალაგებულია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 5000-მდე დიდი და მცირე ობიექტის სახელწოდება. ტოპონიმთა დიდ ნაწილს ახლავს ენობრივი და გარეენობრივი ანალიზი. შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია ენათმეცნიერული და ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევების მონაცემები, აგრეთვე მეგრული ენის ფუნდამენტურ ლექსიკონებში მოცემული განმარტებანი.

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული სახელწოდებანი“ მრავალმხრივ საინტერესო ლექსიკონია. ბუნებრივია, წიგნის მოცულობისა და მასში თავმოყრილი ტოპონიმების რაოდენობის გათვალისწინებით, ყველა საკითხზე ყურადღების გამახვილება გავიჭირდება, მაგრამ აღვნიშნავთ, რომ XIX საუკუნიდან ქართველების რუსეთის იმპერიასთან ინტენსიური ურთიერთობა, გარკვეულწილად, აისახა იმ რუსულენოვან აპელატივებში, რომლებიც მეგრულს სალიტერატურო ქართული ენიდან უსესხებია, ანდა ზეპირი გზით შეუთვისებია. მაგ.: ხევს ოხაჩქუეს მთისკალთაზე, ჭალის სატყეოში, *ანგლიჩანეფიშ ნარეის* ეწოდება. პ. ცხადაიას ლექსიკონში ამ ტოპონიმს რესპოდენტის შემდეგი ცნობა ახლავს: „ინგლისელებს ჰქონდათ თურმე ოხაჩქუე იჯარით აღებული და წიფელი და წიწვოვანი ხე-ტყე („უჩა ტყა“) რელსით ჩამოჰქონდათ ენგურამდე. დაჟანგული რკინის ძელები ახლაც ყრია ამ ხევში“ (იქვე: 52). რედაცა, ო. ქაჯაიას „მეგრულ-ქართული ლექსიკონის“ მიხედვით, იგივეა, რაც რუს. Рельса ლიანდაგი: რედასა→რელსა.

ლ→ა (ქაჯაია II, 2002: 519). 1972 წლიდან ენგურჰესის მშენებელთა დასახლებად ქცეული ფოცხოეწერის (სოფელი ჭალის ადმინისტრაციულ ერთეულში) არაოფიციალური სახელწოდებაა პრავი ბერეგი (რუს. Правый берег), რადგან, პ. ცხადაიას ცნობით, ჰესის მშენებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი რუსულენოვანი იყო (ცხადაია 2015: 45).

საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის რესპოდენტი ყალიშში მდებარე ხევის – *არმიანსკიშ დენასქლედი*-ს „არმიანსკის დანარჩომი“, სახელწოდების მოტივაციასთან დაკავშირებით: ხე-ტყის დამამზადებელ ვინმე არმიანსკის ამ ხევში ერთი დიდი მორი დარჩენია და არმიანსკიშ დენასქლედი თავდაპირველად იმ მორისთვის დაურქმევიათ. პ. ცხადაიას კომენტარი: „ტოპონიმი იმის ნიშნავს, რომ მორის სახელიც კი შეიძლება გადაიტყვეს გეოგრაფიული ობიექტის სახელად“ (იქვე: 54). სახნავს სოფ. პალურში, ხუფაიის მარჯვ. მხარეს, დაგავორი ჰქვია. შდრ.: რუს. ДОГОВОР „ხელშეკრულება“. გადმოცემით, გლეს უღუია სამუშაის ეს მიწა დადიანის მოურავისაგან – ბახვა დგებუადისაგან „დაგავორით“ შეუქმნია (იქვე: 75).

კანატიშლედი//*პრისტანი* დავაკების სახელწოდებაა ჯვარის სატყეოში, ყვირას მთაზე. რესპოდენტის ცნობით, აქ იყო ხე-ტყის დასატვირთი ბაქანი. ხე-ტყე აქამდე „კანატი“, ე. ი. საბავრო გზით, ჩამოჰქონდათ. შდრ.: რუს. пристань, канатъ (იქვე: 97). ოგულე ეწოდება გზას და ფერდობს ინწრის მარცხენა მხარეს, ს. ჩქვალერში. ამოსავალია რუს. гулять „სეირნობა“ → ოგულე „სასეირნო (ადგილი)“ (იქვე: 170). გულენს „სეირნობს“ (იქვე).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საერო და საეკლესიო ნაგებობათა აღწერილობა მოცემულია ისტორიკოს დავით ჭითანავას ავტორობით 2010 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში („ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში“). გეოგრაფიულ სახელწოდებებს შემოუნახავს მნიშვნელოვანი ცნობები ზოგიერთი საეკლესიო და საერო-თავდაცვითი ნაგებობის შესახებ, მაგრამ ბევრმა მათგანმა ასახვა ვერ ჰპოვა დ. ჭითანავას წიგნში. სამაგიეროდ, მათ შესახებ ცნობებს გვაწვდის პროფ. პაატა ცხადაია. საილუსტრაციო მასალა: მაგანის სატყეოში, მაგანა-ენგურის წყალ-

გამყოფ სერზე, ჯვარი-მესტიის გზის მარცხ. მხარეს, შემაღლებაზე შემორჩენილ ციხე-კოშკის ნაშთს გაგაჩიშ ჯიხა/გაგაჩიშ ნაჯიხ ეწოდება (ცხადაია 2015: 63-64).

ბარბალობაშ ცხაცხუ რქმევია ჯალირა-ობუჯის საზღვარზე მდგარ სარიტუალო ცაცხვის ხეს, სადაც აბულაძეები ბარბალობასთან დაკავშირებულ რიტუალს აღასრულებდნენ (იქვე: 57). სალოცავ ადგილს მიუთითებენ სოფ. ქალაღალში, სადაც ქალაღალსა და ერწყყარს შუა მდებარე ტყე-ბორცვს გინახვამას „ნალოცვარ ადგილს“ უწოდებენ. აქ, ტყეში დასობილ ჯვართან სცოდნით „ჟინი ღორონთის“, „ღუდი ღორონთის“ ლოცვა და ხურდა ფულის დაყრა. შესაწირად ერთ წელს თიკანი მიჰყავდათ, მომღვენო ორ წელს კი ხოზო მიჰქონდათ. პირველად იმ მხარეს გადაიწერდნენ, საიდანაც მზე ამოდიოდა, და ღმერთს კაცისა და საქონლის სიკეთეს შესთხოვდნენ. აქვე იმართებოდა პურობა, ხოლო რიტუალს უნჩაშ მახვამერი წარმართავდა (იქვე: 67). სალოცავი ყოფილა ქ. წალენჯიხაში, სადაც გორას გვთახვამუ ეწოდება. აქ მდგარ სამ ცაცხვთან კალანდიებს სალოცავი ჯინჯიხატი ჰქონათ: ქვაზე დასვენებულ რკინის ჯვართან წელიწადში ერთხელ, ნებისმიერ თვეში, აქ მოსული გათხოვილი ქალები ლოცვას აღავლენდნენ და შესწირავდნენ ცომისაგან გამოქერწილ-გამომცხვარ ძროხას, გოჭსა და მამალს. ვითახვამუს სამეგრელოში ეძახდნენ სალოცავ ხეს, რომლის ქვეშ საღვთო რიტუალი სრულდებოდა (ცხადაია 2015: 73). *ალერტხარჩილე// გეწახვამუ* ეწოდება ბორცვს წალენჯიხის განაპირას, ჭანისწყლის მარჯვენა ნაპირას. აქაც სალოცავი ადგილი ყოფილა: მცირე დავაკებაზე მდგარა სამი ცაცხვი, რომლის ძირშიც რკინის ჯვარი და ბოძალი იყო დასობილი. გადმოცემით, *ალერტხარჩილე* ჯინჯიხატის სახელი ყოფილა, სადაც ყოველ მესამე წელს სალოცავად მოდიოდნენ აქაური ქალები, სხვაგან გათხოვილები. ეს ალერტი ხარჩილაეების გვარის სალოცავი იყო. სახელიც აქედან მოდის (იქვე: 51).

ღობერაშ ნახვამუ სამოვრის, მცირე ტაფობის სახელწოდებაა ჯეგეფაცხაში. აქ ორ ბორცვს შუა დიდი ქვაა ჩარჭობილი. ღობერა ადგილის სახელია, ხოლო ნახვამუ → ნახვამუ „ნალოც

ადგილს“ ნიშნავს. ხანდაზმულებს აქ სალოცავის არსებობა არ ახსოვთ (იქვე: 79).

სარიტუალო ადგილია აგრეთვე *ესკელა//ესქელა//ესქელა*. ასე ეწოდება გორას ჭანისწყალსა და ინწირას შუა, ლარასა და მეღანში. რესპოდენტთა განმარტებით, აქ მდგარ ურთხელის ხესთან ღვთაება *ესქელას*, *ესკელას*, საქონლის დაცვა-გამრავლებას შესთხოვდნენ. აქვე სცოდნიათ ე. წ. „დაფიცება“ (როცა ვინმე სიმართლის დამტკიცებას შეეცდებოდა). „ესქელა ხორციელის“ სალოცავს მიუთითებენ სოფ. ფახულანშიც, სადაც ოლორის მარჯვენა მხარეს მდებარე მაღალ გორას და უბანს ასევე ესქელა ჰქვია. ამ ადგილის მომლოცველნი იყვნენ გოგონიები, გერგელაგები, გუჩუები, კუკაგები და შონიები. გვარიდან უფროსები მუხაზე მიჭედებულ ჯვართან „იხვამანდეს“ (იქვე: 83).

საკულტო დანიშნულების წყაროს და მინდორს სოფ. მუჟავაში, არქანიების უბანში, *ყველიშია* ეწოდება. პ. ცხადაია იმოწმებს რესპოდენტის უაღრესად საინტერესო ცნობას: „თავისებური წყალია. ყოველთვის ერთ ღონეზეა, ფერს არ იცვლის, ნახშირის ნამცეცები გამოაქვს. ეს წყალი საკულტო დანიშნულებისაა: გვალვისას აქ მოჰყავთ სამსხვერპლო ხარი, შესწირავენ ღმერთს და სთხოვენ წვიმის გამოგზავნას“ (იქვე: 240).

?ვანთიმ მიოხვამუ//ჩხოროცხაცხუ მცირე მინდვრის სახელწოდებაა ?ვანთის კალთასა და ხურჩას სათავეს შუა, სოფ. ლარაში. მთაში მიმავალ მწყემსთა პირველი მოსალოცავი ადგილი სწორედ ამ მინდორზე, ერთი ძირიდან ამოსულ ცხრა ცაცხეთან ყოფილა. „იგი მისცემდა საშუალებას, გაეგრძელებინათ გზა ოფუჩამდე, სადაც ურთხელი იდგა. იქაც მოილოცავდნენ. მესამედ ლოცვა უნდა აღევლინათ ნაოხვამუში. მერე თავისუფლად მიაღწევდნენ ალპურ საძოვრებს“ (იქვე: 249).

მიოხვამუს „სალოცავ-სახვეწარის“ სახელწოდებით არაერთი ადგილია ცნობილი წალენჯიხის მუნიციპალიტეტში. შდრ.: მიოხვამ(უ) – 1. ბორცი ქვედა ჭველეში, ნაკალმახლალის მარჯვ. მხარეს; 2. ურთხელი სქურში, იაკობამ კარესთან; *მიოხვამუ//ნაოხვამუ* – სალოცავი წიფელი და ბორცი ჭანისწყლის მარცხ. მხარეს, ჟინი ობუჯის კიდეზე. ამ წიფელს *ჯეგემ გილახვამუც*

ერქვა (ნაკიფუ); მიოხვამუ//ტობემში მიოხვამუ – ორი სალოცავი თხმელა ტობემის ტყეში, ?ვანთის დასავლეთ კალთაზე; საზაფხულო საძოვრებისკენ მიმავალი მწყემსები ამ თხმელების ძირში ლოცულობდნენ და შესაწირავის სახით ტოვებდნენ ხორცს, კვერსა და ღვინოს, ხოლო ხეზე მიაკრავდნენ სანთელს (ნაგურუ); გელერაკილიშ მიოხვამუ//ძეგერონაშ მიოხვამური – სალოცავი ურთხელი ლაკადაში, ჭანისწყალ-ინწირის წყალგამყოფზე, ?ვანთსა და გელერაკილს შუა. ამ ურთხელს მეორე სახელიც ერქვა – *მიოხვამუ(რი)//ვეტახვამალი ურთხელი*; *მიოხვამუშ სუკი* – ბორცვი ენგურისა და ოლორის წყალგამყოფ სერზე. აქ მდგარი ნამეხარი მუხა და მასზე მიჭედებული ჯვარი გერგედავებისა და შონიების სალოცავად იყო მიჩნეული. მუხას სწირავდნენ კალმასს (ჭველე).

მეტაფორულ ტოპონიმთა რიგში უნდა განვიხილოთ ენგურის მარჯვ. მხარეს, სვანეთის საზღვართან, ხულონის სატყეოში მდებარე მთის წვერის სახელწოდება ბერქუდი „ბერის ქუდი“. მთის წვერი შორიდან ბერის ქუდივით არის ასვეტილი (იქვე: 59). მეტაფორული ტოპონიმია აგრეთვე გორგალი – დაბალი სერი, ჭანისწყალ-ჯაღრღალის წყალგამყოფი სოფ. ჯაღირაში. ადამიანის სხეულის ნაწილთან ბუნებრივი ობიექტის მიმსგავსების საფუძველზე სერისთვის გორგალი „ზურგი, ხერხემალი“ შეურქმევიათ (იქვე: 69).

ონომასტიკურ მეცნიერებაში მიღებული თვალსაზრისის თანახმად წარმოქმნის მომენტში ყველა საკუთარი სახელი მოტივირებული იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში ზოგი მათგანის მოტივირება გაუჩინარდა. ნომინაციის მოტივი ზოგ შემთხვევაში მხოლოდ ვიწრო წრისათვის შეიძლება იყოს ცნობილი. „ამიტომ ტერმინები – მოტივირებული სახელი, უმოტივაციო სახელი – პირობითია და გულისხმობს ნომინაციის მოტივის დადგენის შესაძლებლობა-შეუძლებლობას“ (ცხადაია 1988: 71).

უმოტივაციო, სემანტიკურად გაუმჭვირვალე გეოგრაფიული სახელწოდების ნიმუშია ორწყანდის მარცხ. შენაკადის – ბირგულამის სახელწოდება. ასე ეწოდება ღელეს ნაკიფუსა და ულურიაში. ბირგულამი მეგრულში იგივეა, რაც „მუხლიანი“. ალ. ქობალიას

განმარტებით კი ბირგულამი მუხლაღია, ძლიერია. „მართალია, ბირგულამი გადატანით სწრაფსა და ფეხმარდს ნიშნავს, მაგრამ ამ მდინარის წყალი სწრაფი დინებით არ გამოირჩევა“, – წერს პ. ცხადაია. შესაბამისად, ჰიდრონიმის მოტივაციაც ბუნდოვანია (ცხადაია 2015: 60).

ცნობილი ფოლკლორისტის, კ. სამუშიას განმარტებით, ჭანისწყლის მარცხენა ნაპირას მდებარე სერის ფერდობს, რომელზედაც წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესია დგას, *გაშფურდი* იმიტომ დარქმევია, რომ ურმის გა-ს, ე. ი. ურმის ძარას მოყვანილობისაა (სამუშია 1990: 143). პ. ცხადაია არ იზიარებს „გაშფურდის“ ამგვარ ეტიმოლოგიას. იგი იმოწმებს მეგრულის ლექსიკონებში მოცემულ გა სიტყვის ორმაგ მნიშვნელობას: ო. ქაჯაია: „გა – 1. ბორცვი, გორაკი, სერი, მხარე; 2. ურმის ძირითადი ნაწილი, ზესადგარი, ხელნა (ურმისა)“; შესაბამისად, მართებულად მიიჩნევს გას გააზრებას ოროგრაფიულ ნომენად, რაც დაბალ სერს, თხემს, ოდნავ წაგრძელებულ ბორცვს აღნიშნავს (ცხადაია 2015: 65).

ტოპონიმის წარმოქმნაში თანდებულის იშვიათად მონაწილეობის ნიმუშია *მარანიშ უკახლე* „მარნის უკან“ – სახნავი სოფ. ფახულანში (იქვე: 129) (მდრ. ხინჯიშთულო „ხიდსქვემოთ“) და *ობინახეშ თუდოლენი* „ვენახს ქვემოთ“ – ტყე ლექარღეში, სოფ. პ. ეწერში (იქვე: 169). ამგვარივე წარმოებისაა ამავე სოფლის ტოპონიმები – *აბრალეფიშ წოხ(ი)ლენი*, *ძაძამიეფიშ წეშეანი*.

წიგნის I დანართი საყურადღებოა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. სამეგრელოს (და ლეჩხუმის) პირველი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის განხორციელება, პ. ცხადაიას აზრით, დაკავშირებულია ოდიშის (სამეგრელოს) უკანასკნელი მთავრის, დავით დადიანის სახელთან (XIX ს. შუა ხანები). XIX ს-ის ბოლო მეოთხედში არსებული დაყოფა შეიცვალა. წალენჯიხის რაიონის ტერიტორია და სოფლები მოექცა ზუგდიდის მაზრის წალენჯიხის უბანში (ცენტრი – სოფ. წალენჯიხა). 1886 წლისათვის ამჟამინდელი წალენჯიხის რ-ნის ტერიტორიაზე არსებობდა 7 თემი და 13 სოფელი, 3141 კომლით და 20258 სულთ. საბჭოთა პერიოდში განხორციე-

ლებული ახლებური დარაიონების შედეგად წალენჯიხის რაიონი ზუგდიდის მაზრაში მოექცა. 1928 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის მიხედვით წალენჯიხის რაიონში 8 სასოფლო საბჭოი და 37 სოფელი იყო (იქვე: 282-284). 1886 და 1928 წლების მონაცემთა შედარების საფუძველზე პ. ცხადაია დაასკვნის, რომ „აღვილად ვლინდება მე-20 საუკუნის დასაწყისი ათწლეულების ძირითადი სოციალური, დემოგრაფიული და მიგრაციული ტენდენცია – დასახლებული პუნქტებისა და კომლების დაწვრილერთეულება და ლტოლვა (აღბათ ახალი კომლებისა) გზისპირა სოფლებში დასასახლებლად“ (იქვე: 285).

1987 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წალენჯიხის რაიონში 14 ადმინისტრაციული ერთეული იყო. ამ ინფორმაციას ავტორის რამდენიმე შენიშვნაც ახლავს. კერძოდ, ერისწყალი წარმოადგენდა ენგურჭესის მუშათა დასახლებას, რომელიც ამჟამად გაუქმებულია; მიქავას დაუბრუნდა უწინდელი სახელი ფუქი; საბჭოთა პერიოდში სააფაქიო ე(ნ)წერის/ე(ნ)წერის სახელით ცნობილ მადლობზე შეიქმნა ორი სოფელი: პირველი ეწერი (შედიოდა ჯვარის სას. საბჭოში) და მეორე ეწერი (შედიოდა ლიის სას. საბჭოში). მეორე ეწერის ცალკე სასოფლო საბჭოდ გამოყოფის შემდეგ სოფელს და სასოფლო საბჭოს ორჯონიკიძე ეწოდა. პირველი ეწერი დარჩა ჯვარის სასოფლო საბჭოს შემადგენლობაში, ეწერის სახელწოდებით. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ორჯონიკიძეს მიენიჭა სახელწოდება პირველი ეწერი (იქვე: 286).

შეიძლება თამამად ითქვას, რომ პაატა ცხადაიას სარეცენზიო წიგნში თანაბრად საინტერესო მასალაა თავმოყრილი სამეგრელოს ისტორიის, საისტორიო გეოგრაფიის, ეთნოლოგიის, ფოლკლორისა და სხვა საკითხებით დაინტერესებული მკითხველისა და სპეციალისტებისათვის.

ლიტერატურა

გერგელავა „აია“, 7, 1999: ბ. გერგელავა, ეგრისის ქედი. ჟურნ. „აია“, 7, თბ., 1999.

კარტოზია და სხვ. 2010: გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია, მეგრულის ლინგვისტური ანალიზი, თბ., 2010.

სამუშია 1990: კ. სამუშია, კოლხეთის ზოგიერთი გეოგრაფიული სახელი ზეპირსიტყვიერებაში. წგნ.: ქართული ზეპირსიტყვიერება. მეგრული ნიმუშები. თბ., 1990.

ტოპონიმია I, 1987: საქართველოს სსრ ტოპონიმია (მასალე-ბი), ტ. I. ზემო იმერეთი. თბ., 1987.

ფენრიხი, სარჯველაძე 2000: ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2000.

ქსე XI, 1987: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. XI, თბ., 1987.

ქაჯაია II, 2002: ო. ქაჯაია მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბ., 2002.

ქირია და სხვ. I, 2015: ჭ. ქირია, ლ. ეზუგბაია, ო. მემიშიში, მ. ჩუხუა, ლაზურ-მეგრული გრამატიკა, I. მორფოლოგია. თბ., 2015.

ცხადაია 1988: პ. ცხადაია, ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1988.

ცხადაია 2015 – ცხადაია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული სახელწოდებანი (შევსებული გამოცემა), თბ., 2015.

სარჩევი

ღირებული ნაშრომი.	3
„არტანუჯი“ №7	6
ახალგაზრდა მეცნიერის სერიოზული ნაშრომი.	9
დედა ფამარი.	12
ახალი გამოკვლევა	14
„არტანუჯის“ ახალი ნომერი,16	
ჟურნალი „არტანუჯი“, №10 (აფხაზეთის სპეცნომერი)	18
მეგრული იდიომების კრებული	20
მასალები მეგრულ-ქართული ლექსიკონისათვის122	
„საქართველოს ისტორია“	25
საინტერესო მონოგრაფია იმერეთის დროებითი მმართველობის ისტორიაზე.	28
დაჯილდოების ტრადიცია ძველ საქართველოში	31
საინტერესო გამოკვლევა	34
მტვერწაყრილი ფოლიანტების ახალი სიცოცხლე	36
გამოკვლევა კიტა აბაშიძეზე.	38
აბაშის რაიონის გეოგრაფიული სახელწოდებანი.	43

„მიწის ენაში“ შენახული წარსულის ხსოვნა	58
ღირებული ეთნოგრაფიული ნაშრომი სამეგრელოზე	71
სენაკის რაიონის გეოგრაფიულ სახელწოდებათა სალექსიკონო მასალების შესახებ.	90
მასალები კოლხეთის ტოპონიმთა ლექსიკონისათვის.	106
ტოპონიმები – ერთგვარი მეტრიკული მოწმობები.	119
საინტერესო წიგნი ბაღდათის რაიონის მთის სოფლების გეოგრაფიულ სახელწოდებებზე	122
ონომასტიკური ლიტერატურის საჭირო შენაძენი	129
რეცენზია პაატა ცხადაიას წიგნზე – „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული სახელწოდებანი“, თბ., 2015.	139